

სიმონ გელაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების
სტატისტიკა

თბილისი

2014

Simon Gelaschwili

Statistik
des Auslandes

Tbilissi

2014

უაკ (UDC) 311 :

ბ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განზოგადებულია ამერიკის, ევრაზიის, აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტების ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია და პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის ისტორიულ ევოლუციაზე, ასევე ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე, ორგანიზაციულ მოწყობაზე, ძირითად ფუნქციებზე და ამოცანებზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე, სტატისტიკური ინფორმაციის მიღება-დამუშავების სქემებზე და სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან მარშავა

რეცენზენტები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით (ოქმი №3, 25.07.2013).

ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წიგნის ან მისი ნაწილების ნებისმიერი ნაბეჭდი სახით ასლების გამრავლება და გაგრძელება. ამ წესის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

© სიმონ გელაშვილი, 2014

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

ISBN

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა - - - - - 15

თემა 1. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის საგანი, მეთოდი და ძირითადი ამოცანები

1.1. რატომ უნდა შევისწავლოთ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა? - - - - 17
1.2. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის საგანი და მეთოდი - - 22
1.3. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ძირითადი ამოცანები თანამედროვე ეტაპზე - - - - - 25
1.4. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ურთიერთკავშირი მეცნიერების სხვა დარგებთან - - - - - 27
1.5. ტესტები - - - - - 30

თემა 2. სტატისტიკის ისტორიული ევოლუცია და თანამედროვე ორგანიზაცია ევროკავშირის ქვეყნებში: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

2.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება გერმანიაში - - - - - 29
2.2. სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - - - - - 36
2.2.1. ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკა გერმანიაში - - - - - 35
2.2.2. არაოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციები გერმანიაში - - - - - 37
2.3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ორგანიზაციული პრინციპები - - - - - 38
2.4. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავისუფალი სტატისტიკური გამოკვლევების ზოგადი მიმოხილვა - - - - - 44
2.5. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ძირითადი ფუნქციები - - - - 46
2.6. გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - - 52
2.7. ტესტები - - - - - 55

თემა 3. თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკა საფრანგეთში

3.1. საფრანგეთის ოფიციალური სტატისტიკის მოკლე ისტორია - - - - - 59
3.2. სტატისტიკის ორგანიზაცია და რეგიონალური სამსახურების როლი - - - - - 68
3.3. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE): მისი მთავარი მიზანი და ძირითადი მისია - - - - - 70
3.4. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის ექვსი მისია მიზნის მიღწევის ხელშეწყობისთვის - - - - - 72
3.4.1. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება - - - - - 63

3.4.2. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი - - - - -	64
3.4.3. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება - - - - -	65
3.4.4. სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია - - - - -	65
3.4.5. სწავლება და კვლევების სტიმულირება ეკონომიკასა და სტატისტიკაში - -	66
3.5. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE) ევროკავშირის სტატისტიკურ სისტემაში - - - - -	78
3.6. საერთაშორისო სტატისტიკური სივრცის შექმნის ხელშეწყობა - - - - -	78
3.7. როგორ ფუნქციონირებენ ევროპული ინსტიტუციები სტატისტიკის სფეროში -	80
3.8. ხარისხის ჩარჩო ევროპული სტატისტიკისთვის - - - - -	-81
3.9. ტესტები - - - - -	

თემა 4. ოფიციალური სტატისტიკა ნიდერლანდებში

4.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება ნიდერლანდებში - - - - -	82
4.2. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა ნიდერლანდებში	84
4.3. ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაცია - - - - -	86
4.4. ნიდერლანდების სტატისტიკის ინსტიტუციონალური ჩარჩო - - - - -	90
4.4.1. პროფესიული დამოუკიდებლობა - - - - -	90
4.4.2. მონაცემთა შეგროვების მანდატი - - - - -	92
4.4.3. რესურსების ადეკვატურობა - - - - -	93
4.4.4. ხარისხის ვალდებულება - - - - -	94
4.4.5. სტატისტიკური კონფიდენციალურობა - - - - -	95
4.4.6. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა - - - - -	96
4.4.7. სანდო სტატისტიკური მეთოდოლოგია- - - - -	97
4.4.8. სტატისტიკური პროგრამები- - - - -	97
4.4.9. რესპონდენტებზე გადაჭარბებული ტვირთის არდაშვება - - - - -	98
4.4.10. ხარჯების ეფექტურობა - - - - -	101
4.5. სტატისტიკური შედეგები - - - - -	102
4.5.1. მართებულობა - - - - -	102
4.5.2. აკურატულობა და სანდოობა - - - - -	102
4.5.3. დროულობა და პუნქტუალურობა - - - - -	103
4.5.4. თანმიმდევრულობა და შედარებითობა - - - - -	103
4.5.5. ხელმისაწვდომობა და სიცხადე - - - - -	104
4.6. ტესტები - - - - -	106

თემა 5. თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკა დანიაში

5.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება დანიაში: მოკლე ისტორია და მთავარი ამოცანები - - - - -	110
5.2. დანიის სტატისტიკის მენეჯმენტი - - - - -	112
5.3. პროფესიული დამოუკიდებლობა - - - - -	114

5.4. დანიის სტატისტიკის სანდოობა - - - - -	115
5.5. დანიის კანონმდებლობა სტატისტიკის შესახებ - - - - -	116
5.6. დანიის სტატისტიკის სტრატეგიული გზავნილები - - - - -	119
5.6.1. დანიის სტატისტიკის მისია - - - - -	119
5.6.2. დანიის სტატისტიკის ხედვა და ღირებულებები - - - - -	121
5.6.3. სტრატეგიიდან შედეგებამდე - - - - -	125
5.7. დანიის სტატისტიკის მოქმედების სფეროები - - - - -	128
5.7.1. მომხმარებელთა ჩართვა სტატისტიკის წარმოებაში - - - - -	128
5.8. სტატისტიკის პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირების ღონისძიებები - - -	130
5.9. სტატისტიკის შემდგომი განვითარება - - - - -	134
5.13. სანდო და დროული სტატისტიკა - - - - -	136
5.14. სტატისტიკის გავრცელება - - - - -	140
5.15. სტატისტიკის მომხმარებელთა მოვალეობები - - - - -	144
5.16. დასაქმებულები და მენეჯერები დანიის სტატისტიკაში - - - - -	149
5.17. სამუშაო პროცესები და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა - - -	152
5.15. ტესტები - - - - -	156

თემა 6. ოფიციალური სტატისტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

6.1. მთავარი სტატისტიკური სააგენტოები და მათი ვალდებულებები - - - - -	162
6.2. სტატისტიკური სააგენტოების პრინციპები და ინსტრუქციები - - - - -	164
6.3. სტატისტიკური პოლიტიკის დირექტივები და სტანდარტები - - - - -	166
6.4. სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი - - - - -	167
6.5. თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენება აშშ-ში მონაცემების ხარისხისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად - - - - -	168
6.6. ტესტები - - - - -	171

თავი 7. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება რუსეთში

7.1. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია -	171
7.2. სახელმწიფო სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციაში - - - - -	171
7.3. ფედერალური კანონი „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის შესახებ რუსეთის ფედერაციაში” - - -	171
7.4. სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის ქვესაუწყებო ორგანიზაციები - - - - -	171
7.5. რუსეთის ფედერალური სტატისტიკური სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - -	171
7.6. რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის განვითარების კონცეფცია 2011-2017 წლებისათვის - - - - -	171
7.7. ტესტები - - - - -	171

**თემა 8. ოფიციალური სტატისტიკის ევოლუცია და მისი თანამედროვე ორგანიზაცია
იაპონიაში**

8.1. თანამედროვე სტატისტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი - - - - -	176
8.2. იაპონიის სტატისტიკური სისტემის რეკონსტრუქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - - - - -	177
8.3. სტატისტიკის შესახებ კანონის რევიზია და სტატისტიკური სისტემის რეფორმირება - - - - -	180
8.4. სტატისტიკის დღე იაპონიაში და მისი დაწესების მთავარი მიზეზი - - - - -	182
8.5. სტატისტიკის ორგანიზაციის ზოგადი სისტემა იაპონიაში - - - - -	183
8.6. მთავრობის საკოორდინაციო მექანიზმი სტატისტიკის სისტემაში - - - - -	184
8.7. სტატისტიკის მწარმოებელი მთავარი სამთავრობო ორგანიზაციები - - - - -	185
8.8. ადგილობრივი სტატისტიკური ორგანიზაციები და მათი წარმოშობა - - - - -	189
8.9. სტატისტიკური ფუნქციების დანაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის - - - - -	190
8.10. სტატისტიკის ნუმერატორები (აღმრიცხველები, რეგისტრატორები) და მათი მოვალეობები - - - - -	193
8.11. იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ კავშირში - - - - -	194
8.12. ტესტები - - - - -	197

**თემა 9. ოფიციალური სტატისტიკა თურქეთის რესპუბლიკაში:
თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი (თურქსტატი)**

9.1. თურქსტატის უფლებამოსილება ინფორმაციის მოთხოვნის, ინფორმაციის სიზუსტის შემოწმების, კონტროლისა და შენახვის შესახებ - - - - -	206
9.2. სტატისტიკური ერთეულების პასუხისმგებლობა, ვალდებულებები და ადმინისტრაციული საურავები - - - - -	207
9.3. ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობა და ეროვნული რეესტრის სისტემა - - - - -	209
9.4. კონფიდენციალური მონაცემები - - - - -	211
9.5. ინდივიდუალური მონაცემების გამოყენების წესი თურქეთში - - - - -	212
9.6. სტატისტიკური ერთეულების უფლებები - - - - -	213
9.7. ტესტები - - - - -	214

თემა 10. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია ავსტრალიაში

10.1. ავსტრალიის სტატისტიკის ბიურო - - - - -	218
10.2. ავსტრალიის სტატისტიკის ბიუროს (ABS) კორპორატიული გეგმა - - - - -	222
9.3. რა არის კორპორატიული გეგმის მიზანი? - - - - -	223
9.4. ავსტრალიის სტატისტიკოსი (ორგანიზაცია) - - - - -	224
9.5. ABS-ის კორპორატიული გეგმის ზოგადი ასპექტები - - - - -	225

9.6. ABS-ის როლი და ეროვნული სტატისტიკური სისტემა - - - - -	226
9.7. ABS-ის ღირებულებები – რისი გვწამს და როგორ ვიქცევით - - - - -	228
9.8. ABS-ის თანამშრომლები - - - - -	231
9.9. ABS-ის ძირითადი მიზნები - - - - -	233
9.9.1. გაფართოებილი და გაუმჯობესებული ეროვნული სტატისტიკური მომსახურება - - - - -	234
9.9.2. ABS –ის დროული, რელევანტური და პასუხისმგებლური სერვისები - - -	237
9.10. სტატისტიკის ინფორმირებული და მზარდი გამოყენება ავსტრალიაში - - -	239
9.11. ABS როგორც მთავარი კონტრიბუტორი იმ საერთაშორისო სტატისტიკური ღონისძიებებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ავსტრალიისა თუ რეგიონისთვის	242
9.12. ტესტები - - - - -	245

თემა 11. სტატისტიკის რეფორმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში

11.1. შესავალი - - - - -	249
11.2. ოფიციალური სტატისტიკის მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში მე-20 საუკუნის ბოლოს - - - - -	250
11.3. სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლოვანებები - - - - -	252
11.4. სტატისტიკის ხარისხის ნაკლოვანებები - - - - -	254
11.5. სამხრეთ აფრიკის სტატისტიკის ხარვეზები - - - - -	255
11.6. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტატისტიკის საბჭო - - - - -	258
11.7. სტატისტიკური რეფორმა 2000 წლის შემდეგ: ეროვნული სტატისტიკის ოფისის გარდაქმნა - - - - -	263
11.8. ეროვნული სტატისტიკის სისტემის დეპარტამენტი - - - - -	264
11.9. NSS, როგორც ტრანსფორმაციული პროცესი - - - - -	266
11.10. NSS-ის მიერ მიწოდებული პროდუქტები - - - - -	268
11.11. კოორდინაციის მექანიზმი - - - - -	269
11.12. სამხრეთ აფრიკის სტატისტიკის როლი NSS-ში - - - - -	270
11.13. სტატისტიკის სასურველი მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში - - - - -	272
11.14. სტატისტიკაში მიღწეული პროგრესი - - - - -	273
11.15. ტესტები - - - - -	276
გამოყენებული ლიტერატურა - - - - -	280

წ ი ნ ა ს ი ტ ი კ ე ა ო ბ ა

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი მრავალასპექტიანია და მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ პოლიტიკას, ეკოლოგიას, სოციალურ სფეროს, ბიზნესს, ქვეყნის თავდაცვას და ა. შ. მათი განვითარების რაოდენობრივი ასახვა და ანალიზი როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მათი გაერთიანებების მიხედვით ძირითადად ხორციელდება სტატისტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული განვითარების დონე კი ძლიერ განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. არაერთგვაროვანია ასევე სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური და საუწყებო სტატისტიკის ორგანიზაცია, სტატისტიკური კვლევების ჩატარების პრაქტიკა, სტატისტიკური ცოდნის გავრცელების დონე და მასშტაბი, სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი და საჯაროობა. ამიტომ აუცილებელია, რომ სტატისტიკის თეორიასთან ერთად სტუდენტებმა პრაქტიკულად შეისწავლონ კონკრეტული ქვეყნების (განსაკუთრებით განვითარებული) ოფიციალური სტატისტიკის თავისებურებები, მათი თანამედროვე გამოცდილება სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებაში, დამუშავებაში, გავრცელებაში, კონფიდენციალობის დაცვაში და ა. შ. ეს არა მხოლოდ გაუადვილებს მათ საგნის ღრმად შესწავლას, არამედ მოამზადებს პრაქტიკაში სამუშაოდ, რაც გააფართოებს მათი დასაქმების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტებს, ასევე პრაქტიკოს სპეციალისტებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ ყოველ თემაში მოცემულია სათანადო ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და გაანგარიშებულია სხვადასხვა მაჩვენებლები. ასევე, ყოველი თემის ბოლოს მოცემულია შესაბამისი ტესტები.

სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში გამოყენებული იქნა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე გამოცემული თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა, ასევე შესაბამისი ინტერნეტ-რესურსები.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო პირველია არა მარტო ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიოშიც (გარდა უკრაინისა, სადაც 1 ანალოგიური წიგნია გამოცემული.¹ თუმცა განხილული თემატიკით და შინაარსით დასახელებული წიგნი ძლიერ განსხვავებულია წინამდებარე სახელმძღვანელოსგან).

რა თქმა უნდა, მოცემული სახელმძღვანელო დაზღვეული ვერ იქნება ცალკეული ნაკლოვანებებისგან; მათი აღმოფხვრის მიზნით გამოთქმული ყველა ობიექტური შენიშვნა და რაციონალური წინადადება ავტორის მიერ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული წიგნის შემდგომი გამოცემისას.

¹ Ковалевский Г. В., Селиванов В. М. Статистика зарубежных стран. Харьков, 2002.

Vorwort

Der gegenwärtige Abschnitt der Globalisierung umfasst mehrere Aspekte der internationalen Beziehungen – nicht nur die Wirtschaft, sondern auch Politik, Ökologie, soziales usw. Die Widerspiegelung und Analyse ihrer quantitativen Entwicklung hinsichtlich einzelner Länder und Gruppen von Ländern erfolgt hauptsächlich anhand der statistischen Wissenschaften.

Das theoretische und praktische Entwicklungsniveau der Statistik unterscheidet sich von Land zu Land wesentlich. Ebenso vielfältig ist die Organisation der amtlichen und institutionellen Statistik, die Praxis, statistische Forschungen durchzuführen, das Verbreitungsniveau und der Umfang statistischen Wissens, die Qualität und Zugänglichkeit der statistischen Information.

Daher ist es notwendig, dass Studenten neben der Theorie der Statistik auch Besonderheiten der amtlichen Statistik, insbesondere entwickelter Länder, deren Entwicklungsstand bei der Gewinnung, Verarbeitung und Verbreitung der statistischen Information, der Wahrung der Vertraulichkeit erlernen. Die Tatsache, dass im vorliegenden Lehrbuch zu jedem Thema entsprechende amtliche statistische Informationen angeführt sind, unterstützt den Lernprozess. Zusätzlich gibt es zu jedem Kapitel entsprechende Tests (Übungen). Dies erleichtert den Studenten, sich den in Vorlesungen gehörten theoretischen Stoff anzueignen und zu analysieren.

Für die Vorbereitung dieses Lehrbuches wurden aktuelle englische, deutsche und russische Fachliteratur, sowie entsprechenden Internet-Quellen verwendet.

München und Tbilissi, 2013

თემა 1. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის საგანი, მეთოდი და ძირითადი ამოცანები

1.1. რატომ უნდა შევისწავლოთ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა?

თუ რატომ უნდა შევისწავლოთ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა, ამას კარგად გაიგებს ის სტუდენტი, რომელიც ბოლომდე გაეცნობა ამ წიგნს. მაგრამ პირველივე ლექციაზე მოსული სტუდენტი გაიგებს იმას, თუ რატომ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი, რომლის შესწავლის შემდეგაც მას გაუჩნდება ინტერესი, უფრო მეტი სტატისტიკური ინფორმაცია მოიპოვოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და მრავალ სხვა მაჩვენებელზე. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ამ წიგნის მთავარი მიზანი შესრულებული იქნება.

ამჟამად მსოფლიოში 220-ზე მეტი სახელმწიფო არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მრავალი ნიშნის მიხედვით. ყოველ მათგანზე შესაძლებელია ესა თუ ის სტატისტიკური მონაცემების მოპოვება (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანაზე ამ ორგანიზაციის მუდმივმოქმედი სტატისტიკური სამსახური აგროვებს, ამუშავებს და აქვეყნებს სხვადასხვა ფორმით). სტატისტიკური მონაცემების უდიდესი ნაწილის მოპოვება გაერო-ს მიერ ხორციელდება წელიწადში ერთხელ წინასწარ დადგენილი პროგრამით (სპეციალური კითხვარებით, რომლებიც ეგზავნება ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებს შესავსებად და გაერო-ს სტატისტიკურ სამსახურში წარსადგენად). იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნების ურთიერთშედარება, გაერო-ს სტატისტიკური სამსახური ამუშავებს სპეციალურ რეკომენდაციებს მაჩვენებელთა ერთიანი (ჰარმონიზებული) მეთოდიკით გასაანგარიშებლად.

საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა წარმოადგენს სტატისტიკური საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს დარგს, თუმცა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განვითარება დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მის თეორიულ განვითარებას საფუძვლად დაედო სტატისტიკური მეცნიერების თეორიისა და მეთოდოლოგიის მიღწეული დონე, ხოლო პრაქტიკულ მხარეს კი - ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების გაფართოება, რამაც მოითხოვა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და ანალიზი.

სტატისტიკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქართულ პრესაში ჯერ კიდევ 150 წლის წინათ იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები. გაზეთ „დროების“ 1866 წლის 25 მარტის მოწინავე სტატიაში აღნიშნულია: „სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს რომელიმე ქვეყნის ან სახელმწიფოს სივრცეს, მოსახლეობის რიცხოვნობას, გაცვლას, დოვლათის წარმოებას, განათლებას, სიმდიდრეს და სხვა... ერთი სიტყვით, იგი წარმოადგენს გვიქმნის ქვეყნის

მდგომარეობის შესახებ და ამასთან ერთად იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონებს”.²

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქმიანობს სხვა ქვეყნების ფირმების ფილიალები და საწარმოები. სანამ რომელიმე ფირმა გადაწყვეტდეს ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლას და იქ თავისი საქმიანობის განხორციელებას, მანამდე ის აუცილებლად მოიპოვებს მისთვის საჭირო სტატისტიკურ მონაცემებს, მოახდენს მათ ანალიზს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას იმ ქვეყანაში საქმიანობის დაწყებაზე ან არდაწყებაზე. ამ საქმეში კი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა წარმოადგენს, რომელიც მოწოდებულია მოიპოვოს, დაამუშაოს და გამოაქვეყნოს სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაზე მრავალმხრივი სტატისტიკური ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის მნიშვნელობა და გამოყენების მასშტაბი დიდია მაშინ, თუ იგი არის მრავალფეროვანი და მოიცავს ამა თუ იმ ქვეყნის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ა. შ. მდგომარეობის რაოდენობრივ დახასიათებას. ამასთან დაკავშირებით მოვიტანოთ ისეთი ყველასათვის საინტერესო ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ამ შემთხვევაში წარმოვადგინოთ მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით რანჟირებული ცხრილი 20 უდიდესი ქვეყნის მიხედვით (იხ. ცხრილი 1):

² მარშაკა ქ., მინდორაშვილი მ. სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012, გვ. 31.

ცხრილი 1. მსოფლიოს ქვეყნების პირველი ოცეული მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით¹

№	ქვეყანა	მოსახლეობის რიცხოვნობა				
		2005 წელი (მლნ. კაცი)	%	ახალი მონაცემები (მლნ. კაცი)	თარიღი	%
1	ჩინეთი	1,306,3	20,27	1,347,4	31.12.2011	19,12
2	ინდოეთი	1,080,3	16,75	1,210,2	01.03.2011	17,18
3	აშშ	295,9	4,59	314,6	12.10.2012	4,47
4	ინდონეზია	242,0	3,79	237,6	01.05.2010	3,37
5	ბრაზილია	186,1	2,89	194,0	01.07.2012	2,75
6	პაკისტანი	162,4	2,52	180,9	12.10.2012	2,57
7	ნიგერია	128,8	2,00	166,6	01.07.2012	2,37
8	ბანგლადეში	144,3	2,25	152,5	16.07.2012	2,16
9	რუსეთი	143,4	2,23	143,2	01.08.2012	2,03
10	იაპონია	127,4	1,97	127,5	01.09.2012	1,81
11	მექსიკა	106,1	1,65	112,3	12.06.2012	1,59
12	ფილიპინები	87,9	1,36	90,5	01.05.2010	1,31
13	ვიეტნამი	83,5	1,29	87,8	01.06.2011	1,25
14	ეთიოპია	73,1	1,13	84,3	01.06.2011	1,2
15	ეგვიპტე	77,5	1,21	82,7	12.10.2012	1,17
16	გერმანია	82,5	1,27	81,9	30.04.2012	1,16
17	ირანი	68,0	1,06	75,2	24.10.2011	1,07
18	თურქეთი	69,7	1,09	74,7	31.12.2011	1,06
19	საფრანგეთი	60,7	0,94	64,5	01.01.2008	0,97
20	ტაილანდი	65,4	1,01	63,0	31.12.2007	0,94

წყარო: <http://unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2011.htm>;

ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (ნახევარზე მეტი, ანუ დაახლოებით 51%) ცხოვრობს მხოლოდ 6 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, ინდონეზია, ბრაზილია და პაკისტანი. როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, დედამიწაზე მცხოვრები მოსახლეობიდან ყოველი მე-5 ჩინეთში ცხოვრობს.

12. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის საგანი და მეთოდი

მეცნიერების ყოველ დამოუკიდებელ დარგს გააჩნია შესწავლის საკუთარი ობიექტი, საგანი და მეთოდი. სტატისტიკის შემთხვევაშიც ასეა: მას აქვს კვლევის საკუთარი ობიექტი, საგანი და მეთოდოლოგია. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე იგი უკვე ჩამოყალიბდა როგორც უნივერსალური მეცნიერება. ეს ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკის შესწავლის ობიექტი მეტად მრავალფეროვანია, რომელიც მოიცავს როგორც საზოგადოებრივ, ისე საბუნებისმეტყველო მოვლენებსა და პროცესებს. ასევე, სტატისტიკას გააჩნია ძლიერი მეთოდოლოგიური აპარატი, რომელსაც უკვე დიდი ხანია წარმატებით იყენებს მეცნიერების მრავალი დარგი და ქვედარგი. სტატისტიკური მეცნიერების როლი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ თითქმის ერთნახევარი საუკუნის წინ კარგად ესმოდათ საქართველოშიც, რის დადასტურებასაც წარმოადგენს გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 14 იანვრის მოწინავე სტატია, რომელშიც აღნიშნულია: „არის ერთი მეცნიერება, რომლის გარეშეც დღეს არც სახელმწიფოს მმართველს, არც კანონმდებელს, არც კერძო მკვლევარს, ერთი სიტყვით არავის, ვისაც ასე თუ ისე გული შესტკივა სახელმწიფოსათვის და უნდა იპოვოს და გვიჩვენოს მისი საშინაო ცხოვრების გზები, არ შეუძლია ნაბიჯის გადადგმა. ამ მეცნიერებას ეწოდება სტატისტიკა. მისი საგანია საზოგადოების საფუძვლიანი, დაწვრილებითი შესწავლა იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორია მისი ბუნება, რა ნაწილებისაგან შედგება, რა სახის სამეურნეო საქმიანობას ეწევა, რა მდგომარეობასა და მოძრაობაში იმყოფება... ამ სახით ეს მეცნიერება შეისწავლის საზოგადოებას, იკვლევს მის ცალკეულ მოქმედ ნერვს...”.³

სტატისტიკური მეცნიერების დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა სტატისტიკის მრავალი დარგი და მიმართულება. ერთ-ერთი მათგანია სწორედ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. რა არის მისი შესწავლის ობიექტი და რით განსხვავდება ის სტატისტიკის სხვა დარგების კვლევის ობიექტისაგან? საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის ობიექტია ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული პროცესების ევოლუცია და მათი ცვლილების რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი

ზოგადი მაგალითი: საყოველთაოდ ცნობილია ქვეყნების ოფიციალური, ანუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციით, დაჯგუფება განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად. ალბათ ზოგიერთმა იცის (მაგრამ არა უმრავლესობამ), თუ რა უდევს საფუძვლად ასეთ დაჯგუფებას? ქვეყნების ასეთი კლასიფიკაციისას გაერო ძირითადად იყენებს ისეთ ზოგად სტატისტიკურ საშუალო მაჩვენებელს, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით. ამ მიმართულებით ასევე გამოიყენება ადამიანური განვითარების ინდექსიც (სხვადასხვა პუბლიკაციებში მას უწოდებენ აგრეთვე ჰუმანური განვითარების ინდექსსაც). ეს მაჩვენებელიც სტატისტიკურია და მოიცავს ასევე რამდენიმე სუბინდექსს. ეს და სხვა მრავალი სტატისტიკური მაჩვენებელი ფართოდ გაიანგარიშება და გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკაში. იგი ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი სფეროს რაოდენობრივ დახასიათებას სათანადო სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების გზით და ახდენს მათ ურთიერთშედარებას, რითაც ნათლად ვლინდება მათი ცვლილების რაოდენობრივი კანონზომიერებანი დროის სხვადასხვა პერიოდისათვის. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ქვეყნების დაჯგუფება და ურთიერთშედარება ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით. იგი ზომავს კონკრეტული ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ასპექტს. შესაბამისად, იგი წარმოადგენს მაქსიმალური ინფორმაციის მომცველ ზოგად ინდიკატორს, ცალკეული ქვეყნების განვითარების დონის შეფასების სხვა მაჩვენებლებისგან განსხვავებით. გაერო ამ ინდექსს გამოითვლის მსოფლიოს 180 ქვეყნის მიხედვით და გამოყოფს ქვეყნების 3 ჯგუფს: მაღალი, საშუალო და დაბალი განვითარების ქვეყნები. საქართველო იმყოფება საშუალო განვითარების ქვეყნების ჯგუფში, სადაც 80 ქვეყანაა გაერთიანებული (მაღალი განვითარების ქვეყნების ჯგუფშია 70, ხოლო დაბალი განვითარების ქვეყნების ჯგუფშია 30 ქვეყანა). ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს დაჯგუფება მოცემულია შემდეგ ცხრილში (№2):

³ მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012, გვ. 32.

მაღალი განვითარების ქვეყნების ჯგუფი (პირველი ოცეული)	საშუალო განვითარების ქვეყნების ჯგუფი (პირველი ოცეული)	დაბალი განვითარების ქვეყნების ჯგუფი (პირველი ოცეული)
ნორვეგია ავსტრალია კანადა ირლანდია შვედეთი შვეიცარია იაპონია ნიდერლანდები საფრანგეთი ფინეთი აშშ დანია ავსტრია გაერთიანებული სამეფო ბელგია ლუქსემბურგი გერმანია ისრაელი ჰონკონგი ახალი ზელანდია	ყაზახეთი კოლუმბია უკრაინა ტაილანდი ჩინეთი თურქეთი სომხეთი იორდანია პერუ ლიბანი ეკვადორი ფილიპინები ირანი ტუნისი აზერბაიჯანი საქართველო სურინამი შრი ლანკა პარაგვაი ფიჯი	უგანდა გამბია სენეგალი ნიგერია ტანზანია გვინეა რუანდა ანგოლა ბენინი მალავი ზამბია ბურუნდი კონგო ეთიოპია ჩადი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მოზამბიკი მალი გვინეა-ბისაუ ბურკინა ფასო

წყარო: საერთაშორისო ინდექსები და საქართველო (იხ. www.nplg.gov.ge)

ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზის დროს ფართოდ გამოიყენება ისეთი გავრცელებული ზოგადი შეწონილი სტატისტიკური მაჩვენებელი, როგორცაა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ეს ინდექსი 10 მაჩვენებელს ითვალისწინებს. ესენია: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოს ჩარევა; მონეტარული თავისუფლება; ინვესტიციების თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; ქონებრივი უფლებები; კორუფციისგან თავისუფლება; სამუშაო ძალის თავისუფლება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაიანგარიშება 165 ქვეყნის მიხედვით და მათ ენიჭება სარეიტინგო ქულები 0-დან 100-მდე. ამის შემდეგ ხდება ქვეყნების რანჟირება ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით და 5 ჯგუფის გამოყოფა: **80-100** ქულა – ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები; **70-79,9** ქულა - ძირითადად თავისუფალი; **60-69,9** ქულა - ზომიერად თავისუფალი; **50-59,9** ქულა - ძირითადად არათავისუფალი და **0-49,9** ქულა - ეკონომიკურად რეპრესირებული ქვეყნები.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველო 1996 წელს იყო 123-ე ადგილზე და ეკონომიკურად რეპრესირებული ქვეყნების ჯგუფში. 2008 წელს იგი იყო უკვე 32-ე ადგილზე და მოხვდა ზომიერად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში, ხოლო ამჟამად იგი არის უფრო ზედა - ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში.

როგორც ზოგადად სტატისტიკური მეცნიერება, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკაც მოვლენებისა და პროცესების შესწავლას ახორციელებს კონკრეტული დროისა და სივრცის პირობებში. ასევე, მათ რაოდენობრივ ცვლილებებს იკვლევს თვისებრივ მხარესთან ერთად. მაგალითად, თუ რომელიმე განვითარებადი ქვეყანა დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მიაღწევს უფრო მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებლებს სათანადო ინდიკატორების მიხედვით (მშპ 1 მცხოვრებზე, ჰუმანური განვითარების ინდექსი და სხვ.), მაშინ ის გადავა თვისებრივად ახალ ჯგუფში – განვითარებულ ქვეყნებში, რომელსაც ექნება შესაბამისად განსხვავებული რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მაშასადამე, საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის რაობა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა არის სტატისტიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული პროცესების ევოლუციას და ახდენს მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარებას კონკრეტული დროისათვის.**

საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა მოვლენებისა და პროცესების შესწავლისას ფართოდ იყენებს სტატისტიკური მეცნიერების მეთოდებს, განსაკუთრებით კი – დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, გრაფიკული გამოსახვის, საინდექსო მეთოდებს, დროითი მწკრივების ანალიზსა და პროგნოზირებას. შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად ფართოდ გამოიყენება ასევე თანამედროვე სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, როგორცაა SPSS, STATA, R და სხვ.

13. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ძირითადი ამოცანები თანამედროვე ეტაპზე

საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა მრავალ ამოცანას ახორციელებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით, რომელთაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- 1) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის ევოლუციის შესწავლა და განზოგადება;

- 2) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციული სისტემების შესწავლა და განზოგადება;
- 3) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკის სამართლებრივი (საკანონმდებლო) ბაზის შესწავლა და განზოგადება;
- 4) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- 5) ცალკეული ქვეყნების მიხედვით ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- 6) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება და დამუშავება;
- 7) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკურ მონაცემთა სპეციალური (დარგობრივი, თემატური) ბანკების შექმნა;
- 8) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკურ მონაცემთა პუბლიკაცია სხვადასხვა ფორმით (ამ ქვეყნების ოფიციალურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით);
- 9) ცალკეული ქვეყნების მიხედვით ოფიციალური და საუწყებო სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- 10) ცალკეული ქვეყნების მიხედვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეფასება (ექსპერტიზა);
- 11) ცალკეული ქვეყნების მიხედვით სტატისტიკოსთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- 12) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით საერთაშორისო სტატისტიკური კონფერენციებისა და სემინარების ჩატარების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- 13) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

ამ ამოცანების შესრულება არ არის მარტივი და თუ ცალკეული ქვეყნების მიხედვით განვიხილავთ, ყველა ამ ამოცანის შესრულება ნებისმიერ ქვეყანაში არც და ვერც ხორციელდება. ამიტომ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკას ძირითადი აქცენტი გადატანილი აქვს განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლასა და მის განზოგადება-გავრცელებაზე.

14. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ურთიერთკავშირი მეცნიერების სხვა დარგებთან

საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა, როგორც სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირშია როგორც სტატისტიკის ზოგად თეორიასთან, ასევე სტატისტიკის ყველა იმ მიმართულებასთან, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს და დარგს. იგი ფართოდ იყენებს მაკრო და მიკროეკონომიკური სტატისტიკის, ბიზნესის სტატისტიკის, საერთაშორისო სტატისტიკის, სოციალური სტატისტიკის, სამედიცინო სტატისტიკის, დემოგრაფიული სტატისტიკის და სხვ. ინფორმაციას. თავის მხრივ, ყველა აქ ჩამოთვლილი დარგი იყენებს საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის მონაცემებსა და კვლევის შედეგებს.

სტატისტიკური მეცნიერების დარგების გარდა, საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა მჭიდრო კავშირშია მეცნიერების სხვა დარგებთანაც, როგორცაა ეკონომიკური თეორია და უშუალოდ მაკროეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო ბიზნესი, საფინანსო-საბანკო საქმე, დემოგრაფია და სხვ. ეს ურთიერთკავშირი ვლინდება იმაში, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა ფართოდ იყენებს ამ მეცნიერებების ცნებებს, კატეგორიებსა და თეორიულ დებულებებს და ასაბუთებს მათ სათანადო სტატისტიკური მაჩვენებლების საშუალებით. თავის მხრივ, მეცნიერების დასახელებული დარგები კვლევის პროცესში ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის რაოდენობრივ მონაცემებსა და კვლევის შედეგებს, რის საფუძველზედაც ასაბუთებენ შესაბამის კანონზომიერებებს კონკრეტული დროისა და ტერიტორიის მიხედვით. აღნიშნული ურთიერთკავშირის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითი საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ. სანამ საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა შესაბამის მონაცემებს შეაგროვებდეს, მანამდე იგი უნდა გაეცნოს „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების“ ცნებასა და შინაარსს. ამის განსაზღვრა კი სტატისტიკის პრეროგატივა არ არის. იგი უნდა დაადგინოს და თეორიულად განმარტოს მეცნიერების შესაბამისმა დარგმა. ამის შემდეგ კი საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა შეაგროვებს, დაამუშავებს და გააანალიზებს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს თვეების, კვარტალების თუ წლების მიხედვით და, ამასთან ერთად, ტერიტორიის მიხედვითაც, ანუ კონკრეტულად რომელი ქვეყნიდან რა მოცულობის პირდაპირი ინვესტიციებია შემოსული. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 3. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები \ წელი	2000	2005	2007	2010	2012
სულ, მლნ აშშ დოლარი	131,2	449,8	2,014,8	814,5	865,2
მათ შორის:					
ევროკავშირის ქვეყნები - სულ	41,6	243,8	1,132,7	248,2	402,2
ევროკავშირის ქვეყნებიდან 10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა (2012 წლის მიხედვით)					
გერმანია	3,3	5,0	57,0	12,9	141,7
ნიდერლანდები	4,4	0,5	299,3	73,4	87,6
გაერთიანებული სამეფო	4,8	132,9	145,5	59,0	66,8
ლუქსემბურგი	-	0,6	9,3	7,1	41,8
კვიპროსი	3,9	47,5	148,6	40,4	39,6
საფრანგეთი	-	14,4	43,7	-7,8	26,9
მალტა	-	-	-	16,8	13,4
ავსტრია	-	243,8	11,4	10,1	7,6
სლოვაკეთი	-	-	-	0,01	5,3
ესპანეთი	-	-	3,6	0,1	4,4
დსთ-ის ქვეყნები - სულ	6,1	107,8	238,4	91,2	114,2
დსთ-ის ქვეყნებიდან 5 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა (2012 წლის მიხედვით)					
აზერბაიჯანი	-	66,9	41,4	58,0	72,7
რუსეთი	6,1	-	89,0	47,9	25,6
ყაზახეთი	-	-	88,5	-16,6	11,8
ყირგიზეთი	-	-	-	14,1	6,2
სომხეთი	-	0,4	-4,9	-16,5	3,1

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

გარდა ამისა, სტატისტიკა შეისწავლის ასევე, თუ რომელ სექტორში და რა მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელა ამა თუ იმ ქვეყანამ კონკრეტულ პერიოდში. ამის შემდეგ გაიანგარიშებს სათანადო აბსოლუტურ,

შეფარდებით თუ საშუალო სიდიდეებს და ცვლილების ტემპებს. აღნიშნული მაჩვენებლების გამოსახვა სათანადო თანმიმდევრული მწკრივებით დროის მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის და გრაფიკული გამოსახვით კი გამოვლინდება შესაბამისი რაოდენობრივი კანონზომიერებები. საბოლოოდ, ასეთი ანალიზის შედეგად შესაძლებელია უკვე მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

15. ტესტები

1. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა არის:

- ა) საერთაშორისო ეკონომიკის დარგი;
- ბ) მსოფლიო ეკონომიკის დარგი;
- გ) სტატისტიკის დარგი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის შესწავლის ობიექტია:

- ა) ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული პროცესების ევოლუცია და რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარება.
- ბ) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანების საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები;
- გ) ცალკეულ ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები;
- დ) ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ურთიერთობები.

3. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მხოლოდ:

- ა) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება და დამუშავება;
- ბ) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკის ორგანიზაციული სისტემების შესწავლა;
- გ) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

4. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- ა) ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში დემოგრაფიული ურთიერთობები;
- ბ) ცალკეული ქვეყნების მიხედვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეფასება (ექსპერტიზა);
- გ) ცალკეულ ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები;
- დ) ცალკეულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებში საერთაშორისო სოციალური ურთიერთობები.

5. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- ა) ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით საერთაშორისო სტატისტიკური კონფერენციებისა და სემინარების ჩატარების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება ცალკეული ქვეყნების მიხედვით;
- გ) ცალკეული ქვეყნების მიხედვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეფასება (ექსპერტიზა);
- დ) სამივე პასუხი სწორია.

6. ამ ქვეყნებიდან (პაკისტანი, ბრაზილია, რუსეთი, ნიგერია) ყველაზე მეტი მოსახლეობაა:

- ა) პაკისტანში; ბ) ნიგერიაში; გ) ბრაზილიაში; დ) რუსეთში.

7. ამ ქვეყნებიდან (გერმანია, ვიეტნამი, ფილიპინები, ეთიოპია) ყველაზე მცირე მოსახლეობაა:

- ა) ეთიოპიაში; ბ) ვიეტნამში; გ) გერმანიაში; დ) ფილიპინებში.

8. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2010-2012 წლებში ყველაზე მეტი განახორციელა:

- ა) ავსტრიაში; ბ) ჰოლანდიაში; გ) გერმანიაში; დ) საფრანგეთში.

9. დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2010-2012 წლებში ყველაზე მეტი განახორციელა:

- ა) აზერბაიჯანში; ბ) რუსეთში; გ) უკრაინაში; დ) სომხეთში.

10. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012 წელს დსთ-ის ქვეყნებთან შედარებით განხორციელდა:

- ა) 2,5-ჯერ მეტი; ბ) 3-ჯერ მეტი; გ) 3,5-ჯერ მეტი; დ) 4-ჯერ მეტი.

თემა 2. სტატისტიკის ისტორიული ევოლუცია და თანამედროვე ორგანიზაცია ევროკავშირის ქვეყნებში: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

2.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება გერმანიაში

თანამედროვე მსოფლიოში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სტატისტიკის სისტემა გააჩნია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს კანონზომიერიცაა, რადგან ისტორიულად სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, სწორედ გერმანიაში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში და სტატისტიკა, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო საგანი, ისტორიაში პირველად სწორედ გერმანელი მეცნიერის, ფილოსოფიისა და სამართლის პროფესორის გოტფრიდ ახენვალის მიერ იქნა წაკითხული 1746 წელს მარბურგის უნივერსიტეტში, ხოლო ორი წლის შემდეგ – გიოტინგენის (Göttingen) უნივერსიტეტში. ⁴

გოტფრიდ ახენვალი დაიბადა 1719 წელს პრუსიაში, პატარა ქალაქ ელბინგში. 1738-1742 წლებში ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიასა და იურისპრუდენციაში იენის, ჰალეს და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. პოსტ-სადოქტორო (ჰაბილიტაციის) დისერტაცია დაიცვა მარბურგის უნივერსიტეტში, ხოლო მანამდე მაგისტრის ხარისხი მიღებული ჰქონდა ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1748 წლიდან გ. ახენვალი იყო გიოტინგენის უნივერსიტეტის დოცენტი და შემდეგ პროფესორი. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტატისტიკას იგი განიხილავდა როგორც სახელმწიფო მეცნიერებას, ანუ სახელმწიფოსმცოდნეობას (Staatswissenschaft). იგი წერდა, რომ „ევროპის სხვადასხვა ქვეყნის იურიდიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის მახვენებლების ურთიერთშედარებას სტატისტიკა ნათლად აჩვენებს...“. ⁵ გოტფრიდ ახენვალი გარდაიცვალა 1772 წელს ქალაქ გიოტინგენში. უდავოა, რომ მსოფლიოში სტატისტიკის საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის.

ოფიციალური სტატისტიკის სისტემის ჩამოყალიბება გერმანიაში დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში. პირველი ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა 1805 წელს იმდროინდელ პრუსიის იმპერიაში სახელწოდებით „პრუსიის სტატისტიკის ბიურო“. შემდგომ მას მოჰყვა ბავარიისა და ვიურტემბერგის სტატისტიკის ბიუროების შექმნა (შესაბამისად 1808 და 1820 წლებში). ერთ-ერთი პირველი ოფიციალური სტატისტიკის სამსახური იყო ასევე 1834 წელს ჩამოყალიბებული გერმანიის ერთიანი საბაჟო სტატისტიკის სამსახური. როგორც ცნობილია, 1872 წელს გაერთიანდა გერმანიის სხვადასხვა სამეფოები (ლანდები) და შეიქმნა გერმანიის იმპერია. მისი შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაცია სახელწოდებით „საიმპერიო სტატისტიკური სამსახური“. იმავდროულად, ცალკეულ ლანდებში არსებული სტატისტიკის ბიუროები შენარჩუნებული იქნა. საიმპერიო

⁴ John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884, s. 74.

⁵ John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884, s. 75.

სტატისტიკურმა სამსახურმა დამოუკიდებლად იარსება 1918 წლამდე: ამ წელს იგი შეუერთდა გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს, თუმცა დამოუკიდებელ ორგანიზაციებად დარჩნენ ლანდების სტატისტიკის ბიუროები. ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა სტატისტიკის ისეთი დარგები, როგორცაა სახელმწიფო ფინანსების, ფასების, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების (ანუ შინამეურნეობების) სტატისტიკა და სხვ.

1933 წელს, გერმანიის ხელისუფლებაში ადოლფ ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, სახელმწიფო სტრუქტურებში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, რაც დამახასიათებელი იყო დიქტატორული მართვის სისტემისათვის. ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გადაიქცა პოლიტიკურ ინსტრუმენტად და, მათ შორის, სტატისტიკის სამსახურიც. თვით ლანდების სტატისტიკის სამსახურებიც უშუალოდ იმპერიის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ დადგენილ სამუშაოებს ასრულებდნენ. ასეთი ნეგატიური სიტუაცია გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე, ანუ 1945 წლამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მთელი ტერიტორია დაიყო სხვადასხვა საკონტროლო (სამხედრო-ადმინისტრაციულ საოკუპაციო) ზონებად, კერძოდ, ესენი იყო: საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ზონები. შესაბამისად, 1945 წელს საბჭოთა არმიის საოკუპაციო ზონაში, ანუ აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, რომლის მთავარი ოფისი მდებარეობდა ბერლინში. ანალოგიურად, 1946 წელს დიდი ბრიტანეთის საკონტროლო ზონაში, ანუ ძირითადად ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, ასევე შეიქმნა სტატისტიკის სამმართველო, რომლის ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქ. ჰამბურგში. 1948 წელს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საკონტროლო ტერიტორიებზე შეიქმნა ე. წ. „გაერთიანებული ეკონომიკური ზონების სტატისტიკური სამმართველო“, რომლის ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ქ. ვისბადენში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) შექმნის შემდეგ, 1950 წელს ჩამოყალიბდა ახლანდელი ფედერალური სტატისტიკური სამმართველო (ქ. ვისბადენი) და შესაბამისად, მიწების (ლანდების) სტატისტიკური სამმართველოები. იმავე წელს ფედერალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის პირველი აღწერა (რა თქმა უნდა, იმდროინდელი გფრ-ის საზღვრებში). ანალოგიურად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) შექმნის შემდეგ, 1951 წელს ჩამოყალიბდა გდრ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ბერლინში და შესაბამისად, რეგიონების ტერიტორიული სტატისტიკური სამმართველოები. გერმანიის ტერიტორიაზე (ორივე სახელმწიფოში) ოფიციალური სტატისტიკის ასეთი სისტემა ფუნქციონირებდა გერმანიის გაერთიანებამდე, ანუ 1991 წლამდე. 1991 წელს გდრ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუერთდა გფრ-ის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს, რომლის ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ქ. ვისბადენში (და

ახლაც იქ არის), თუმცა ზოგიერთი ცენტრალური ქვედანაყოფი ფუნქციონირებს ბონსა და ბერლინშიც.

1950 წლიდან დღემდე (2014 წელი) ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჰყავდა 9 პრეზიდენტი და მათგან იყო ასევე ქალიც (დოქტორი ჰილდეგარდ ბარტელსი), რომელიც 8 წლის განმავლობაში (1972-1980 წლები) ხელმძღვანელობდა მას.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ისტორიაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 2012 წლის ივნისში, როდესაც გფრ-ის მთავრობამ დაამტკიცა „ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს სტრატეგია და პროგრამების გეგმა 2012-2016 წლებისათვის“.¹ აღნიშნულ დოკუმენტში ძირითად მიმართულებებად გამოყოფილია შემდეგი:

1. ფედერალური სტატისტიკური სამმართველო გერმანიის და ევროპის სტატისტიკის სისტემაში;
2. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობა და სტრატეგიული მიზნები;
3. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს 2012-2016 წლების პროგრამა.

აღნიშნულ დოკუმენტში მრავალრიცხოვან საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერული კვლევებისა და სტატისტიკური მეთოდების განვითარებასა და სრულყოფას, სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და მათი გამოყენების გაფართოებას, კითხვარებისა და სტატისტიკური ფორმულარების სრულყოფას, მუშაობის კოორდინაციას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის და სხვ.

აღნიშნულ დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მთავრობის, პარლამენტისა და საზოგადოების უზრუნველყოფაზე მრავალფეროვანი და ხარისხიანი „სტატისტიკური პროდუქციით“.

2.2. სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს გარკვეული ოფიციალური ორგანო, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა სტატისტიკის წარმოების ვალდებულება. ამის ახსნა თუნდაც იმით არის

⁶ Strategie- und Programmplan für die Jahre 2012 bis 2016. Statistisches Bundesamt, Wiesbaden, 2012.

შესაძლებელია, რომ პერმანენტული სტატისტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად საჭიროა დიდი რაოდენობით ფულადი რესურსები და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოფიციალურ ორგანოს შეუძლია კანონით მინიჭებული უფლებებით აიძულოს რესოდენტები დროულად მიაწოდონ მას მისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია. სწორედ ეს არის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკას შორის.

პრინციპში, ნებისმიერ დაწესებულებას აქვს უფლება ჩაატაროს სტატისტიკური გამოკვლევა, ანუ ყველას აქვს უფლება “აწარმოოს სტატისტიკური ინფორმაცია”. მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ სათანადო კანონებისა და შესაბამისი უფლება-მოვალეობების სრული დაცვის პირობებში.

2.2.1. ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკა გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებს მიეკუთვნება:

- ორგანოები, რომლებიც სპეციალურად გამოიყოფა სახელმწიფო აპარატში სტატისტიკური სამუშაოების ჩასატარებლად. ასეთია, მაგალითად: ფედერალური სტატისტიკური სამმართველო, მიწების სტატისტიკური სამმართველოები და მუნიციპალიტეტების სტატისტიკური ორგანოები.
- სახელმწიფო ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურები, რომელთა ფუნქციაა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და განზოგადება, ანუ ისეთი ოფიციალური ორგანოს სტატისტიკური ქვედანაყოფები, რომელთა პირველად (ძირითად) ამოცანებში არ შედის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება. მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკი, ფედერალური შრომის ბირჟა, საავტომობილო ტრანსპორტის ფედერალური სამმართველო და სხვა.

ამ აზრით, შეგვიძლია გავმიჯნოთ დამოუკიდებელი და დამოკიდებული (ანუ განუყოფელი) ოფიციალური სტატისტიკა. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია “ორგანიზაციის გარე სტატისტიკა”, რაც დაკავშირებულია ამ ორგანოს მიერ ჩატარებულ სტატისტიკურ კვლევებთან (მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკა) და არ არის დაკავშირებული “ადმინისტრაციული სტატისტიკის” სპეციალური გამოკვლევების ჩატარებასთან (მაგალითად, შრომის ბაზრის სტატისტიკა, რომელსაც ამუშავებს ფედერალური შრომის ბირჟა). ადმინისტრაციული სტატისტიკა ისეთი ინფორმაციაა, რომელიც შეგვიძლია ვიპოვოთ რომელიმე ოფიციალური ორგანოს სამუშაო დოკუმენტებში ან ინტერანეტში და შეიძლება იყოს ან არ იყოს გამოქვეყნებული. ეს მონაცემები ჩნდება მოცემული ორგანოს სამუშაოს შესრულების პროცესში და მისი შეგროვება არ არის დაკავშირებული გარკვეული სტატისტიკური სამუშაოების ჩატარებასთან. ამ ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, სტატისტიკის სამმართველომ ან სხვა ორგანოებმა შეიძლება გამოიყენონ ეს ინფორმაცია და გამოაქვეყნონ იგი აგრეგირებული ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სტატისტიკა

იგივე ოფიციალური სტატისტიკაა და მას იგივე შეზღუდვები გააჩნია (მაგალითად, კონფიდენციალობის დაცვა). ის არ უნდა აგვერიოს ინფორმაციის ღია წყაროებთან და საჯარო რეგისტრთან. ასეთი სტატისტიკის ჩატარება შესაძლებელია სპეციალური საკანონმდებლო აქტების არსებობის გარეშეც.

ოფიციალური სტატისტიკის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ტარდება იურიდიული კანონების და ბრძანებების საფუძველზე, რის გამოც ოფიციალურ ორგანოს შეუძლია აიძულოს რესპონდენტს უპასუხოს მის კითხვებს. ამასთან ერთად, ეს ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაასაჯაროონ ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან. სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევების უმრავლესობას ატარებენ სახელმწიფო ორგანიზაციები, ხოლო არაოფიციალური სტატისტიკა, თავის მხრივ, ამუშავებს ოფიციალური სტატისტიკის მიერ მიღებულ მონაცემებს, რათა პასუხი გასცეს სხვადასხვა კითხვას. იგი არ არის შეზღუდული მხოლოდ მონაცემების გადმოცემით, იგი ასევე აანალიზებს და იყენებს განსხვავებულ მეთოდებს, ფორმულებსა და სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს. მაშასადამე, არსებობს გარკვეული შრომის დანაწილება ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკებს შორის. ასეთი სისტემის შექმნის არგუმენტი იყო ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უნდოდათ შეექმნათ ისეთი სტატისტიკური ორგანოები, რომლებზეც ცალკეული პოლიტიკოსები ვერ მოახდენდნენ ზეგავლენას. შრომის ასეთი დაყოფა გულისხმობს იმას, რომ სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება ეკისრება სხვადასხვა ორგანიზაციებს, ექსპერტთა კავშირებს და ზოგ შემთხვევაში ოფიციალური ორგანოების განსაკუთრებულ განყოფილებებს. ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში ბალანსი შეიძლება მიღწეული იქნეს სხვადასხვა ორგანიზაციების ჯანსაღი კონკურენციის გამწვავების ხარჯზე, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთ შემთხვევაში ოფიციალურ სტატისტიკას შეკვეცა და ჩვეულებრივ რეგისტრაციად გადაქცევა ემუქრება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიაში ოფიციალური სტატისტიკის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ქვეყნის საერთო ქონება (ინფორმაციული ინფრასტრუქტურა), რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს იგი.

2.2.2. არაოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციები გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არაოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციებს მიეკუთვნება:

- 1) სხვადასხვა ეკონომიკური კავშირები და გაერთიანებები (მაგალითად, გარკვეული “დარგის” საწარმოების კავშირი);
- 2) პროფესიული კავშირებისა და პარტიების სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური და სხვა ინსტიტუტები (მაგალითად, პროფკავშირების სამეცნიერო-კვლევითი სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, საწარმოთა ფედერალური კავშირის გერმანული ინსტიტუტი და სხვა);

- 3) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის შესწავლაზე;
- 4) სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც უმეტესად ორგანიზებულები არიან როგორც სახელმწიფო, ან არასახელმწიფო ორგანიზაციები და აქვთ კავშირების ოფიციალური სახე (მაგალითად, გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი (DIW) ქ. ბერლინში, მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი (IWW) ქ. კილში, ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი ქ. მიუნხენში, რეინ-ვესტფალიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი (RWD) ქ. ესენში და სხვ.);
- 5) თავისუფალი, მაგრამ თავისი არსით მაინც “ნახევრად ოფიციალური” ორგანიზაციები. ასეთია, მაგალითად, საერთო ეკონომიკური განვითარების ექსპერტთა კავშირი და სხვ.

სტატისტიკის არაოფიციალური მწარმოებლების უმრავლესობა გაერთიანებულია “ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამუშაო ჯგუფში”, რომლის წევრები ასევე არიან ფედერალური სტატისტიკური სამმართველო და გერმანიის ფედერალური ბანკი.

2.3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ორგანიზაციული პრინციპები

ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების საქმიანობა გერმანიაში ემყარება სამ მთავარ პრინციპს. ესენია:

- 1) საგნობრივი ცენტრალიზაცია (დამოუკიდებელი სტატისტიკის პრევალირება), ანუ საგნობრივი კონცენტრაცია;
- 2) რეგიონალური დეცენტრალიზაცია;
- 3) კანონიერების პრინციპი (ყოველი გამოკითხვის ჩატარება კანონით უნდა იყოს სანქცირებული).

პირველი პრინციპი: საგნობრივი ცენტრალიზაცია. საგნობრივი ცენტრალიზაციის ქვეშ იგულისხმება სტატისტიკის ჩატარებაზე ორიენტირებული ორგანოს არსებობა, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ყველა მიმართულება. ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთი და ანგლოსაქსური ქვეყნები) ეს პრინციპი არ არის დაცული. სტატისტიკური ორგანოები ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს და ატარებენ ნებისმიერ სტატისტიკურ გამოკვლევას, მათ შორის სოფლის მეურნეობის სტატისტიკას, ფინანსების სტატისტიკას, ტრანსპორტის სტატისტიკას და ა.შ. ამით ისინი ცდილობენ მოახდინონ თავიანთი მუშაობის რაციონალიზაცია. საგნობრივ ცენტრალიზაციას მიყვავართ იმ შედეგამდე, რომ დიდი რაოდენობით ინფორმაცია

კონცენტრირებულია ერთ ადგილზე. ასეთი სპეციფიკური სახელწოდებით - “განუყოფელი სტატისტიკა”, რომელის არღვევს საგნობრივი ცენტრალიზაციის პრინციპს, შეიძლება შეგვხვდეს რამოდენიმე დარგში, როგორებიცაა: საბანკო სტატისტიკა (ატარებს გერმანიის ფედერალური ბანკი), სადაზღვევო საქმის სტატისტიკა, შრომის ბაზრის სტატისტიკა (ატარებს ფედერალური შრომის ბირჟა), სახელმწიფო სოციალური დახმარებისა და სოფლის მეურნეობის რამდენიმე ქვესექტორში, ასევე ჯანდაცვაში, განათლებაში და სამართლებრივ სტატისტიკაში.

მეორე პრინციპი: რეგიონალური დეცენტრალიზაცია. მეორე ორგანიზაციული პრინციპი - რეგიონალური დეცენტრალიზაცია დაკავშირებულია გერმანიის სახელმწიფოს ფედერალურ მოწყობასთან. ფედერალური სტატისტიკური სამმართველო ფორმალურად ფედერალურ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია, მაგრამ ის არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ქ. ვისბადენში, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილები (ანუ ფილიალები) განთავსებულია ბერლინსა და ბონში. იგი პირველ რიგში პასუხისმგებელია სტატისტიკის ფედერალურ დონეზე (ფედერალური სტატისტიკის) წარმოებაზე და უზრუნველყოფს მის (ფედერალური სტატისტიკის) მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ მომზადებას, ასევე სტატისტიკის შედეგების გამოქვეყნებას. მაგრამ პრაქტიკული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება ფედერალურ დონეზე და თავისთავად “მიწების” დონეზეც უმრავლესად ეკისრება ამ “მიწების” სტატისტიკურ სამმართველოებს (ზოგჯერ მუნიციპალიტეტთან მჭიდრო კავშირში). გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი სფეროს სტატისტიკა, როგორიცაა: საერთაშორისო და საბითუმო ვაჭრობის სტატისტიკა, საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა და სხვა (ამგვარი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მთლიანად ეკისრება სტატისტიკის ფედერალურ სამმართველოს). გერმანიაში მიიჩნევენ, რომ ეს სისტემა იდეალურია, რადგან “მიწების” სტატისტიკური ორგანოები უკეთ არიან გათვითცნობიერებულები საკუთარი ოლქების თავისებურებებში; თუმცა პრაქტიკამ ამ პრინციპის გარკვეული ნაკლოვანებებიც აჩვენა.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის ფედერალური სამმართველოს დაქვემდებარებაში, შტატების („ლანდების“) სტატისტიკური სამმართველოების გარდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა (მათ შორის კვლევითი ინსტიტუტები). ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, **მოსახლეობის კვლევის ფედერალური ინსტიტუტი**, რომელიც დემოგრაფიის მიმართულებით ერთ-ერთი მძლავრი კვლევითი ორგანიზაციაა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

- 1) ოჯახისა და ბავშვთა დემოგრაფიული კვლევა;
- 2) დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები;
- 3) მიგრაცია;
- 4) პროფესიული მობილობა;
- 5) მოსახლეობის დაბერება;
- 6) მეთოდოლოგია;
- 7) მონაცემთა დამუშავება-სისტემატიზაცია.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ასევე სხვადასხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, როგორცაა, მაგალითად, სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება და სხვ.

მოსახლეობის კვლევის ფედერალური ინსტიტუტი რეგულარულად უშვებს სხვადასხვა პუბლიკაციებს და გერმანიის დემოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად ყოველწლიურად ატარებს თემატურ კონფერენციებს დემოგრაფიის პრობლემებზე.⁷

მესამე პრინციპი: კანონიერების დაცვა. კანონიერების პრინციპი გვეუბნება, რომ ნებისმიერ გამოკითხვას უნდა გააჩნდეს იურიდიული საფუძველი კანონის სახით. გამონაკლისია სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც აიღება თავისუფალი წყაროებიდან და საჯარო რეგისტრებიდან. კანონი განსაზღვრავს გამოკითხვების მიზნებს, პროგრამას და დანახარჯებს. გამონაკლისის სახით კვლევის ჩასატარებლად საკმარისია მიღებული იქნას სათანადო ნორმატიული აქტი ხანგრძლივობით სამ წლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე ნორმატიული აქტის საფუძველზე სტატისტიკური გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს არა ნებისმიერ სფეროში. სტატისტიკური გამოკვლევების მომზადების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს საცდელი გამოკითხვა, რომლის მიზანია შეირჩეს გამოსაკითხ პირთა შერჩევითი ერთობლიობა, დადგინდეს კითხვარების ვარგისიანობა და ა.შ. ასეთი საცდელი კვლევები არ მოითხოვს ნორმატიული აქტის მიღებას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ცალკეული გამოკვლევისთვის მიღებული უნდა იქნეს სპეციალური კანონი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ოფიციალური სტატისტიკის მოქმედება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მის ორგანოებზე, არამედ საკანონმდებლო და სამთავრობო ორგანოებზე, ანუ პარლამენტსა და სამინისტროებზე. მხოლოდ ამ დაწესებულებებს შეუძლია სტატისტიკური აღწერისა და გამოკითხვის ჩატარების ბრძანების ან სხვა იურიდიული აქტის გამოცემა. ასეთ სამართლებრივ აქტში ჩაიწერება გამოკითხულთა წრე, მათი მაქსიმალური რაოდენობა, გამოკითხვის დრო, გამოკითხვის დანახარჯები და სხვა. კანონის მიღების გრძელი პროცედურა უზრუნველყოფს მოცემული გამოკვლევის შესახებ ყოველი რაციონალური მოსაზრების გათვალისწინებას.

კანონში სტატისტიკის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა გერმანიაში 1980 წელს, მე-6 მუხლის IV პარაგრაფში ასევე გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ შეჩერებული იქნას სტატისტიკური კვლევა ნორმატიული აქტის საფუძველზე ხანგრძლივობით სამ წლამდე. იგივე კანონის მე-6 მუხლის III პარაგრაფში გათვალისწინებულია შესაძლებლობა შეჩერებული იქნას სტატისტიკური კვლევა ნორმატიული აქტის საფუძველზე ხანგრძლივობით ოთხ წლამდე, ასევე გამოკვლევის გადატანა სხვა დროისათვის, გამოკითხულთა რაოდენობის შემცირება,

⁷ სახელმძღვანელოს ავტორი 2001-2012 წლებში 4-ჯერ მონაწილეობდა ამ კონფერენციებში და დღემდე სისტემატურად იღებს სპეციალურ პუბლიკაციებს მათგან.

გამოკითხვის ზოგიერთ კითხვაზე პასუხების აუცილებლობის (ვალდებულების) მოხსნა და ა. შ.

იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომელთა ეკონომიკაც დაფუძნებულია კონკურენციასა და კერძო საკუთრებაზე, სტატისტიკური მონაცემების მიწოდება, ერთის მხრივ, ხოლო კონფიდენციალობის დაცვა, მეორეს მხრივ, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, ხოლო მოპოვებული მონაცემების შედეგად საერთო სურათი (კრებსითი, ჯამური მაჩვენებლები) ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაშინ როდესაც არადემოკრატიულ ქვეყნებში მდგომარეობა საპირისპიროა: ამ ქვეყნებში სტატისტიკის შედეგები უმეტეს შემთხვევებში განიხილება როგორც სახელმწიფო საიდუმლოება და არ ხდება მათი გამოქვეყნება.

როგორც წესი, რესპოდენტი ვალდებულია მიაწოდოს კვლევის ჩამტარებელ ორგანოს სწორი, სრული, უსასყიდლო და დროული ინფორმაცია. თავისთავად არ არის სწორი, მოსთხოვო ეს რესპოდენტებს (განსაკუთრებით მეწარმეებს) და ამასთან, არ მისცე კონფიდენციალობის დაცვის გარანტია. ინფორმაციის კონფიდენციალობას გერმანიაში იცავს სისხლის სამართლის ზოგადი კოდექსი (სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე პარაგრაფი). ამ პარაგრაფის თანახმად, დაცულ პირთა შორის არიან არა მხოლოდ გამოკითხულები, არამედ ის პირებიც, რომლებსაც შეიძლება შეეხოს ამ გამოკითხვის დეტალები (ამ შემთხვევაში ეს ასევე ეხება შტატგარეშე აღმწერებს, ანუ რეგისტრატორებსაც). ამასთან, ინფორმაციის დამალვა არის ადმინისტრაციული კანონდარღვევა და შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით 10 000-მდე ევროს ოდენობით, მაშინ როდესაც კერძო (ინდივიდუალური, მაიდენტიფიცირებელი) ინფორმაციის გამოქვეყნება არის სისხლის სამართლის დანაშაული.

კონფიდენციალობის დაცვას არ ექვემდებარება ყველასათვის ცნობილი ფაქტები, ასევე გამოკითხულთა მისამართები. დუბლირების თავიდან ასაცილებლად ასევე შესაძლებელია პირადი ინფორმაციის გადაცემა სხვა სახელმწიფო ორგანოებისადმი, რესპოდენტების ვინაობის დაკონკრეტების გარეშე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომელიმე ოფიციალური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე) ასევე შესაძლებელია რესპოდენტების ვინაობის გამხელაც. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი კანონში და თვით კითხვარზე იქნება აღნიშნული, ამ ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა და ამის შესაძლო მიზეზები. მხოლოდ ისეთი მონაცემების გამოქვეყნებაა შესაძლებელი, რომელთა მიხედვით ვერ ისაუბრებ რომელიმე კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის მდგომარეობაზე, ანუ ინფორმაცია უნდა იყოს კრებსითი (როგორც მინიმუმ, სამი რესპოდენტის პასუხების ჯამს მაინც უნდა შეადგენდეს). ამის შედეგია ის, რომ ცალკეული რეგიონების თუ მცირე დარგების სტატისტიკა არ არის კარგად განვითარებული.

აქ განხილულ ორგანიზაციულ პრინციპებს დიდი ზეგავლენა გააჩნიათ ოფიციალური სტატისტიკური სამსახურების მეთოდებსა და პროგრამაზე, თემებზე, რომლებსაც ეხება ან არ ეხება სტატისტიკური გამოკითხვები, მიღებული ინფორმაციის აქტუალობასა და სისწორეზე, ყოველ გამოკვლევასთან დაკავშირებულ დანახარჯების მოცულობაზე და მრავალ სხვა ასპექტზე.

2.4. გერმანიაში თავისუფალი სტატისტიკური გამოკვლევების ზოგადი მიმოხილვა

იმის გამო, რომ ნებისმიერ გამოკვლევაში აუცილებელია დაბალანსებული დანახარჯების პრინციპის დაცვა და ასევე, მოსახლეობის აღწერის ირგვლივ აგორებულ დისკუსიაზე დაყრდნობით, ზოგიერთ ადამიანს შეიძლება შეექმნას წარმოდგენა, რომ თავისუფალი გამოკითხვა არის ყველაზე “რბილი სახე” გამოკითხვებს შორის. ამ თემის ირგვლივ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა უამრავი პრობლემა, რომელიც თან სდევს თავისუფალ გამოკვლევას. ასეთი ტიპის გამოკვლევებს დიდი ადგილი უკავიათ ოფიციალური სტატისტიკის შედგენის საკითხში, რადგან ბევრ კითხვაზე რესპოდენტი არ არის ვალდებული უპასუხოს ინტერვიუერს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც კვლევის საგანი განსაკუთრებით რთულია და ასევე მაშინ, როდესაც სტატისტიკური ინფორმაციის სწორი შეგროვებისათვის საჭიროა რესპოდენტების მზადყოფნა თანამშრომლობისათვის. თავისუფალი კვლევების მაგალითად შეიძლება მოგვევლინოს მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების კვლევა. ხშირად ასეც ხდება, რომ ასეთი გამოკვლევის შედეგი არაზუსტია, ან არ არის რეპრეზენტატიული. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ გამოსაკითხი ერთობლიობის ის ნაწილი, რომელმაც უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე, თავისი შემადგენლობით შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მთლიანი ერთობლიობისაგან. მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ შემოსავლების და დანახარჯების შესახებ კვლევაში მხოლოდ ისინი მიიღებენ მონაწილეობას, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს საკუთარ დანახარჯებს, ანუ უფრო მეტად დამზოგველია, ვიდრე ის ნაწილი, რომელმაც არ იცის, თუ რამდენი დანახარჯი ჰქონდა. თავისუფალ გამოკითხვასაც სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი და ამ გამოკვლევის ინდივიდუალური შედეგების ანონიმურობის დაცვაც ასევე აუცილებელია. არსებობს გარკვეული საშუალებები აღურიცხავი პასუხების შეცდომის გასაბათილებლად, თუმცა ეს საშუალებები უმეტესად ეყრდნობა ალტერნატიული გამოკითხვის შედეგებს და თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ ამ მეთოდების ეფექტიანობა საეჭვოა. თუ არ არსებობს მაჩვენებლების “სისწორის” კრიტერიუმი, შედეგების გადასწორებამ შეიძლება უფრო დიდ შეცდომამდე მიგვიყვანოს. და თუკი ასეთი “სისწორის” კრიტერიუმები არსებობს, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში, რომ ასეთი კორექტირებებით მიღებული პასუხები დაემთხვევა სავალდებულო გამოკითხვით მიღებულ შედეგებს. ამ პრობლემისგან უნდა გაემიჯნოთ პასუხების დაგვიანებით მიწოდება რეგულარული გამოკითხვის პროცესში, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია სპეციალური ინდექსების (კოეფიციენტების) შემოტანით. როდესაც გვაქვს რამდენიმე რესპოდენტის მიერ გაუცემელი პასუხები, შეგვიძლია დანარჩენების შედეგები გავავრცელოთ ამ ერთეულებზეც, რა თქმა უნდა, თუკი საუბარია საკმარისად მცირე საწარმოებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი ზომით ვერ ზემოქმედებენ ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სტატისტიკური იმპუტაციის სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა მაგალითად, სტატისტიკური საშუალო სიდიდეები, „უახლოესი მეზობლის“ პრინციპი, პროგნოზული იმპუტაცია და სხვ.

ოფიციალური სტატისტიკის საიმედოობის გარანტი არის მისი სავალდებულო ხასიათი და სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვუწოდოთ მას “ოფიციალური”. საცდელმა გამოკვლევებმა, რომლებიც მრავალი ჩატარდა გერმანიაში მიკროცენზის ჩატარებამდე, აჩვენა, რომ მაქსიმალური კვოტა, რომელსაც უნდა ველოდეთ თავისუფალი გამოკვლევებისგან, არის 65%. პირველ საცდელ გამოკვლევაში ამ კვოტამ შეადგინა მხოლოდ 50%. აშშ-ში და სკანდინავიის ქვეყნებში ეს კვოტა მერყეობს 81%-დან 95%-მდე. ამასთან, ამ ქვეყნებში ინფორმაცია პასუხის გაცემაზე უარის მთქმელების შესახებ შეიძლება მივიღოთ ოფიციალური რეგისტრებიდან. გერმანიაში პასუხის გაცემის მზადყოფნის დაბალი დონე ჯერ კიდევ ვრცელდება ასევე საწარმოებზეც. ასე, მაგალითად, დანახარჯების სტრუქტურის შესწავლისას გამოკვლევის შედეგები (იმ მიმართულებებში, სადაც ასეთი გამოკითხვა თავისუფალია) ვერ გავრცელდება მთელ ერთობლიობაზე.

მიკროცენზის (მიკროაღწერის) კითხვებზე პასუხის გაცემის მზადყოფნა განსაკუთრებით დაბალია დიდ ქალაქებში, ჩვეულებრივ ოჯახებსა და ახალგაზრდებში.

სავალდებულო გამოკითხვის ჩატარებისას შეიძლება ველოდოთ მოსახლეობის შედარებით მაღალ აქტიურობას (დაახლოებით 97%-ს). ამასთან, 82%-მა ზეპირად უპასუხა კითხვებს, 6%-მა არჩია ანკეტის წერილობით შევსება, ხოლო 9%-მა გადაუგზავნა შევსებული ანკეტა “მიწის (ლანდის)” სტატისტიკურ სამმართველოს.

სავალდებულო და არასავალდებულო კითხვების ერთად თავმოყრამ არა მხოლოდ გამოიწვია გამოკითხულთა შორის გაუგებრობა, არამედ პირდაპირ უბიძგა არასავალდებულო კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის არიდებისკენ. რადგან გამოკითხვის დაწყებამდე ინტერვიუერი ვალდებულია უთხრას გამოსაკითხ პირს კითხვის თავისუფალი (არასავალდებულო) ხასიათის შესახებ, ხშირად მას შესაძლებლობაც კი არა აქვს გამოკითხვის არსი გააცნოს მოქალაქეს. როგორც ჩანს, პასუხების გაცემის თავისუფლების მინიჭებას უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვა, ვიდრე ამას ვინმე ელოდა. მაგალითად, კითხვის თავისუფალმა ხასიათმა მოგზაურობის შესახებ (1985 წლის მიკროცენზი) გამოიწვია ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის ბევრი შემთხვევის არსებობა. უარის თქმის განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა იმ პირებისა და ოჯახებისგან, რომლებიც განსაკუთრებით ბევრს მოგზაურობენ. ამის გარდა, მთლიანად იყო ამოღებული კითხვა მოგზაურობასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ. თუმცა, რადგან ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია საგადაამხდლო ბალანსის სწორი შედგენისათვის და ზოგადად ტურიზმის განვითარების პერსპექტივების გამოსაკვლევადა, განიხილება ამ კითხვის დაბრუნება ანკეტაში. პასუხის გაცემის ვალდებულება მოხსნილი იყო ასევე მიკროცენზის კითხვაზე ქორწინების წელთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ყველა მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია ქორწინების ხანგრძლივობასთან, მოსახლეობის მოსალოდნელ აღწარმოებასთან და ოჯახებისთვის გაწეულ დახმარებისა და დოტაციების თანხების რაოდენობასთან, აღარ არის სანდო.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ამ ინფორმაციის გადასამოწმებელი სხვა რაიმე წყარო არ არსებობს.

2.5. გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ძირითადი ფუნქციები

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალური აპარატი მრავალრიცხოვანია და შედგება 9 ძირითადი განყოფილებისგან. ესენია:

- ა. ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ხარჯების შეფასების განყოფილება;
- ბ. სტრატეგიის, კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება;
- გ. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება;
- დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, შრომის ბაზრისა და ფასების განყოფილება;
- ე. საწარმოთა რეგისტრებისა და მომსახურების განყოფილება;
- ვ. მოსახლეობის, ფინანსებისა და გადასახადების განყოფილება;
- ზ. გარემოს, სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის განყოფილება;
- თ. ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და განათლების განყოფილება.

თავის მხრივ, ყოველი განყოფილება მოიცავს მრავალ ქვეგანყოფილებას და სამუშაო ჯგუფს.

გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

- 1) ფედერალური და საერთაშორისო სტატისტიკის მეთოდოლოგიური და ტექნიკური მომზადება და შემდგომი განვითარება, გერმანიაში სტატისტიკური კვლევების შედეგების შეჯამება და პუბლიკაცია;
- 2) ახორციელებს ზემოთხსენებული კვლევებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას;
- 3) სხვა სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ გადააბარონ საკუთარი ადმინისტრაციული სტატისტიკის წარმოება გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს;
- 4) საზღვარგარეთის სტატისტიკა (სხვა ქვეყნების შესახებ მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და პუბლიკაცია ამ ქვეყნების ოფიციალურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით);
- 5) მაკრო- და მიკროეკონომიკური გამოკვლევების ჩატარება;
- 6) ფედერალური სამინისტროებისთვის სტატისტიკური ექსპერტიზების ჩატარება;
- 7) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, ასევე სტატისტიკური გამოკვლევებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება;

- 8) სტატისტიკური ინფორმაციის სპეციალური (დარგობრივი, თემატური) ბანკების შექმნა;
- 9) დამატებითი სპეციალური სტატისტიკური სამუშაოების ჩატარება ფედერალური საჭიროების შემთხვევაში;
- 10) ფედერალური „ლანდების“ სამმართველოებისთვის კონსულტაციების გაწევა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის სამუშაოს შეკვეთის, ექსპერტიზების ჩატარების და სხვა სტატისტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით;
- 11) საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამისამართო ინფორმაციის შეგროვება, სტატისტიკური კვლევების ჩატარების რაციონალიზაციის მიზნით;
- 12) ინტერვიუების შერჩევა და მომზადება, ასევე მათი მუშაობის კონტროლი;
- 13) გამოკითხვების ინფორმირება (გათვალისწინებულია იმისათვის, რათა ამაღლდეს მოსახლეობის ნდობა გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს მიმართ);
- 14) გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო არის „საერთო ეკონომიკური განვითარების ექსპერტების კავშირის“ სამუშაო ადგილი;
- 15) გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს პრეზიდენტი იმავდროულად არის ფედერალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც. დაახლოებით ანალოგიური ამოცანები აქვს “მიწების” სტატისტიკურ ორგანოებსაც.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს “მიწების” მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევების კოორდინაციას და გაერთიანებას. იგი ასევე ატარებს სამუშაოებს სხვადასხვა ოფიციალური ორგანოების თხოვნით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამოკვლევების შედეგების გამოყენება შეეძლება მხოლოდ ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის წევრებს. ამ შედეგების გაცნობა ყველასათვის უნდა იყოს შესაძლებელი. თუმცა სხვა ქვეყნებთან შედარებით, (მაგალითად, იტალია) გერმანიაში სტატისტიკური კვლევები არ ტარდება კერძო პირების დაკვეთით ან დაფინანსებით.

1987 წელს მიღებული კანონით, გათვალისწინებული იქნა გამოკვლევის ისეთი სპეციალური ინსტრუმენტი, როგორცაა “სპეციალური მიზნებით ჩატარებული კვლევა”, ანუ სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გამოკვლევა. ამით დაიწყო სტატისტიკის მოქნილობის ამაღლების ხელშეწყობა. ამ კანონის თანახმად, სტატისტიკის ორგანოებს უფლება აქვთ ჩაატარონ სპეციალური კვლევები საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ოღონდ მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- სახელმწიფო ორგანოებისათვის სასწრაფოდ საჭირო ინფორმაციის მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ მისაღებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან;
 - სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა.
- ასეთი გამოკვლევების შემთხვევაში, მათი ჩატარების დროისა და

გამოკითხულთა წრის შეზღუდულობიდან გამომდინარე, მისი შედეგები ვერ ჩაითვლება საკმარისად სანდოდ და რეპრეზენტატიულად.

გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, ეხმარება სამი საკონსულტაციო ჯგუფი:

1. “სტატისტიკური მრჩეველების (ანუ ექსპერტების) სამუშაო ჯგუფი”; იგი ატარებს კონსულტაციებს სტატისტიკის მეთოდოლოგიურ და თემატურ პრობლემებთან დაკავშირებით. მისი წევრები არიან: ოფიციალური სტატისტიკის, სამინისტროების, წამყვანი მუნიციპალური ასოციაციების, პროფკავშირების, პროფესიული ასოციაციების, სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, აგრეთვე ფედერაციის სპეციალური რწმუნებული ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხის მიმართულებით. ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და იყოფა სპეციალიზებულ კომისიებად და სამუშაო სექციებად.

2. “სტატისტიკის კოორდინაციისა და რაციონალიზაციის საუწყებათაშორისო კომისია”; იგი კონტროლს უწევს ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობას ახალი პროექტების მიმართულებით, მათ შორის განსაზღვრავს მათ აუცილებლობას და ხელს უწყობს მათ რაციონალიზაციას.

3. “სტატისტიკის ქვედანაყოფების მმართველების კომისია”, რომელიც შეიქმნა და მუშაობს 1975 წლიდან. იგი თვალს ადევნებს ჩატარებული სამუშაოების სისწორეს, ასევე ახორციელებს ევროკავშირის რეკომენდაციების განხილვას და ხელს უწყობს მათ შესრულებას.

ფედერალური სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისად ამ მიმართულებით გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობა შეიძლება დაფოთ შემდეგ ოთხ მთავარ ეტაპად:

- 1) გამოკვლევის ჩატარების ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსგან, ასევე თვით გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოსგან და სტატისტიკური ინფორმაციის გამომყენებელი (მომხმარებელი) სხვა ორგანოებიდან, რაც უმეტესად დაკავშირებულია საკანონმდებლო პროექტებთან და ფედერალური ხელისუფლების პერიოდულ პატაკებთან (მოხსენებებთან).
- 2) გამოკვლევის მეთოდოლოგიური და ტექნიკური საფუძვლის მოსამზადებლად (მათ შორის: კითხვარების მომზადება, საცდელი გამოკითხვების ჩატარება და სხვა) საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ფინანსური სახსრების მიწოდება ფედერაციისა და “მიწების” ფინანსთა სამინისტროების მიერ.
- 3) უშუალოდ გამოკვლევის ჩატარება და მასალების მიღება, შედეგების სიზუსტისა და სისრულის კონტროლი.
- 4) გამოკვლევის შედეგების ანალიზი და გამოქვეყნება.

როდესაც საუბარია ისეთ დიდმნიშვნელოვან სტატისტიკურ კვლევებზე, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის მთლიანი აღწერა, მის მოსამზადებლად, ჩასატარებლად, მასალების დასამუშავებლად და გამოსაქვეყნებლად, შეიძლება საჭირო იყოს დიდი დრო (6-7 წლამდე), რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სტატისტიკური ინფორმაციის აქტუალობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მთელი დანახარჯების ერთი მესამედი სპეციალურ კვლევებზე იფარება ფედერალური ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი - “ლანდების“ (მიწების) ბიუჯეტიდან.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო რეგულარულად აქვეყნებს დიდი მოცულობის სტატისტიკურ მონაცემებს როგორც ნაბეჭდი, ისე განსაკუთრებით ელექტრონული ფორმით. პუბლიკაციები მოიცავს როგორც ფედერალურ ნაერთ მაჩვენებლებს, ასევე ლანდების მონაცემებს. გარდა ამისა, გამოიცემა მრავალი სხვადასხვა სახის თემატური სტატისტიკური კრებული. აღნიშნული პუბლიკაციები იყოფა ნაერთ (კრებსით) და თემატურ პუბლიკაციებად:

ჯამური (კრებსითი) პუბლიკაციები, როგორიცაა, მაგალითად ყოველწლიური და ყოველთვიური სტატისტიკური ჟურნალი “ეკონომიკა და სტატისტიკა”, რომელიც შეიცავს პირველ რიგში ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიასა და ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევების შედეგებს; ასევე სპეციალურ გამოკვლევებთან დაკავშირებული ცნობარი “ფედერალური სტატისტიკის სამუშაო არეალი”, “ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები” (ყოველთვიური გამოცემა), “მოსახლეობის სტრუქტურა და ფედერალური მიწების ეკონომიკური პოტენციალი” (ყოველწლიური გამოცემა) და მრავალი სხვა. ჩვენი აზრით, საინტერესოა ამ პუბლიკაციებიდან ამოღებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 2.1. გერმანიის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2005	2011
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი) მათ შორის:	82,491,0	81,757,8
	ქალები		
2.	მამაკაცები	42,161,0	41,878,8
3.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლრდ დოლარი)	40,330,0	39,879,0
4.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	2,766	3,570
5.	უმუშევრობის დონე, %	33 531	43 665
6.		11,2	6,0

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, გერმანიის მოსახლეობის რიცხოვნობა 2005-2011 წლებში ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ამასთან, უფრო მეტად შემცირდა მამაკაცების რიცხოვნობა

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო რეგულარულად აქვეყნებს ასევე **თემატური პუბლიკაციების სერიებს**, რომლებსაც უშვებენ სპეციალური გამოკვლევების შედეგების საფუძველზე და რომლებშიც უმეტესად მოცემულია მხოლოდ “შიშველი ციფრები”, ხოლო კრებსითი პუბლიკაციებისაგან განსხვავებით, კომენტარები თითქმის არ ერთვის.

2.6. გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება ორი მიმართულებით. პირველი - ეს არის თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეორე - სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალურ სტატისტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ევროპის ყველა ქვეყნის და, მათ შორის გერმანიის ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო დამოკიდებულია ევროინტეგრაციაზე. ამიტომ სულ უფრო მეტი ძალა გააჩნიათ და დიდი როლი ეკუთვნით საერთაშორისო “ხესახელმწიფოებრივ” ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. რაც შეეხება სტატისტიკას ევროპის კავშირის დონეზე, ლუქსემბურგში არის ევროგაერთიანების სტატისტიკური ბიურო, რომელსაც შემოკლებით ეწოდება „Eurostat“. იგი საკუთარი დადგენილებებით თუ გერმანიის კანონმდებლობის გამოყენებით ახდენს ნაციონალური სტატისტიკის რეგულირებას.* გერმანიაში ტარდება ბევრი ისეთი გამოკვლევა, რომლის ინიციატორიც გახლავთ თვით ევროკავშირი. მაგალითად, კაპიტალდაბანდების გამოკვლევა. არსებობს ასევე ისეთი გამოკვლევებიც, რომლებიც ტარდება მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე. ასეთებია, მაგალითად: სოფლის მეურნეობის სტატისტიკური აღრიცხვა, მუშახელზე დანახარჯების სტატისტიკური გამოკვლევა, შრომითი რესურსების შერჩევითი გამოკვლევა, საერთო სამომხმარებლო ფასებისა და შესაბამისი ინდექსის გამოთვლა. ამასთან, გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ

* Der Verhaltenskodex für Europäische Statistiken: Für die Nationalen und Gemeinschaftlichen Statistischen Stellen. Angenommen vom Ausschuss für das Europäische Statistische System 28. September 2011 (<http://ec.europa.eu/eurostat/quality>).

სამმართველოს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები ევროკავშირის მიმართ ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით. სხვა საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციებიდან პირველ რიგში გამოსაყოფია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ევროპის საბჭოს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) და სხვა სტატისტიკური სამსახურები.

არა მარტო ევროკავშირი, არამედ სხვა დანარჩენი სამყაროც ცდილობს მოახდინოს ნაციონალური სტატისტიკური სისტემების ჰარმონიზაცია, ანუ ცდილობენ ერთმანეთს შეუსაბამონ სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული ტერმინები, კლასიფიკაცია, მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ნიუანსები, სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია და სხვა. ეს ყველაფერი ხდება იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ ქვეყნების სტატისტიკური ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაციის შედარება. ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ქვეყნების ერთმანეთთან შედარებაა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით (ცნობილია, რომ თვით ტერმინი „სტატისტიკა“ მოდის სიტყვიდან „სტაატ“, რაც სახელმწიფოს ნიშნავს და ისტორიულად სტატისტიკა „სახელმწიფოთმცოდნეობის“ სახით სწორედ გერმანიაში ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის შუახანებში).

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. ეს არის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური, სპეციალური გამოკვლევები, კონფერენციები და სემინარები, კადრების კვალიფიკაცია და ა. შ.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან. საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების გარდა (მაგალითად, ჯერ კიდევ 1885 წელს ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი), არსებობს ასევე ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების კავშირები, მათ შორის ისეთი ორგანიზაციების ფარგლებში, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (FAO, GATT, IKAO, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იუნესკო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა), ასევე ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური (ევროსტატი) და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონული სტატისტიკური ორგანიზაციები. საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების გარდა, გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ასევე მრავალი ქვეყნის ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან და მათ შორის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი). ეს თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, როგორცაა ინსტიტუციური, მეთოდოლოგიური და ტექნიკური, ინფორმაციის გაცვლა და სხვ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ამსახველი ერთ-ერთი ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც მოცემულია შემდეგ ცხრილში:

**ცხრილი 2.2. საქართველოსა და გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობების
დინამიკა და სტრუქტურა**

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი) მათ შორის:								
ექსპორტი	89,5	100	235,6	100	368,4	100	580,5	100
იმპორტი	34,1	38,05	28,8	12,23	35,0	9,49	38,6	6,65
	55,4	61,95	206,8	87,77	333,4	90,51	541,9	93,35

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

გერმანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის სიდიდის მიხედვით და იგი ბოლო 15 წლის განმავლობაში უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულშია. ამასთან, ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობას მკვეთრად გამოსატყული ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

2.7. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია გერმანიაში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო შეიქმნა:

- ა) 1935 წელს; ბ) 1846 წელს; გ) 1946 წელს; დ) 1950 წელს.

3. როდის შეუერთდა გდრ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გფრ-ის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს?

- ა) 1985 წელს; ბ) 1991 წელს; გ) 1946 წელს; დ) 1951 წელს.

4. გერმანიაში ოფიციალურ სტატისტიკურ ორგანოებს მიეკუთვნება:

- ა) ფედერალური სტატისტიკური სამმართველო;
- ბ) მიწების (ლანდების) სტატისტიკური სამმართველოები;
- გ) მუნიციპალიტეტების სტატისტიკური ორგანოები;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

5. გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს პრეზიდენტი იმავედროულად არის:

- ა) ფედერალური კრების (პარლამენტის) წევრი;
- ბ) ფედერალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
- გ) ფედერალური ბანკის საბჭოს წევრი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

6. რით იყო მნიშვნელოვანი გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ისტორიაში 2012 წელი?

- ა) დამტკიცდა ახალი კანონი სტატისტიკის შესახებ;
- ბ) ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- გ) დამტკიცდა „ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს სტრატეგია და პროგრამების გეგმა 2012-2016 წლებისათვის“;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

7. გერმანიაში არაოფიციალურ სტატისტიკურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება:

- ა) ფედერალური ბანკი;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის შესწავლაზე;
- გ) მუნიციპალიტეტების სტატისტიკური ორგანოები;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

8. გერმანიაში ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია:

- ა) საგნობრივი კონცენტრაცია;
- ბ) რეგიონალური დეცენტრალიზაცია;
- გ) სტატისტიკოსთა კადრების მომზადება;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

9. საერთაშორისო ვაჭრობისა და მიგრაციის სტატისტიკის წარმოება მთლიანად ეკისრება:

- ა) ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს;
- ბ) მიწების (ლანდების) სტატისტიკურ სამმართველოებს;
- გ) როგორც ფედერალურ, ასევე მიწების (ლანდების) სტატისტიკურ სამმართველოებს;
- დ) მუნიციპალიტეტების სტატისტიკურ ორგანოებს.

10. სამართლებრივად სტატისტიკური ინფორმაციის კონფიდენციალობას გერმანიაში იცავს:

- ა) სტატისტიკის შესახებ კანონი;
- ბ) ადმინისტრაციულ კანონთა კოდექსი;
- გ) სისხლის სამართლის ზოგადი კოდექსი;
- დ) საგადასახადო კანონთა კოდექსი.

11. გერმანიის კანონმდებლობით, მხოლოდ ისეთი სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება შეიძლება, რომელიც წარმოადგენს არანაკლებ:

- ა) ორი რესპონდენტის მონაცემთა ჯამს;
- ბ) სამი რესპონდენტის მონაცემთა ჯამს;
- გ) ოთხი რესპონდენტის მონაცემთა ჯამს;
- დ) ნებისმიერი რაოდენობის რესპონდენტების მონაცემთა ჯამს.

12. სტატისტიკური გამოკვლევისას, როდესაც სახეზეა რამდენიმე რესპონდენტის მიერ გაუცემელი პასუხები, ინფორმაციის სისრულის მიზნით გამოიყენება:

- ა) დაჯგუფების მეთოდი;
- ბ) კორელაციური ანალიზი;
- გ) იმპუტაციის მეთოდი;
- დ) რეგრესიული ანალიზი.

13. კანონი “სპეციალური მიზნებით ჩატარებული კვლევის შესახებ” გერმანიაში მიიღეს:

- ა) 1980 წელს; ბ) 1987 წელს; გ) 1967 წელს; დ) 1997 წელს.

14. რა მიზნით აქვთ უფლება სტატისტიკის ორგანოებს ჩაატარონ სპეციალური

გამოკვლევები საკანონმდებლო ბაზის გარეშე?

- ა) საგადასახადო კანონმდებლობის შესასრულებლად;
- ბ) სტიქიური მოვლენების შესაფასებლად;
- გ) სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად;
- დ) სამივე შემთხვევაში.

15. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში ეხმარება შემდეგი კომისია:

- ა) “სტატისტიკის კოორდინაციისა და რაციონალიზაციის საუწყებთაშორისო კომისია”;
- ბ) “სტატისტიკის ქვედანაყოფების მმართველთა კომისია”;
- გ) “სტატისტიკის ექსპერტების სამუშაო ჯგუფი”;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

16. 2011 წელს გერმანიაში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა

(მლნ აშშ დოლარი):

ა) 4,4; ბ) 19,8; გ) 43,7; დ) 49,7.

17. 2011 წელს გერმანიაში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (მლნ აშშ დოლარი):

ა) 1980; ბ) 1987; გ) 1967; დ) 1997.

18. 2011 წელს გერმანიაში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (მლნ აშშ დოლარი):

ა) 1980; ბ) 1987; გ) 1967; დ) 1997.

19. 2011 წელს გერმანიაში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (მლნ აშშ დოლარი):

ა) 1980; ბ) 1987; გ) 1967; დ) 1997.

20. 2011 წელს გერმანიაში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (მლნ აშშ დოლარი):

ა) 1980; ბ) 1987; გ) 1967; დ) 1997.

თემა 3. თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკა საფრანგეთში

3.1. საფრანგეთის ოფიციალური სტატისტიკის მოკლე ისტორია

საფრანგეთში თანამედროვე საჯარო სტატისტიკის „დაბადების წელია“ 1833, როდესაც ვაჭრობის სამინისტროში შეიქმნა სტატისტიკის მთავარი უწყება, რომელმაც 1840 წელს მიიღო სახელწოდება „საფრანგეთის მთავარი სტატისტიკა“ (Statistique Générale de la France (SGF)); ეს დასახელება მან 1941 წლამდე შეინარჩუნა. ეს უწყება 1906 წელს შეუერთდა ახლად შექმნილ შრომის სამინისტროს. SGF ჩაერთო ახალ საქმიანობებში, რომლებიც დაკავშირებული იყო სამუშაო ძალის მართვასა და შრომის ანაზღაურებასთან და ასევე წამოიწყო ახალი კვლევები (პირველადი მომხმარებლის კვლევა 1907 წელს, პერიოდული კვლევის დაწყება საცალო გაყიდვების ფასებზე 1911 წელს და ა. შ.). 1930 წლიდან 1936 წლამდე, 1934 წლის გამოკლებით, SGF გახდა განყოფილება, რომელიც მიმაგრებული იყო საბჭოს პრეზიდენტს. 1936 წლის დასასრულს იგი გახდა ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტი. ამ ცენტრალური სტატისტიკური ორგანოს პარალელურად სტატისტიკური დეპარტამენტები თანდათანობით ჩნდებოდნენ სხვა სამინისტროების ადმინისტრაციებშიც. მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე SGF-ს პასუხისმგებლობები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული:

1) მოეხდინა ძირითადი კვლევების ორგანიზება და ანალიზი, რომლებიც არ მიეკუთვნებოდა სამინისტროს განყოფილების პასუხისმგებლობას (განსაკუთრებით, მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა და საყოველთაო აღწერა);

2) გამოექვეყნებინა სტატისტიკა სამოქალაქო სტატუსის შესახებ;

3) დააკვირვება მოეხდინა ფასებზე და გამოეთვალა როგორც სამომხმარებლო ფასების, ასევე ინდუსტრიული საწარმოო ინდექსი;

4) მოეხდინა სტატისტიკური საქმიანობის კოორდინირება ადმინისტრაციულ დეპარტამენტებში;

5) განეხორციელებინა ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევების შედეგების ანალიზი;

6) გაეგრძელებინა ყველა წყაროდან მოპოვებული სტატისტიკა და მისი საკუთარი სამუშაოს შედეგები სტატისტიკური ცნობარის (Annuaire statistique, რომელიც შეიქმნა 1878 წელს), საფრანგეთში მთავარი სტატისტიკის ბიულეტენისა (Bulletin de la statistique générale de la France, შეიქმნა 1911 წელს) და სპეციალურად გამიზნული პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით.

საფრანგეთის მთავარი სტატისტიკის უწყებას (SGF) თავის განკარგულებაში ძალიან ცოტა საშტატო პერსონალი ჰყავდა (150-ზე ნაკლები) იმისათვის, რომ მოეხერხებინა ამ ამოცანების სრულად განხორციელება.

საფრანგეთში საჯარო სტატისტიკის ფორმირების შემდგომი ეტაპი დაიწყო 1941 წელს, როდესაც ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Service National des statistique - SNS). იგი ჩამოყალიბდა რამდენიმე ინსტიტუციის გაერთიანების შედეგად. ესენი იყო: თვითონ SGF, ეკონომიკური დაკვირვების დეპარტამენტი (Service d'observation économique, შეიქმნა 1937 წელს), ეკონომიკური კონიუნქტურის ინსტიტუტი (Institut de conjoncture), შეიქმნა 1938 წელს) და დემოგრაფიის დეპარტამენტი (Service de la démographie). ამ უკანასკნელ დეპარტამენტს, რომელიც შეიქმნა 1940 წელს ყოფილი სამხედრო გაწვევის სამსახურებისგან, ჰყავდა ბევრი საშტატო პერსონალი და ჰქონდა ტაბულატორული (გამომთვლელი) აღჭურვილობა სხვადასხვა რეგიონალურ სამსახურში. SNS-ის შემქმნელმა, რენე კარმილმა, რომელიც დახელოვნებული იყო სტატისტიკური ტაბულატორული აღჭურვილობის გამოყენებაში, წარმოადგინა სტატისტიკური ღონისძიებების მთელი წყება, ადმინისტრაციულ მონაცემთა ფაილების ექსპლუატაციის მიზნით. ის იყო ბრწყინვალე ორგანიზატორი და გახსნა რეგიონალური სამსახურები და ასევე სპეციალური სკოლა სტატისტიკური ტექნიკის გამოყენებისთვის; მან შექმნა ორგანოთა ადმინისტრატორების, სტატისტიკური ატაშეების და მდივნების შტატები, რომლებსაც უნდა შეექმნათ დეპარტამენტის სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის ხერხემალი. სამწუხაროდ, 1944 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში წინააღმდეგობრივი საქმიანობისთვის დააპატიმრეს რენე კარმილი, რომელიც გარდაიცვალა დაშოში 1945 წლის 26 იანვარს.

1946 წლის 27 აპრილის საბიუჯეტო კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიქმნა სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი საფრანგეთისა და მისი ზღვისგადაღმა არსებული ტერიტორიებისთვის (Institut National de la statistique et des études économiques pour la métropole et la France d'outre-mer). ეს იყო სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა (Service National de la Statistique) და ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური მეცნიერებებისა და სადოკუმენტაციო სერვისების დეპარტამენტის შერწყმის შედეგი. ის იყო ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს გენერალური დირექტორატი. მისი პირველი გენერალური დირექტორი იყო ფრანსის ლუის კლოზონი. 1946 წლის 28 აგვისტოს კანონმა INSEE-ს მიანიჭა პასუხისმგებლობა საარჩევნო სერვისებზე. სტატისტიკის სფეროში სამართლებრივი ვალდებულებების, კოორდინაციისა და კონფიდენციალურობის შესახებ 1951 წლის 27 ივნისის კანონმა საჯარო სტატისტიკურ კვლევებს სამართლებრივი ჩარჩო მიანიჭა. წარმოების რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია იმ დროის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა: ახალი კანონის მიხედვით, შესაძლებელი იყო სექტორული კვლევების ჩატარება და მართვა სხვადასხვა სამინისტროებისა თუ აღიარებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ². კვლევის ტექნიკა – რომელიც იმპორტირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან – გამოიყენებოდა ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებებისთვის: ეს ის პერიოდია, როდესაც

² Act on Legal Obligation, coordination and confidentiality in the Field of Statistics.

წამოიწიეს პირველი კვლევები, რომლებიც შეისწავლიდა ოჯახის ბიუჯეტებს, ცხოვრების, ჯანმრთელობისა და სამუშაოს ხარჯებს. იმ რესურსების ექსპლუატაცია, რომლებიც უპირატესად სტატისტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენებოდა, ე. ი. ადმინისტრაციული დოკუმენტები და მენეჯმენტის ფაილები, დაახლოებით ამ დროისთვის დაიწყო. მაგალითად, დაბეგვის ფორმები ხელფასისა (1950) და კომპანიის საქმიანობისთვის, ან შეზღუდული უნარების მქონე ადამიანთა დასაქმებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისთვის, დასაქმების სტრუქტურისთვის (1968). თუმცა, ინსტიტუტში საშტატო პერსონალის რაოდენობა შემცირდა 1946 წელს არსებული 6400-დან 3000-ზე ნაკლებ კაცამდე 1960 წელს. დაახლოებით 1960 წელს, დაგეგმვის გაფართოებასთან ერთად, საფრანგეთმა დაიწყო სტატისტიკის გამოყენება ამ სფეროში და ეკონომიკური რეგულაციის პოლიტიკაში. 1962 წელს INSEE-მ აიღო პასუხისმგებლობის ეს სფერო მას შემდეგ, რაც მან დაისახა ზოგიერთი ახალი ამოცანა და აიყვანა პერსონალი ეკონომიკურ და ფინანსურ მეცნიერებათა სამსახურიდან (SEEF), რომელიც იყო ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ნაწილი. INSEE-მ ასევე აიღო ეროვნული ანგარიშებისა და პროგნოზირების ფუნდამენტური სამუშაო, განსაკუთრებით გრძელვადიან დაგეგმვასთან დაკავშირებით. ის თანამშრომლობს პროგნოზირების დეპარტამენტთან, რომელიც შეიქმნა 1965 წელს იმისათვის, რომ შეიმუშაოს ყოველწლიური როგორც კომპლექსური, ისე კონკრეტული პროგნოზები.

1967 წლიდან INSEE-მ თავისი პოტენციური კლიენტებისათვის დაიწყო სტატისტიკური პუბლიკაციების გაფართოება ინფორმაციის გავრცელების მეთოდების დანერგვის მეშვეობით, განსაკუთრებით რეგიონალურ დონეზე. 1969 წელს ეროვნული პუბლიკაციების წრე გულდასმით გადაისინჯა და გაფართოვდა ეკონომიკისა და სტატისტიკის, კონიუნქტურული ტენდენციების, წლიური მიმოხილვებისა და სწრაფი ინფორმაციების შექმნით. 1973 წელს პირველად გამოქვეყნდა “სოციალური მონაცემები”. ამავე დროს, INSEE-მ გააფართოვა და გააუმჯობესა მომხმარებლებთან კონსულტაციები: 1972 წელს სტატისტიკის ეროვნული საბჭოს (CNS) შექმნამ, რომელიც შემდგომ გახდა სტატისტიკური ინფორმაციის ეროვნული საბჭო (CNIS), მოახდინა სტატისტიკის მომხმარებლებთან დებატების ფორმალიზება. 1971 წელს INSEE-ის სტრუქტურებმა მკვეთრი რეორგანიზება განიცადა: განვითარდა სტატისტიკური პრაქტიკა, სტატისტიკური კვლევები შინამეურნეობებსა თუ კომპანიებზე; წმინდა სტატისტიკური ოპერაციები ხდება უფრო ხშირი და შეგროვდა მონაცემთა უფრო ფართო სპექტრი. ამავე წელს განხორციელდა პირველი ყოველწლიური კვლევა ინდუსტრიასა და სამშენებლო/საჯარო სამუშაოებზე, რომელიც დასრულდა 1972 წელს. სტატისტიკური სერვისები სწრაფად განვითარდა სხვა ადმინისტრაციებშიც: ეს ტენდენცია ჯერ კიდევ არ შენელებულა და დღესაც გრძელდება. ინსტიტუტმა დაიწყო თავისი მაკროდინირებელი ფუნქციის გამყარება, რითაც უზრუნველყოფს ამ დეპარტამენტების განვითარებისათვის საჭირო ჩარჩოს და იგი გარდაიქმნა საფრანგეთის მთელი საჯარო სტატისტიკური სისტემის რესურს-ცენტრად. ამასთან,

INSEE-ში საშტატო პერსონალის რაოდენობა სწრაფად და მნიშვნელოვნად გაიზარდა (5600-დან 1976 წელს, 7000-მდე 1979 წელს), ანუ 3 წელიწადში თითქმის 1400-ით მეტი.

საფრანგეთის ოფიციალური სტატისტიკის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1975-1987 წლები, როდესაც მოხდა INSEE-ის დამოუკიდებლობის განმტკიცება და დივერსიფიკაცია. ედმუნდ მალინვოდმა, INSEE-ის გენერალურმა დირექტორმა ამ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაზარდა ინსტიტუტის დამოუკიდებლობა, რომელიც უკვე კარგად დაფუძნებული იყო წინა დირექტორების მიერ. როგორც სათავო, ასევე რეგიონული ოფისების უმრავლესობა მოდერნიზებულ იქნა ამ პერიოდში. ინსტიტუტის მუშაობამ დივერსიფიკაცია განიცადა და უფრო „მძიმეწონიანი“ და რთული სტატისტიკური ინსტრუმენტების შემოღება მოხდა. ესენია: კომპანიის სტატისტიკის ერთიანი სისტემა (Suse) და კომპანიებისა და სტრუქტურების ეროვნული ბიზნეს-რეგისტრის კომპიუტერიზებული სისტემა (Sirene). გულდასმით გადაისინჯა ასევე მთავარი ნომენკლატურები და კლასიფიკატორები: საქმიანობისა და პროდუქტების კლასიფიკაცია (NAP) და პროფესიები და სოციალურ-პროფესიული კატეგორიები (PCS). გამოჩნდა საშუამავლო ანგარიშები, სატელიტური ანგარიშები და ფართო მაკროეკონომიკური მოდელები (DMS, Métric და სხვ). გაგრძელდა სხვადასხვა დონის საერთაშორისო გაცვლები და ასევე განვითარდა ტექნიკური თანამშრომლობა აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. 1981 წლიდან დაჩქარდა ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია და ამას თან დაერთო რეგიონული სტატისტიკური კვლევების განვითარება. ჩატარდა კონსულტაციები განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ და ეს მოხდა ახალ რეგიონულ ხელისუფლებასთან ერთად, CRIES-ში. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უზრუნველყო ადმინისტრაციებისა და საჯარო თუ კერძო კომპანიების ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა. 1978 წლის 6 იანვრის კანონის მიერ მოხდა სამართლებრივი ჩარჩოს შევსება ინფორმაციული ტექნოლოგიების, მონაცემთა ფაილებისა და სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ და 1986 წლის 23 დეკემბრის კანონით, რომელმაც აღიარა, რომ INSEE-ს აქვს ფართო წვდომა სტატისტიკისთვის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ მონაცემებთან. აქედან გამომდინარე, INSEE იყენებდა ადმინისტრაციულ წყაროებს სულ უფრო და უფრო სისტემატურ საფუძველზე.

1988 წლიდან გამოჩნდა ოთხი მთავარი ინტერესის განხორციელების აუცილებლობა. ეს იყო:

- სტატისტიკურ სისტემასა და კომპანიებს შორის უფრო ძლიერი კავშირების ჩამოყალიბება;
- რეგიონული სამსახურების საქმიანობის გაფართოება;
- სტატისტიკური მეთოდებისა და მახვენებლების ეკონომიკასთან ადაპტირება;
- საერთაშორისო ჩართულობის გაძლიერება.

იმ პერიოდის გენერალური დირექტორის - ჟან კლოდ მილერონის ინიციატივით, 1988-დან 1994 წლამდე პერიოდში INSEE-მ კიდევ ერთხელ განახორციელა საკუთარი თავის რეორგანიზაცია. ამ ცვლილებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებასა და ადამიანურ რესურსებზე. 1994 წელს სათავო ოფისის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ მიიღო თანამედროვე სახე, გაფართოვდა რა ორი მთავარი სტატისტიკური დეპარტამენტით: კომპანიების სტატისტიკის დეპარტამენტი და დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი. მთავარმა ცვლილებამ, კომპანიების სტატისტიკის დეპარტამენტის შექმნამ, მოიტანა აშკარა ინტერესი სტატისტიკური სისტემის ბიზნესთან და კომპანიებთან ურთიერთობების გაუმჯობესების თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, მათზე სტატისტიკური დაკვირვება ხდებოდა თუ იყვნენ მხოლოდ მონაცემთა მომხმარებლები. კომპანიებს ძალიან კარგად ესმოდათ ის ტვირთი, რომელსაც მათ აკისრებდა სტატისტიკურ გამოკითხვებზე პასუხები, მით უმეტეს, რომ აღიარებული შეხედულებების საპირისპიროდ, ეს წარმოადგენდა მათი ადმინისტრაციული ვალდებულებების მხოლოდ ნაწილს. გატარდა ორი ღონისძიება ამ ტვირთის შეზღუდვისა და მისი უკეთესი დისტრიბუციის მიზნით. ხარისხის მარკის კომიტეტის შექმნა CNIS-ის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ კვლევები ტარდებოდეს უკეთესად არა მხოლოდ კომპანიებისთვის, არამედ შინამეურნეობებისთვისაც. შეთანხმებულია ნიმუშები, შესაბამისად, ხდება ერთი და იმავე, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განმეორებითი კვლევის თავიდან აცილება. ეროვნულ დონეზე დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციისა და ადმინისტრაციული გამარტივების იდეებმა ძლიერი გავლენა იქონიეს მოქმედებებსა და პოლიტიკაზე. განხორციელდა რეგიონული ერთეულების იმგვარი რეორგანიზაცია, რომ შესაძლებელი იყოს ეროვნული წარმოებისა და რეგიონული საქმიანობის თანაარსებობა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. 1991 წლის ბოლოსთვის რეგიონული ღონისძიებები ჩამოყალიბდა სამი ცენტრის გარშემო: სტატისტიკის დეპარტამენტი (SES), შესწავლისა და გავრცელების დეპარტამენტი (SED) და რესურსების მართვის დეპარტამენტი (SAR). რეგიონებში INSEE-ს პოტენციალის საუკეთესოდ გამოყენებისა და რეგიონული სამსახურების რეორგანიზების მიზნით, სხვათა შორის, განვითარდა რეგიონთაშორისო თანამშრომლობა და უფლებამოსილებაგადაცემული დაქვემდებარებული პარტნიორული ურთიერთობები. 1992-1993 წლების ზამთარი საფრანგეთის ეკონომიკაში აღინიშნა ძლიერი რეცესიით, თუმცა, იმ დროისათვის არსებულ ეკონომიკურ პროგნოზებს შორის კონსენსუსი არ აფასებდა მის მასშტაბსა თუ ხანგრძლივობას. ეკონომიკური მიმოხილვის ანალიზებში და დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკაში გამოვლინდა ნაკლოვანებები. მოხდა მეთოდების ადაპტირება არა მხოლოდ სტატისტიკისთვის, არამედ ანგარიშებისა და კვლევებისთვის, უფრო ციკლურ და უფრო გარე ორიენტაციის მქონე ეკონომიკაზე. ევროპული ინსტიტუციონალური კონტექსტი გახდა უფრო შემზღუდველი ეკონომიკისა და ფულადი მონეტარული კავშირის პირველ ფაზასთან ერთად. პოლ შანსორს, INSEE-ის ახლადდანიშნულ გენერალურ დირექტორს, სწამდა, რომ უნდა

ყოფილიყო უკეთესი შედარებითობა სხვადასხვა სახელმწიფოების მონაცემებს შორის, განსაკუთრებით იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც ამჟღავნებდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკების თანხვედრას. გაფართოების კონტექსტში, სტატისტიკურმა თანამშრომლობამ გააძლიერა მძლავრი რეორიენტაცია აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების მიმართ. ევროსტატის მხარდაჭერით, INSEE-მ თანამშრომლობა დაიწყო გარდამავალ ქვეყნებში, განსაკუთრებით პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთსა და ალბანეთში. ამ თანამშრომლობის მთავარი თემები იყო ეროვნული ანგარიშები, კომპანიის ცნობარები, ფასების ინდექსები და ეკონომიკური მიმოხილვის კვლევები. ამავე დროს, 1993 წლის 20 სექტემბერს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ დაიწყო ხელახალი თანამშრომლობა აფრიკის ქვეყნებთან აფრისტატის შექმნის გზით, რომელიც გახლავთ რეგიონული ორგანო, რომელიც სუბ-საჰარის აფრიკული ქვეყნების შესაძლებლობათა გაძლიერებას ისახავს მიზნად სტატისტიკური და ეკონომიკური კვლევების თვალსაზრისით. სწავლებასა და კვლევებს ახალი ბიძგი მისცა ასევე 1994 წლის 2 ივნისით დათარიღებულმა დეკრეტმა, რომელმაც დააფუძნა ეკონომიკისა და სტატისტიკის ეროვნული სკოლების ჯგუფი (GENES).

2001 წლიდან განხორციელდა ახალი სტატისტიკური ტექნოლოგიური ნახტომები: გაგრძელდა ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების ინოვაცია, არა მხოლოდ კომპანიებთან, არამედ შინამეურნეობებთან დაკავშირებით. შემოიტანეს უწყვეტი მონიტორინგის ახალი ინსტრუმენტები, განსაკუთრებით პრივილეგიებს მოკლებული მოსახლეობისათვის (მაგალითად, უსახლკარო ხალხის კვლევა), ასევე ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ე. წ. NICT). INSEE-მ მიიღო ნებართვა და იყენებს ინტერნეტს როგორც მონაცემთა შეგროვებისთვის, ასევე მათი გავრცელებისთვის. 2003 წლიდან ინტერნეტში ინფორმაციის უფასოდ ხელმისაწვდომი წესი დამკვიდრდა. 2004 წლიდან მოსახლეობის ცენზი (აღწერა) გახდა “მიმდინარე” ოპერაცია. ეს იყო მთავარი ინოვაცია; დღეისათვის უწყვეტი ცენზი გახდა ცხრილების ყოველწლიური ნაკრები, რომელსაც შეუძლია სწრაფად აჩვენოს ცვლილებები მოსახლეობაში. იმავდროულად, გეოგრაფიული მონაცემები და გეოკოდირება უფრო დეტალიზებული გახდა. ადგილობრივ ხელისუფლებებს ახლა თავის განკარგულებაში აქვთ გაცილებით უფრო უახლესი მონაცემები და გაცილებით უფრო ხშირადაც, რომლითაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს მათი ადგილობრივი მასშტაბით. არსებობს ასევე პორტალი სპეციალურად ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის ვებ-გვერდზე www.insee.fr. ინოვაცია უფრო ზოგადი პროცესის არსებითი ნაწილია და ამასთან, მნიშვნელოვანია ხარისხი. ხარისხის ნორმები თან უნდა იყოს დართული – 1997 წლიდან ევროპულ რეგულაციებში მოცემული ნორმების ჩათვლით – განსაკუთრებით გამოქვეყნების დედლაინებსა და “მეტა-ინფორმაციასთან” დაკავშირებით. 2006 წელს INSEE-ში დაინერგა ხარისხის გეგმა, რომელმაც გააფართოვა და გაშალა 1999 წელს დაწყებული პროცესი “საჯარო სტატისტიკისა და კომპანიების” პროცედურებით. გამჭვირვალობა ინსტიტუტის საქმიანობაში, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეინარჩუნოს სანდოობა, წინა პლანზეა, როგორც საჯარო სტატისტიკის მართვის, ასევე

სტატისტიკური პროცესებისა და თავად შედეგების თვალსაზრისით. იგი უკავშირდება საჯარო სამართლის ფინანსური კანონების იმპლემენტაციას, ახდენს მენეჯმენტის მოდერნიზაციას და ხელს უწყობს ეფექტიანობას ყველა სტატისტიკურ ოპერაციაში. უკანასკნელ პერიოდში INSEE წინ მიიწევს მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უფრო სისტემური მონიტორინგის სფეროში.

3.2. სტატისტიკის ორგანიზაცია და რეგიონული სამსახურების როლი

რეგიონული სამსახურების როლი მეტად მნიშვნელოვანია და მდგომარეობს შემდეგში: 1) ადგილობრივი მონაცემების შეგროვება კვლევებისა თუ ადგილობრივი ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენების მეშვეობით; 2) სტატისტიკური ანალიზის, დემოგრაფიისა და ეკონომიკის საკითხებზე კვლევების ჩატარება რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე; შესაძლოა ეს იყოს, მაგალითად, რეგიონული ეკონომიკისა თუ დემოგრაფიული მდგომარეობის მიმოხილვა; მაგრამ შესაძლოა საჭირო შეიქმნას დამატებითი ანალიზი სპეციფიკური ადგილობრივი პოლიტიკის შემთხვევაში, როგორცაა რეგიონული კლასტერების განვითარება, გრძელვადიანი სახელმწიფო-რეგიონული ხელშეკრულებები თუ ურბანული (ქალაქების) დაგეგმარების პროექტები; 3) სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება ყველა სახის მომხმარებლისათვის. **მაშასადამე, მკვეთრად გამოიკვეთა სამი მთავარი როლი: რეგიონში სტატისტიკის წარმოება, კვლევები და ინფორმაციის გავრცელება რეგიონში და ადგილობრივ ხელისუფლებებთან ურთიერთობები.**

სტატისტიკის წარმოება რეგიონში: რეგიონული სამსახურების მიერ სტატისტიკის წარმოება არის არსებითად ეროვნული წარმოება, ე. ი. მას განსაზღვრავს INSEE-ს სათავო ოფისი, მაგრამ იგი ასევე მოიცავს ადგილობრივი სტატისტიკის წარმოებას. თითოეული რეგიონული სამსახურის მიერ ხორციელდება განსაზღვრული რაოდენობისა და სახის სტატისტიკური ოპერაციები, მაგალითად, მოსახლეობის ცენზი (აღწერა). სხვა ოპერაციები ტარდება მხოლოდ ზოგიერთი რეგიონული სამსახურის მიერ, რომლებიც შემდგომ ფარავენ უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე მხოლოდ მათი რეგიონია. ამ შემთხვევას აქვს ადგილი, მაგალითად, “სამოქალაქო სტატუსისთვის” (დაჯგუფებულია 8 რეგიონულ საიტზე), “საცალო ფასებისთვის” (7 რეგიონული საიტი) და ბიზნეს რეგისტრისთვის - Sirene (10 რეგიონული საიტი). რეგიონულ სამსახურს შეუძლია ჩაატაროს ადგილობრივი კვლევები შინამეურნეობებსა თუ კომპანიებზე, ან განავრცოს ეროვნულ კვლევებამდე (და გაზარდოს ნიმუში უკეთესი რეგიონული თუ ადგილობრივი წარმომადგენლობისთვის), ან გამოიყენოს ადმინისტრაციული ფაილები, რაც ადგილობრივად არის ხელმისაწვდომი იმისათვის, რომ ზოგიერთი სფერო უფრო ახლოს განიხილოს. ეს ოპერაციები ხშირად ხორციელდება პარტნიორულ საფუძველზე და იყენებენ გარე დაფინანსებასაც.

კვლევები და ინფორმაციის გავრცელება რეგიონში: კვლევების შემთხვევაში რეგიონულ სამსახურებს წვლილი შეაქვთ მიწოდებისა და მოთხოვნის ორმაგი პრინციპით. ჯერ ერთი, მათ უნდა მოიპოვონ წვდომა იმ მონაცემებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია მათ რეგიონში და გახადონ იგი ხალხისათვის ზოგადად ხელმისაწვდომი; შემდგომ მათ უნდა უპასუხონ საჯარო საჭიროებებს მთელს რეგიონში. სტატისტიკური პროდუქტები, რომლებსაც ისინი ავრცელებენ, შესაძლოა იყოს პუბლიკაციები, კვლევები თუ ელექტრონული პროდუქტები, ასევე ისინი შეიძლება იყოს მყიდველთათვის განკუთვნილი მონაცემთა ანალიზი. ეს ინფორმაცია სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ონლაინ რეჟიმში ინტერნეტით. რეგიონული სამსახურები ავრცელებენ საკუთარ პროდუქტებს საერთო ჩარჩოს მიხედვით, ანუ www.insee.fr ვებ-გვერდის კონკრეტულ რეგიონულ გვერდებზე. იმ დროს, როდესაც თითოეულ რეგიონულ სამსახურს განსახლებული ხარისხის ავტონომია გააჩნია რეგიონულ დონისძიებებთან დაკავშირებით, ყველა ისინი ახდენენ მათი სამუშაოების კოორდინაციას იმისათვის, რომ ისარგებლონ სხვა რეგიონებში განხორციელებული ანალოგებით. ამ ქსელს ხელმძღვანელობს სათავო ოფისის რეგიონული სამუშაოების დეპარტამენტი. INSEE-ს მომსახურებებს რეგიონებს სთავაზობენ “რეგიონებისთვის თანმიმდევრული შეთავაზების” პროგრამის საფუძველზე და მიეწოდებათ სტანდარტული პროდუქტები, რომლებიც ივსება დამატებითი კვლევების მიერ. შესაბამისი ვებ-გვერდის “ადგილობრივი ხელისუფლებების” პორტალი აღწერს იმ რეგიონულ პროდუქტებს, რომლებსაც გვთავაზობს INSEE ტერიტორიულ ჭრილში.

ურთიერთობები ადგილობრივ ხელისუფლებებთან: სტატისტიკის წარმოების ფუნქციები არ შედის პრეფექტის დაქვემდებარებაში, განსხვავებით განათლების, გადასახადების შეფასებისა და შეგროვების შინაარსისა და ორგანიზაციისგან. INSEE-ის რეგიონული ოფისი, რომელიც არის “საჯარო მენეჯმენტისა და ეკონომიკური განვითარების“ ნაწილი და ერთობლივად იმართება რეგიონული საჯარო საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, აკმაყოფილებს სახელმწიფო დეპარტამენტების მოთხოვნებს სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევების უზრუნველყოფის კუთხით. ადგილობრივი ხელისუფლებები (რეგიონი, დეპარტამენტი, კომუნა) და სხვა საჯარო აქტორები რეგიონში წარმოადგენენ სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოქმედებენ როგორც პარტნიორები. ყველა ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ისარგებლოს INSEE-ის მომსახურების შეთავაზებით ისევე, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს. მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს პარტნიორულ ურთიერთობებთან, ეს შეიძლება მოიცავდეს კვლევების ჩატარებას, ერთობლივ კვლევებსა თუ პუბლიკაციებს და სხვადასხვა სტატისტიკურ ანალიზს.

3.3. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE): მისი მთავარი მიზანი და ძირითადი მისია

საფრანგეთში ოფიციალური სტატისტიკის ძირითად ორგანიზაციას წარმოადგენს სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE), რომელიც შეიქმნა 1946 წელს. ამ ახალმა ინსტიტუციამ აიღო პასუხისმგებლობა საჯარო სტატისტიკისთვის, სამუშაოსთვის, რომელიც უწყვეტად ხორციელდებოდა საფრანგეთში ჯერ კიდევ 1833 წლიდან. INSEE პასუხისმგებელია კოორდინაცია გაუწიოს საფრანგეთის ოფიციალურ სტატისტიკურ სამსახურებს. იგი არის საფრანგეთის წარმომადგენელი ევროკავშირის ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სტატისტიკური ჰარმონიზაციის მთავარი ვალდებულებით. INSEE ჩართულია ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებში GENES-ის (ეკონომიკისა და სტატისტიკის ეროვნული სკოლების ჯგუფი) საშუალებით.

INSEE რთული სტრუქტურის მქონე ინსტიტუტია, რომელიც შედგება გენერალური სამდივნოსა და ხუთი მთავარი ფუნქციონალური დირექტორატისგან ². ესენია:

1. სტატისტიკის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციის დირექტორატი;
2. ბიზნეს სტატისტიკის დირექტორატი;
3. დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის დირექტორატი;
4. ეკონომიკური კვლევებისა და ეროვნული ანგარიშების დირექტორატი;
5. რეგიონული ღონისძიებების დირექტორატი.

ყველა ჩამოთვლილი დირექტორატის უშუალო კურატორს წარმოადგენს INSEE-ს გენერალური დირექტორი. თავის მხრივ, ყოველი დირექტორატი შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი განყოფილებისაგან. მაგალითად, სტატისტიკის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციის დირექტორატში შედის 3 განყოფილება. ესენია:

- სტატისტიკური მეთოდების განყოფილება;
- ინფორმაციის ხარისხის განყოფილება;
- ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.

ასევე, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის დირექტორატი მოიცავს 5 განყოფილებას, კერძოდ:

- დემოგრაფიის განყოფილება;
- შემოსავლებისა და ხარჯების განყოფილება;
- რესურსების განყოფილება;
- სამომხმარებლო ფასების განყოფილება;

² Order on the organisation of the Head Office of the National Institute for Statistics and Economic Studies; www.insee.fr/en/insee-organisation

- დემოგრაფიული და სოციალური კვლევის განყოფილება.

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი აგროვებს, ამუშავებს, ანალიზებს და აქვეყნებს ინფორმაციას საფრანგეთის ეკონომიკისა და საზოგადოების შესახებ. ეს ინფორმაცია რელევანტურია საჯარო ოფიციალური პირებისთვის, სახელმწიფო ორგანოებისთვის, კერძო სექტორისთვის, მკვლევარებისთვის, მედიისთვის, მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის და ნებისმიერი ფიზიკური პირისთვის. ინსტიტუტი საშუალებას აძლევს მათ გაიფართოვონ ცოდნა, ჩაატარონ კვლევები, მოამზადონ პროგნოზები და მიიღონ გადაწყვეტილებები. მომხმარებლების ინფორმაციაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად INSEE ისმენს მათ საჭიროებებს და შესაბამისად არეგულირებს თავის სამუშაო პროგრამას. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის მიზანია ნათელი მოჰფინოს ეკონომიკურ და სოციალურ დებატებს ობიექტური მონაცემების საფუძველზე.

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი პასუხისმგებელია და რეგულარულად აქვეყნებს დიდი მოცულობის მაკროეკონომიკურ სტატისტიკას. ინსტიტუტის მიერ გაანგარიშებული და გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებელი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 3.1. საფრანგეთის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2006	2010
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი) მათ შორის:	61,399,5	65,447,3
2.	ქალები	31,685,0	33,723,7
3.	მამაკაცები	29,714,5	31,723,6
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლნ დოლარი)	2,255,705	2,549,027
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	36 743	38 916
6.	უმუშევრობის დონე, %	9,2	9,7

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საფრანგეთის სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2006-2010 წლებში (ანუ 4 წლის განმავლობაში) მოიმატა 4 მილიონი ადამიანით, ანუ წელიწადში საშუალოდ ერთი მილიონით, რაც ერთ-ერთი მაღალი

მაჩვენებელია ევროპაში. მოსახლეობის ზრდა ძირითადად განაპირობა არა ბუნებრივმა მოძრაობამ, არამედ მიგრაციამ (უფრო კონკრეტულად, ლიბერალურმა საიმიგრაციო კანონმდებლობამ, რამაც ხელი შეუწყო იმიგრანტთა ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას).

3.4. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის (INSEE) ძირითადი ამოცანები

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი თავისი მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ამოცანებს²:

- სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
- სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი;
- სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება;
- სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია;
- სწავლება და კვლევების სტიმულირება;
- საერთაშორისო სტატისტიკური სივრცის შექმნის ხელშეწყობა.

3.4.1. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE) ორგანიზებას უწევს მოსახლეობის აღწერებს და თვალყურს ადევნებს დემოგრაფიულ ცვლილებებს. ეროვნული ეკონომიკისათვის იგი განსაზღვრავს ისეთ მთავარ მაჩვენებლებს, როგორცაა ეროვნული ანგარიშები, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სხვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მაკროეკონომიკური ინდიკატორები.

პერიოდულად იგი ატარებს ასევე შინამეურნეობების სტატისტიკურ გამოკვლევებს, რომელთა შორისაა შემდეგი საკითხებიც: დასაქმება, საცხოვრებელი პირობები, საბინაო ფონდი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი დაცვა.

INSEE აგროვებს ასევე ინფორმაციას საწარმოებიდან მათი საქმიანობის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, მონაწილეობს ინფორმაციის შეგროვების მეთოდების გაუმჯობესებაში.

პასუხისმგებლობის ტვირთის შესამცირებლად INSEE ამზადებს მონაცემებს მხოლოდ წმინდა სტატისტიკური მიზნებისთვის, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან, როგორცაა, მაგალითად, შემდეგი დოკუმენტების ასლები: სამოქალაქო სარეგისტრაციო ჩანაწერები, დასაქმებულების

² Order the organizational procedures of the Committee for the National Statistical Quality Label.

www.insee.fr/en

წლიური სახელფასო უწყისების მონაცემების ბიულეტენი, წლიური საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, სოციალური დახმარებების ჩანაწერები, საგადასახადო შემოსავლები ინდუსტრიული და კომერციული ფირმებიდან, შემოსავლები დამატებითი ღირებულების გადასახადიდან და სხვ.

INSEE ასევე აწარმოებს და მართავს SIRENE-ს ბიზნეს რეგისტრს, კერძო პირების ეროვნული იდენტიფიკაციის რეგისტრს (RNIPP) და ასევე ამომრჩევლების რეგისტრს.

3.4.2. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი, მისსავე შეროვილი მონაცემების საფუძველზე, ახორციელებს კვლევებს ეროვნული ეკონომიკის, განსაკუთრებით კი, საწარმოო სისტემისა და ინფრასტრუქტურის შესახებ შემდეგ საკითხებზე: ეკონომიკის პირობები, მთავარი ეკონომიკური და ფინანსური წონასწორობის ანალიზი, საწარმოების მდგომარეობისა და ქცევის ანალიზი, ეკონომიკური სექტორების საქმიანობის ანალიზი და სხვ. იგი ასევე ფრანგული საზოგადოების შესახებ ახორციელებს კვლევებს, რომელიც მოიცავს: დემოგრაფიულ პროცესებსა და ქცევებს (დაბადება, სიკვდილიანობა, მიგრაცია და სხვ.), განათლებასა და სწავლებას, დასაქმებასა და უმუშევრობას, შემოსავლებსა და სიღარიბეს, საცხოვრებელ პირობებს და სხვ.

აღნიშნული კვლევები ხშირად ითვალისწინებს ტერიტორიულ ფაქტორებს და სივრცულ განზომილებას, როგორცაა მოსახლეობისა და ეკონომიკური აქტივობების გეოგრაფიული განაწილება და ტერიტორიულ ერთეულებს შორის გაცვლითი პროცესები.

INSEE შეიმუშავებს ასევე მრავალი ეკონომიკური მაჩვენებლის სხვადასხვა ვადიან პროგნოზს. ამ პროცესში იგი იყენებს და ავითარებს მაკროეკონომიკურ, სტატისტიკურ და დემოგრაფიულ, ეკონომეტრიკულ მოდელებს, რათა ხელი შეუწყოს ფრანგული ეკონომიკისა და საზოგადოების მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი ცვლილებების წინასწარ განჭვრეტას და ადეკვატური რეკომენდაციების შეიმუშავებას.

3.4.3. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება

INSEE-ის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მის მიერ მომზადებული სტატისტიკური ინფორმაციისა და კვლევების შედეგების გავრცელება. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის მიერ მომზადებული ძირითადი სტატისტიკა ხელმისაწვდომია ყველასათვის უსასყიდლოდ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (www.insee.fr).

ბიზნეს-სუბიექტებს, სახელმწიფო სააგენტოებს, ადგილობრივ გაერთიანებებს, მკვლევარებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, ჟურნალისტებს, მოქალაქეებს – ყველას აქვს INSEE-ისა და ოფიციალური სტატისტიკური სამსახურის მიერ

მომზადებული ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობა, კონფიდენციალობის წესების ფარგლებში.

რათა გააფართოვოს შეთავაზებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე, INSEE ქმნის ისეთ სამომხმარებლო პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მომხმარებლების სპეციფიკურ საჭიროებებზე. მაგალითად, მას შეუძლია შეადგინოს ინდივიდუალიზებული ცხრილები, გამიზნულად შერჩეული მონაცემები, ასევე, ჩაატაროს კვლევები, შესწავლა და ანალიზი სახელმწიფო დეპარტამენტების, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს-სუბიექტების, კომერციული ორგანიზაციებისა და სხვათა მოთხოვნით (შეკვეთით).

3.4.4. სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია

საფრანგეთის სამინისტროების უმრავლესობას აქვთ საკუთარი სტატისტიკური სამსახურები, რომლებიც ჩართულნი არიან სტატისტიკურ ოპერაციებში, რა თქმა უნდა, სამინისტროს კომპეტენციის სფეროს ფარგლებში. INSEE კი კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, კერძოდ:

- იგი მოქმედებს, როგორც სტატისტიკური ინფორმაციის ეროვნული საბჭოს სამდივნო (CNIS). საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს სტატისტიკური ოფისების პროგრამების თაობაზე, აკონტროლებს, რომ დაცული იყოს კვლევების ხარისხის სტანდარტები, ზედამხედველობს სტატისტიკური რეგულაციების დანერგვას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა შესაბამისობა სტატისტიკურ კონფიდენციალობასთან და აუცილებელი კვლევების ჩატარების ვალდებულება.
- იგი ამზადებს მმართველი დონის პერსონალს ოფიციალური სტატისტიკური სამსახურებისთვის და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.
- იგი აკონტროლებს ინსტრუმენტებს, რათა უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის თანმიმდევრობა, რისთვისაც: მართავს ცალკეული პირებისა და საწარმოების რეგისტრებს, მონაწილეობს საანგარიშგებო კონცეფციებისა და სტრუქტურის განსაზღვრაში, ისევე, როგორც კლასიფიკაციების მომზადებაში.
- იგი ავითარებს ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტებს ოფიციალურ სტატისტიკურ სამსახურში და სამსახურისთვის ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტებს.
- იგი ხელს უწყობს პირობების შექმნას, რომლებიც წახალისებს ფირმებს შორის ურთიერთობებს ინფორმაციის გაცვლის სფეროში.
- იგი ინარჩუნებს ოფიციალური სტატისტიკის პორტალს, რომელიც იძლევა საფრანგეთის სამინისტროების სტატისტიკური ოფისების მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის წვდომის საშუალებას.

3.4.5. სწავლება და კვლევების სტიმულირება

ეკონომიკისა და სტატისტიკის ეროვნული სკოლების ჯგუფის (GENES) მეშვეობით, სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი უზრუნველყოფს ტრენინგებს სპეციალისტებისთვის სტატისტიკაში, ეკონომიკისა და ინფორმაციის დამუშავებაში. INSEE-ის სკოლების კურსდამთავრებულები მოთხოვნადი კადრები არიან კერძო ფირმების, სახელმწიფო სააგენტოებისა და საჯარო ინსტიტუტების მიერ.

INSEE კვლევას ორ ძირითად სფეროში ახორციელებს. ზოგადად ესენია: ეკონომიკური მოდელირება და პროგნოზირება; სტატისტიკური მეთოდოლოგია.

1) ეკონომიკისა და სტატისტიკის ეროვნული სკოლების ჯგუფი (GENES)

GENES აერთიანებს INSEE-ის უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებს. იგი მოიცავს:

- ორ უმაღლეს სკოლას; ესენია:
 1. სტატისტიკისა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სკოლა (ENSAE);
 2. სტატისტიკისა და ინფორმაციული ანალიზის ეროვნული სკოლა (ENSAI).
- კვლევითი ცენტრი CREST (კვლევითი ცენტრი ეკონომიკისა და სტატისტიკაში);
- უწყვეტი განათლების ცენტრი CEPE (ეკონომიკური პროგრამების სწავლების ცენტრი).

2) სკოლა ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების სწავლებისთვის (ENSAE)

სტატისტიკისა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სკოლა (ENSAE) არის უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც სპეციალიზებულია ეკონომიკისა და სტატისტიკაში და კერძოდ, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებაში ეკონომიკური ანალიზის, ფინანსებისა და დაზღვევის საკითხებში. მისი ახალი სახელწოდებაა „ეკონომიკის, სტატისტიკისა და ფინანსების პარიზის უმაღლესი სკოლა“. იგი ამზადებს საჯარო და არასაჯარო მოსამსახურეებს. სკოლა ყოველწლიურად დაახლოებით 150 სტუდენტს იღებს, განსაკუთრებით შემდეგი ორი წყაროდან:

- საკონკურსო მისაღები გამოცდები კანდიდატებისთვის, რომლებმაც დაამთავრეს სამიდან ერთ-ერთი მოსამზადებელი კლასი (ინტენსიური სასწავლო პროგრამები): mathspé MP and MP, khâgnes B/L, and prépas EC/S.
- მიიღებიან საფრანგეთის სხვა უმაღლესი სკოლების (Polytechnique, HEC, ENS, Mines, Ponts et Chaussées, etc.) და ა. შ. კურსდამთავრებულები, რომლებიც შემდეგი აკადემიური ხარისხების მფლობელები არიან: "M1" მათემატიკის მაგისტრები, ასევე მაგისტრები საგანში: მათემატიკა სოციალურ მეცნიერებებში (MASS), ან ეკონომიკა (სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის მაგისტრები).

პროგრამის ხანგრძლივობა განსხვავებულია და გრძელდება ორი-სამი წელი; იგი დამოკიდებულია სტუდენტის წინა პერიოდის აკადემიურ მაჩვენებლებზე. აღნიშნული სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საგნებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, განსხვავებულია აკადემიური წლების მიხედვით ². მაგალითად, **პირველ წელს** ისწავლება შემდეგი საგნები: შესავალი სტატისტიკაში, ეკონომეტრიკაში, ალბათობის თეორიაში, მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამები, მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა.

მეორე წელს ისწავლება შემდეგი საგნები: მათემატიკური სტატისტიკა, დროითი მწკრივების ანალიზი, ეკონომიკის, საერთაშორისო ვაჭრობა, სოციოლოგია, კორპორაციული ფინანსები, სტატისტიკური მოდელირება და სხვ.

მესამე წელს სტუდენტები სწავლობენ შემდეგ საგნებს: სტატისტიკა, ბაზრის ანალიზი, პროგნოზირება, რაოდენობრივი მეთოდები სოციალურ სფეროში, რისკ მენეჯმენტი და სხვ.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ENSAE-ს ვებ-გვერდს: www.ensae.fr

3) პროფესიული სწავლების სკოლა სტატისტიკასა და ინფორმაციულ ანალიზში (ENSAI)

ENSAI პირველი ფრანგული უმაღლესი სკოლაა, რომელიც სთავაზობს ტექნიკურ-სტატისტიკურ და ინფორმაციის დამუშავების საქმიანობების დაუფლებას უმაღლესი დონის კურსების საშუალებით სტატისტიკაში, ეკონომეტრიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (IT). ყოველწლიურად მიღებული სტუდენტების დაახლოებით 40% მიეკუთვნებიან “საჯარო სამსახურის ინტერნებს”, რომლებიც ორ წელიწადში ამთავრებენ კურსს სამაგისტრო ხარისხით – ატაშე სტატისტიკოსი. სტუდენტები შეისწავლიან ისეთ საგნებს, როგორცაა, მაგალითად, ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზის მეთოდები, ბიოსტატისტიკა, სტატისტიკური მოდელირება, სტატისტიკა ინჟინერიაში, სტატისტიკა მარკეტინგში და მენეჯმენტში და სხვ ².

სტუდენტების 60% არიან არასაჯარო მოსამსახურეები, რომლებიც აგრძელებენ მესამე წელს სპეციალიზირებულ სწავლებას და ამთავრებენ სკოლას სპეციალიზებული დიპლომით.

მიღებული სტუდენტების უმრავლესობას დამთავრებული აქვთ მეცნიერებაში მოსამზადებელი კურსები ან მისაღები გამოცდის მოსამზადებელი კურსები (ინტენსიური სწავლება უმაღლეს სკოლებში მისაღებად) B/L ან D2 კატეგორიებში. ზოგიერთ სტუდენტს უნივერსიტეტის ხარისხით B.A. ან M.A. მათემატიკაში, სოციალურ მეცნიერებებსა და ეკონომიკაში შეუძლიათ ჩააბარონ

² www.ensae.fr/ensae_engl/index

² www.ensai.fr/ensai_engl/index

L2 დონის მისაღები გამოცდები, ან შესაძლებელია მიღებულ იქნას სკოლაში M1 დონით აღრეული კვალიფიკაციების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ENSAI-ს ვებ-გვერდს: www.ensai.com

4) ეკონომიკური და სტატისტიკური კვლევის ცენტრი (CREST)

CREST არის INSEE-ის ეკონომიკური და სტატისტიკური კვლევის ცენტრი, სადაც მუშაობს თითქმის 100 მკვლევარი. ცენტრში ხორციელდება როგორც მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური სტატისტიკური კვლევები ეკონომიკის, სოციალური და სხვა სფეროებიდან.

ცენტრის კვლევითი საქმიანობა ძირითადად სპეციალიზებულია შემდეგი მიმართულებებით ²:

- ეკონომიკური და სოციალური მოვლენების სტატისტიკური მოდელირება;
- სტატისტიკური მეთოდების კონსტრუირებასა და დანერგვაზე.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ CREST-ის ვებ-გვერდს: www.crest.fr

5) უწყვეტი განათლების ცენტრი ეკონომიკასა და სტატისტიკაში (CEPE)

CEPE უზრუნველყოფს ტრენინგებს მონაწილეებისათვის ბიზნესის სფეროდან, საჯარო და ნახევრად საჯარო სააგენტოებიდან და სახელმწიფო ორგანოებიდან. კომპანიათაშორისო ან მოთხოვნაზე მორგებული სასწავლო სესიები ტარდება როგორც დამწყები, ისე მაღალი დონის სტატისტიკოსებისა და ეკონომისტებისთვის. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთ სურთ გაიღრმავონ ცოდნა სპეციფიკური ასპექტით – სტატისტიკური მეთოდების შესწავლით.

მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ CEPE-ს ვებ-გვერდს: www.lecepe.fr

3.5. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE) ვეროკავშირის სტატისტიკურ სისტემაში

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი გახლავთ ვეროკავშირის სტატისტიკური სამუშაოების აქტიური კონტრიბუტორი, როგორც პირდაპირი მონაწილე და საფრანგეთის მთავრობის სტატისტიკური სამსახურების კოორდინატორი. ინსტიტუტი ამ ფუნქციებს ასრულებს ორ დონეზე, კერძოდ: პირველი არის სტატისტიკის შესახებ ვეროგაერთიანების კანონმდებლობის

² www.crest.fr/crest_engl/index

პროექტირება და მიღება. მეორე, ეს არის მონაცემთა წარმოება და კომუნიკაცია.

შინაარსობრივად იგი გულისხმობს: 1 – სტატისტიკის შესახებ ევროგაერთიანების კანონმდებლობის პროექტირება და მიღება; 2 – მონაცემთა წარმოება; 3 – როგორ ფუნქციონირებენ ევროპული ინსტიტუციები სტატისტიკის სფეროში; 4 – ხარისხის ჩარჩო ევროპული სტატისტიკისთვის. **შესაბამისი მოქმედებები და ფუნქციონირება ასე ხორციელდება:** 1 – სტატისტიკის შესახებ ევროგაერთიანების კანონმდებლობის პროექტირება და მიღება. ეს დონისძიებები ტარდება სამი ორგანოს მიერ: Eurostat-ის სამუშაო ჯგუფები იღებენ სტატისტიკური რეგულაციების პროექტებს (Eurostat: ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური). საბჭოს სტატისტიკური ჯგუფი ამზადებს “ჩარჩო” რეგულაციებს ევროპის პარლამენტისთვის და თვით საბჭოსთვის და ჩართულია მოლაპარაკებებში მათ საბოლოო მიღებამდე. ევროპის სტატისტიკის მრჩეველთა კომიტეტი (ESAC), რომელიც მოქმედებს ევროსტატის პარალელურად, აერთიანებს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტების (NSI) გენერალურ დირექტორებს. ESAC კონსულტაციებს აძლევს “ჩარჩო” რეგულაციების პროექტებზე ვიდრე მათ კომისია გაუგზავნის ევროპის პარლამენტსა და საბჭოს. ESAC-მა ასევე უნდა მოიწონოს კომისიის ის რეგულაციები, რომელთა შემუშავება ხდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციების იმპლემენტაციის მიზნით.

მონაცემთა წარმოება. ევროპის კავშირის სტატისტიკა იწარმოება ევროკავშირის სტატისტიკური სისტემის მიერ 2009 წლის 11 მარტის სტატისტიკური რეგულაციის, ევროკავშირის სტატისტიკის ბიუროს (Eurostat) ხელმძღვანელობისა და სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტების (NSI), აგრეთვე იმ სხვა ეროვნული ხელისუფლებების, რომლებიც პასუხს აგებენ თითოეულ წევრ სახელმწიფოში ევროპული სტატისტიკის განვითარების, წარმოებისა და გავრცელებისთვის, შესაბამისი კანონმდებლობით. ამ პრინციპის მიხედვით, სტატისტიკის ეროვნულ სისტემებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ მონაცემთა შეგროვების საკუთარი მეთოდები, როგორცაა ადმინისტრაციული მონაცემების გამოკვლევა და დამუშავება. გაცვლის კუთხით, ისინი პასუხს აგებენ ინფორმაციის ხარისხზე, რომელიც განსაზღვრულია გაერთიანების დონეზე შემუშავებული რეგულაციებითა და გადაწყვეტილებებით. Eurostat კოორდინაციას უწევს ევროკავშირის ინსტიტუციებისა და ამ მიზნის მქონე ორგანოების სტატისტიკურ საქმიანობას, მათ შორის, მონაცემების თანმიმდევრულობისა და ხარისხის გარანტირებისა და დეკლარირების ვალდებულებების მინიმიზების მხრივ. Eurostat და სტატისტიკის ეროვნული სისტემები პასუხისმგებელი არიან მონაცემთა გავრცელებაზე.

3.6. საერთაშორისო სტატისტიკური სივრცის შექმნის ხელშეწყობა

სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (INSEE) ყოველდღიურად თანამშრომლობს ევროსტატთან და მის კოლეგებთან ევროკავშირის ფარგლებში, რათა ხელი შეუწყოს ევროკავშირის სტატისტიკური სივრცის მშენებლობას და განვითარებას. როგორც ამ წამოწყების ნაწილი, ინსტიტუტი ჩართულია რეგულაციების განსაზღვრის, იერარქიულობის (დაქვემდებარებულობის) პრინციპის შესაბამისად და ევროპის სტატისტიკის შედგენის საქმეში.

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებების პირობებში, საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან INSEE ახორციელებს იმ ოფიციალური მონაცემების გაცვლას და ურთიერთშედარებას, რომლებიც ორივე ქვეყანას შეეხება. ერთ-ერთი ასეთი ინფორმაციაა, მაგალითად, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა. საფრანგეთსა და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობის კრებისითი მონაცემები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 3.2. საქართველოსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	12,1	100	72,5	100	85,9	100	123,3	100
მათ შორის:								
ექსპორტი	1,1	8,76	11,6	15,93	10,8	12,71	17,2	13,91
იმპორტი	11,0	91,24	60,9	84,07	75,1	87,29	106,1	86,09

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, საფრანგეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა 2000-2012 წლებში 10-ჯერ გაიზარდა და ჩვენი ქვეყნისთვის საფრანგეთი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა.

საერთაშორისო ასპარეზზე INSEE მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNO), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და მსოფლიო ბანკის (WB) სტატისტიკურ სამუშაოებში.

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებების პირობებში, INSEE ეხმარება საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკურ სააგენტოებს, ასევე

ეხმარება განვითარებად და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებს სტატისტიკოსების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამ მიზნით, CEFIL, INSEE-ის სასწავლო ცენტრები ლიბურნში (სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთი) ატარებს სემინარებს და შეხვედრებს საზღვარგარეთელ სტატისტიკოსებთან და ეკონომისტებთან. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებას წინ უსწრებს კონსულტაციები ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ევროპის კომისიასა და ევროსტატთან.

ინსტიტუტი გამოსცემს “საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის ჟურნალს” (La lettre de la coopération technique international), ასევე, თანაგამომცემელია მეთოდოლოგიური ჟურნალისა “Statéco”.

3.7. როგორ ფუნქციონირებენ ევროპული ინსტიტუციები სტატისტიკის სფეროში

ევროპის კავშირის საბჭოს ფარგლებში, სტატისტიკური საკითხებით დაკავებულია ECOFIN, ე. ი. წვერი სახელმწიფოების ეკონომიკური და ფინანსური მინისტრების საბჭო. ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) სტატუსთან დაკავშირებული პროცედურების გარდა, სტატისტიკას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს იღებს საბჭო და ევროპის პარლამენტი 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების, ე. ი. თანაგადაწყვეტილებების მიხედვით. ევროპული სტატისტიკის წარმოება მოიცავს პროგრამის იმპლემენტაციას, “გადაწყვეტილების,” რომელიც შეეხება წვერ ქვეყნებს. სტატისტიკურ პროგრამას წარმოადგენს კომისია, შემდეგ იღებს საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობა და ამის შემდეგ გამოსცემს ევროპის პარლამენტი საბჭოს მიერ მიღებული ფორმულირებით. საბჭოს შეუძლია აღმასრულებელი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს კომისიისთვის: მაშინ ტექსტებს მოიწონებს კომისია, ჩვეულებრივ “კომიტეტის” დახმარებით (ESAC - ევროპის სტატისტიკის მრჩეველთა კომიტეტი) სტატისტიკური საკითხებისთვის. კომიტეტის გადაწყვეტილებებს აქვს მარეგულირებელი ძალა. მასტრისტის ხელშეკრულებებმა, ECB-ს დაფუძნებამ და გაერთიანების რეგულაციების არსებობამ და დახმარებამ გააძლიერეს აუცილებელი თანამშრომლობა ევროპის ოფიციალურ სტატისტიკურ სისტემებს შორის. გაერთიანების სტატისტიკური პოლიტიკის დანერგვასა და ევროპის კავშირის მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ევროპული კომისიის გენერალური დირექტორატი და კერძოდ კი ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური (Eurostat). Eurostat-ის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს შემდეგი: მომხმარებელთა უზრუნველყოფა (ევროპული და ეროვნული ინსტიტუციები, სოციალური პარტნიორები და მთლიანად საზოგადოება) სანდო, შედარებითი ინფორმაციით, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის საერთო სტანდარტებს, რომელიც, თავის მხრივ, განავითარებს ევროკავშირის სტატისტიკურ სისტემებს, რაც ხელს უწყობს

“ნოუ-ჰაუს” გაცვლებს წვერ ქვეყნებს შორის და განვითარებისთვის დახმარების პროგრამების მეშვეობით. Eurostat კრებს და ახდენს წვერი ქვეყნების მიერ შეგროვილი ეროვნული სტატისტიკის სტანდარტიზაციას, გამოითვლის აგრეგატებს EU 28-ისა და EU 14-თვის (ევროზონა), თარგმნის მასალას და ამატებს მოკლე კომენტარებს. იგი ხელახლა ავრცელებს ევროკავშირის ფარგლებში ეროვნულ მონაცემებსა და მის მიერ გამოთვლილ აგრეგატებს. Eurostat ხშირად თვითონ არ ატარებს ეკონომიკურ ანალიზს. იგი მუშაობს წვერ ქვეყნებთან გადაწყვეტილების მიღების დონეზე და ეროვნულ ინფორმაციაზე წვდომისთვის.

3.8. ხარისხის ჩარჩო ევროპული სტატისტიკისთვის

ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის მიღებით, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურმა (Eurostat) და ევროკავშირის წვერ სახელმწიფოთა ოფიციალური სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელობამ შეიმუშავეს მაღალი ხარისხის სტატისტიკის მომცველი მიდგომა. იგი აყალიბებს ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხის საერთო განსაზღვრებას სტატისტიკაში და მოიცავს ყველა შესაბამის სფეროს, დაწყებული ინსტიტუციონალური გარემოდან, სტატისტიკის წარმოების პროცესებიდან შედეგამდე: ოფიციალური ევროპული სტატისტიკა. ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი წარმოადგენს 15 მთავარ პრინციპს ოფიციალური ევროპული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელებისთვის და ინსტიტუციონალური გარემოსთვის, რომელშიც მოქმედებენ ეროვნული და ევროპის გაერთიანების სტატისტიკური ინსტიტუციები. კარგი პრაქტიკის მაჩვენებლების ნაკრები 15 პრინციპიდან თითოეულისთვის უზრუნველყოფს მიმართებას კოდექსის დანერგვის მიმოხილვისთვის. ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი მიღებული იქნა ფინანსთა მინისტრების მიერ 2005 წლის ივნისში. ამ ზომების პარალელურად, დაფუძნდა ორი ევროპული მრჩეველი ორგანო იმისათვის, რომ უზრუნველყო ევროპული სტატისტიკის უკეთესი პერსპექტივების ხილვადობა: ევროპული სტატისტიკის მრჩეველთა კომიტეტი (ESAC) და ევროპული სტატისტიკის მართვის მრჩეველთა საბჭო (ESGAB). პრაქტიკის კოდექსის მიღებით, ევროპის სტატისტიკურმა სისტემამ საკუთარ თავს დააკისრა კოდექსის პრინციპების პატივისცემა და მისი იმპლემენტაციის მიმართულებით მუშაობა. პირველი ნაბიჯი იყო საკუთარი თავის შეფასების კითხვარის, რომელიც ახდენს პრაქტიკის კოდექსის პრინციპებისა და მაჩვენებლების დეტალიზებას, დასრულება Eurostat-სა და ყველა იმ ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებიან ევროპული სტატისტიკის სისტემას. საკუთარი თავის შეფასების დასრულების მიზნით, ყველა ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტმა და Eurostat-მა გაიარეს სათანადო შემოწმება 2006/2007 წლებში, რითაც დააფუძნეს კოდექსისადმი დამორჩილების წესი, განსაკუთრებით ინსტიტუციონალურ გარემოსა და სტატისტიკის გავრცელებასთან დაკავშირებულ სფეროებში (იხილეთ ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის 1-6 და 15 პრინციპები).

3.9. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია საფრანგეთში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. საფრანგეთში სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი შეიქმნა:

- ა) 1935 წელს; ბ) 1846 წელს; გ) 1946 წელს; დ) 1950 წელს.

3. საფრანგეთში სტატისტიკის პირველი სამთავრობო უწყება შეიქმნა:

- ა) 1833 წელს; ბ) 1991 წელს; გ) 1949 წელს; დ) 1951 წელს.

4. საფრანგეთში სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეიქმნა:

- ა) 1833 წელს; ბ) 1941 წელს; გ) 1949 წელს; დ) 1955 წელს.

5. სტატისტიკური ინფორმაციის უფასოდ ხელმისაწვდომი წესი (ინტერნეტიდან) საფრანგეთში დამკვიდრდა:

- ა) 2003 წლიდან; ბ) 2006 წლიდან; გ) 2009 წლიდან; დ) 2001 წლიდან.

6. რით იყო მნიშვნელოვანი საფრანგეთის სტატისტიკის ისტორიაში 2001 წელი?

- ა) დამტკიცდა ახალი კანონი სტატისტიკის შესახებ;
- ბ) ჩატარდა უსახლკარო ხალხის აღწერა;
- გ) დამტკიცდა „INSEE-ის განვითარების სტრატეგია 2002-2005 წლებისათვის“;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

7. რამდენი ძირითადი მისია აკისრია სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნულ ინსტიტუტს?

- ა) სამი; ბ) ხუთი; გ) ექვსი; დ) ორი.

8. სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის ძირითადი მისიაა:

- ა) სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი;
- ბ) სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება;
- გ) სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

9. საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ 2006-2010 წლებში შეადგინა:

- ა) 2 მილიონი; ბ) 3 მილიონი; გ) 1 მილიონი; დ) 4 მილიონი.

10. საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა 2006-2010 წლებში ძირითადად განაპირობა:

- ა) მოსახლეობის ბუნებრივმა მოძრაობამ;
- ბ) მიგრაციამ;
- გ) სიკვდილიანობის შემცირებამ;
- დ) შობადობის ზრდამ.

11. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით საფრანგეთს მსოფლიოში უკავია:

- ა) მე-9 ადგილი;
- ბ) მე-19 ადგილი;
- გ) მე-29 ადგილი;
- დ) მე-12 ადგილი.

12. INSEE კვლევას ძირითადად ახორციელებს შემდეგ სფეროებში:

- ა) ეკონომიკური ინფორმატიკა, მოდელირება და პროგნოზირება;
- ბ) სტატისტიკური მეთოდოლოგია;
- გ) ეკონომიკური პროგნოზირება და სტატისტიკური მეთოდოლოგია;
- დ) მაკროეკონომიკა, დემოგრაფია და სახელმწიფო ფინანსები.

13. INSEE ამუშავებს შემდეგი სახის პროგნოზებს:

- ა) მხოლოდ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს;
- ბ) მხოლოდ სტატისტიკურ პროგნოზებს;
- გ) მხოლოდ დემოგრაფიულ პროგნოზებს;
- დ) სამივეს.

14. INSEE-ს შეუძლია ჩაატაროს ეკონომიკური და სტატისტიკური კვლევები და ანალიზი:

- ა) სახელმწიფო დეპარტამენტების მოთხოვნით;
- ბ) ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით;
- გ) ბიზნეს-სუბიექტებისა და კომერციული ორგანიზაციების მოთხოვნით;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

15. INSEE აწარმოებს და მართავს:

- ა) ბიზნეს რეგისტრს;
- ბ) კერძო პირების ეროვნული იდენტიფიკაციის რეგისტრს;
- გ) ამომრჩევლების რეგისტრს;
- დ) სამივეს.

16. შინამეურნეობების სტატისტიკური გამოკვლევები საფრანგეთში მოიცავს:

- ა) დასაქმებას და საბინაო ფონდს;
- ბ) საცხოვრებელ პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და დასაქმებას;
- გ) ჯანმრთელობის დაცვას და თავისუფალი დროის გამოყენებას;
- დ) პოლიტიკურ საქმიანობას.

17. ეკონომიკისა და სტატისტიკის ეროვნული სკოლების ჯგუფი (GENES)

საფრანგეთში აერთიანებს:

- ა) ორ უმაღლეს სკოლას;
- ბ) ორ უმაღლეს სკოლას და უწყვეტი განათლების ცენტრს;
- გ) ორ უმაღლეს სკოლას და კვლევით ცენტრს;
- დ) ორ უმაღლეს სკოლას, უწყვეტი განათლების ცენტრსა და კვლევით ცენტრს.

18. სტატისტიკისა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სკოლა (ENSAE) არის:

- ა) სასწავლო დაწესებულება;
- ბ) სამეცნიერო დაწესებულება;
- გ) კვლევითი დაწესებულება;
- დ) სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.

19. სტატისტიკისა და ინფორმაციული ანალიზის ეროვნული სკოლა (ENSAI) არის:

- ა) უმაღლესი სასწავლო დაწესებულება;
- ბ) სამეცნიერო დაწესებულება;
- გ) პროფესიული უწყვეტი განათლების ცენტრი;
- დ) სასწავლო-სამეცნიერო უმაღლესი სკოლა.

20. სტატისტიკისა და ინფორმაციული ანალიზის ეროვნული სკოლა (ENSAI)

ახორციელებს სპეციალისტების მომზადებას:

- ა) სტატისტიკაში;
- ბ) ეკონომეტრიკაში;
- გ) ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (IT);
- დ) სამივე სფეროში.

21. INSEE გამოსცემს ჟურნალს:

- ა) „სტატისტიკის მომავალი“;
- ბ) „საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობა“;
- გ) „საერთაშორისო სტატისტიკური თანამშრომლობა“;
- დ) „ეკონომიკისა და სტატისტიკის ცნობარი“.

22. 2010 წელს საფრანგეთში მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (ათასი აშშ დოლარი):

- ა) 3894; ბ) 389461; გ) 38946; დ) 389.

23. 2010 წელს საფრანგეთში უმუშევრობის დონე აშშ-თან შედარებით იყო:

- ა) ძლიერ მაღალი;
- ბ) ძლიერ დაბალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

24. 2010 წელს საფრანგეთში უმუშევრობის დონე იაპონიასთან შედარებით იყო:

- ა) დაახლოებით 2-ჯერ მაღალი;
- ბ) დაახლოებით 2-ჯერ დაბალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

25. 2005-2012 წლებში საქართველოდან საფრანგეთში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 8,3%-ით;
- ბ) გაიზარდა 48,3%-ით;
- გ) შემცირდა 18,3%-ით;
- დ) უცვლელი დარჩა.

26. 2005-2012 წლებში საქართველოში საფრანგეთიდან საქონლის იმპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 7,2%-ით;
- ბ) გაიზარდა 74,2%-ით;
- გ) შემცირდა 17,2%-ით;
- დ) უცვლელი დარჩა.

27. საქართველოსა და საფრანგეთს შორის 2005-2012 წლებში ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 70,1%-ით;
- ბ) გაიზარდა 7,1%-ით;
- გ) შემცირდა 30,1%-ით;
- დ) უცვლელი დარჩა.

28. საქართველოს სავაჭრო ბალანსი საფრანგეთთან 2005-2012 წლებში იყო:

- ა) უარყოფითი;
- ბ) დადებითი;
- გ) ნულოვანი;
- დ) არაშესადარისი.

თემა 4. ოფიციალური სტატისტიკა ნიდერლანდებში

4.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება ნიდერლანდებში

ნიდერლანდებში სახელმწიფო სტატისტიკის მთავარი ორგანოა ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური (ბიურო). იგი ვალდებულია შეაგროვოს, დაამუშაოს, გააანალიზოს და გამოაქვეყნოს სტატისტიკური ინფორმაცია, რათა ეს ინფორმაცია შემდგომ გამოყენებული იქნას მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ასევე ფართო საზოგადოების მიერ. ქვეყნის შიგნით არსებული ვალდებულებების გარდა, ნიდერლანდების სტატისტიკა ასევე ანგარიშვალდებულია ევროგაერთიანების წინაშე. ნიდერლანდების სტატისტიკის მუშაობის სამართლებრივი საფუძველია 2003 წლის 20 ნოემბერს მიღებული კანონი სტატისტიკის შესახებ ².

ინფორმაცია, რომელსაც აქვეყნებს ნიდერლანდების სტატისტიკა, მოიცავს მრავალ ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტს: დაწყებული ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორცაა ეკონომიკური ზრდა (მშპ), სამომხმარებლო ფასების ინდექსი და დამთავრებული კერძო პირების და შინამეურნეობების შემოსავლებით და მოსახლეობის რიცხოვნობით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიდერლანდების ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი:

ცხრილი 4.1. ნიდერლანდების ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2002	2011
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი): მათ შორის:	16,105,3	16,730,0
2.	ქალები	8,133,3	8,950,5
3.	მამაკაცები	7,972,0	7,779,5
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მილიონი აშშ დოლარი)	437,807	836,256
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	27 193	50 078
6.	უმუშევრობის დონე, %	4,2	4,4

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ნიდერლანდების მოსახლეობის

² Statistics Netherlands Act. Published CBS, Hague, 2004.

რიცხოვნობამ 2002-2011 წლებში, ანუ 10 წლის მანძილზე უმნიშვნელოდ (სულ რაღაც 625 ათასით) მოიმატა, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია ევროპაში. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ამავე პერიოდში შემცირდა მამაკაცების რიცხოვნობა (დაახლოებით 200 ათასით).

ნიდერლანდების სტატისტიკის როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მოქმედების პროგრამა მუშავდება სტატისტიკის ცენტრალური კომისიის მიერ (CCS), რომელიც შეიქმნა 2003 წელს სტატისტიკის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე ². ეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ორგანო უზრუნველყოფს სტატისტიკური პროგრამის მიუკერძოებლობას, ხარისხს და უწყვეტობას. ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურს ხელმძღვანეობს გენერალური დირექტორი, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს, თუ რომელი მეთოდი გამოიყენოს სტატისტიკის შესაგროვებლად და გამოაქვეყნოს თუ არა მისი შედეგები.

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის მიზანია კერძო კომპანიებისა და საზოგადოების ინფორმაციული ტვირთის მაქსიმალურად შემცირება. ამ მიზნით იგი იყენებს სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ ფინანსირებად ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციებიდან იგი ინფორმაციას იღებს სრულიად უფასოდ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია, ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურს უფლება აქვს ჩაატაროს დამხმარე (დამატებითი) კვლევები კერძო პირებისა და კომპანიების შესასწავლად. კომპანიები, როგორც წესი, ანგარიშვალდებულნი არიან ნიდერლანდების სტატისტიკის მიმართ და იძულებულნი არიან მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ. სტატისტიკის დეპარტამენტს შეუძლია ისეთი სანქციების დაწესება, როგორცაა ადმინისტრაციული ჯარიმები. თავის მხრივ, ნიდერლანდების სტატისტიკური ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი ინდივიდუალური ინფორმაციის საიდუმლოება. გამონაკლისის სახით შესაძლებელია ინფორმაციის გაზიარება ევროსტატისთვის, “NSI“-სთვის, ცენტრალური ბანკისთვის, აკადემიური და სამეცნიერო კვლევებისთვის.

2004 წლის 3 იანვარს ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური გახდა ავტონომიური სააგენტო და მოიპოვა სათანადო იურიდიული სტატუსი. შესაბამისად, აღარ არსებობს იერარქიული დამოკიდებულება ამ ორგანიზაციასა და ეკონომიკის სამინისტროს შორის. ამის მიუხედავად, ეკონომიკის მინისტრის ვალდებულებაა სახელმწიფო ორგანოების სტატისტიკის შეგროვება და გადაცემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მინისტრი ვალდებულია დაიცვას შეგროვებული ინფორმაციის სიზუსტე და მაღალი ხარისხი. ამის გარდა, სტატისტიკურ კვლევებზე დახარჯული თანხები იფარება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ.

² Central Commission for Statistics (www.cbs.nl/en-GB/menu/organisatie.htm)

4.2. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა ნიდერლანდებში

ნიდერლანდებში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი მთავარი ორგანოა ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური. მისი თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა ასე გამოიყურება ²: იგი მოიცავს 8 მთავარ დეპარტამენტს, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება სხვადასხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებისგან, ანუ სამმართველოებისა და განყოფილებებისგან. ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურს ხელმძღვანეობს გენერალური დირექტორი, რომელსაც ჰყავს 3 მოადგილე. გენერალური დირექტორი უშუალო კურირებას უწევს შემდეგ 3 დეპარტამენტს: სტატისტიკური პოლიტიკის შემუშავების, ცოდნისა და ინოვაციების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტებს.

ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეპარტამენტია სოციალურ-ეკონომიკური და დარგობრივი სტატისტიკის დეპარტამენტი. თავის მხრივ, იგი შედგება შემდეგი სამმართველოებისგან:

1. სტატისტიკური სერვისები და ინფორმაცია;
2. ქვესექტორების სტატისტიკა;
3. გარემოს, ენერჯისა და დარგობრივი სტატისტიკა;
4. დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა;
5. შრომის, შემოსავლებისა და ცხოვრების ხარისხის სტატისტიკა;
6. ტრანსპორტის სტატისტიკა.

ამასთან, ყოველი სამმართველოს შიგნით გამოიყოფა ასევე ცალკეული განყოფილებები.

სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულია ასევე ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკისა და ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი. იგი მოიცავს ასევე შემდეგ 6 სამმართველოს:

1. საჯარო ფინანსებისა და სამომხმარებლო ფასების სტატისტიკა;
2. ეროვნული ანგარიშები
3. ბიზნესის სტატისტიკის 2 სამმართველოს, რომელთაგან ერთი არის ჰააგაში, ხოლო მეორე – ჰეერლენში;
4. ბიზნეს რეგისტრები;
5. დარგობრივი სტატისტიკის დეპარტამენტი.

ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეპარტამენტია პროცესის განვითარება, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

1. პროცესის განვითარების კონტროლი;
2. პროექტების მართვის სერვისები;

² www.cbs.nl/en-GB/menu/organisatie.htm

3. სტატისტიკის მეთოდოლოგია და განვითარება;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა.

ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულია ასევე მონაცემთა შეგროვების დეპარტამენტი. იგი მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

1. დაკვირვებათა მხარდაჭერა;
2. კვლევების მომზადება;
3. კვლევების დანერგვა და განხორციელება.

ნიდერლანდების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის წარმატებულ საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეული, როგორცაა კორპორაციული სერვისების დეპარტამენტი. თავის მხრივ იგი მოიცავს შემდეგ სამმართველოებს:

1. თანამშრომელთა მობილობა;
2. ტექნიკის მენეჯმენტი;
3. კომუნიკაცია;
4. პერსონალი და ორგანიზაცია (ჰააგაში);
5. პერსონალი და ორგანიზაცია (ჰეერლენში);
6. დაგეგმვა და კონტროლი;
7. ფინანსური ადმინისტრაცია;
8. შესყიდვების განხორციელება;
9. ბიზნეს ინფორმაციის მენეჯმენტი.

წარმოდგენილი სტრუქტურიდან ჩანს, რომ „სტატისტიკური პროდუქციის“ მწარმოებელი ძირითადი ქვედანაყოფებია: 1) მონაცემთა შეგროვების დეპარტამენტი; 2) სოციალურ-ეკონომიკური და დარგობრივი სტატისტიკის დეპარტამენტი და 3) ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკისა და ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი, სადაც ხორციელდება მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და მომზადება გამოსაქვეყნებლად. თუმცა, მაღალხარისხიანი სტატისტიკის წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტს.

4.3. ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაცია

ნიდერლანდების სტატისტიკის მისია გახლავთ ისეთი სანდო, სრული და თანმიმდევრული სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების საჭიროებებს. ამ მისიის მიხედვით, გარანტირებული უნდა იყოს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად

ნიდერლანდების სტატისტიკამ (*Statistics Netherlands*) შემოიტანა უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ხარისხის გარანტიის სისტემა². ნიდერლანდების სტატისტიკა მიზნად ისახავს, რომ იყოს საერთაშორისო ხედვით ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი სტატისტიკური ინსტიტუცია ხარისხის თვალსაზრისით, ხარისხის კომპლექსური და დეტალიზებული სისტემების გამოყენების გარეშე.

ნიდერლანდების სტატისტიკა რეგულარულად გადის საგარეო აუდიტებს, მათ შორის IMF-ისა (ე. წ. ROSC-ის მისია) და ევროპის კომისიის (საერთო ეროვნული შემოსავლების კომისია) მიერ და ხარისხის საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულ მოხსენებებს წარუდგენს ევროსტატს - ევროკავშირის სტატისტიკის ბიუროს.

ნიდერლანდების სტატისტიკა ეფუძნება პრაქტიკის ევროპული სტატისტიკის კოდექსს, რომელიც სავალდებულოა სტატისტიკის ხელმძღვანელებისთვის და ამ კოდექსს პრაქტიკაში ახორციელებს. პრაქტიკის სტატისტიკის ევროპული კოდექსი მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

ინსტიტუციონალური გარემო

1. პროფესიული დამოუკიდებლობა.
2. მონაცემთა შეგროვების მანდატი.
3. რესურსების ადეკვატურობა.
4. ხარისხის ვალდებულება.
5. სტატისტიკური კონფიდენციალურობა.
6. მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.

სტატისტიკური პროცესები

1. საიმედო მეთოდოლოგია.
2. სათანადო სტატისტიკური პროცედურები.
3. რესპონდენტებზე გადაჭარბებული ტვირთის არდაწესება.

სტატისტიკური პროდუქცია

1. გადასახადის ეფექტიანობა.
7. შესაბამისობა.
8. აკურატულობა და სანდოობა.
9. დროულობა და პუნქტუალობა.
10. თანამიმდევრულობა და შედარებითობა.
11. ხელმისაწვდომობა და სიცხადე.

ნიდერლანდების სტატისტიკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ასევე ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხის დეკლარაციით და ახდენს ამ დეკლარაციის რეალიზებას პრაქტიკაში. ეს დეკლარაცია მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

1. მომხმარებელზე კონცენტრირება.

² Quality declaration of Statistics Netherlands. Publisher CBS, Hague, 2014.

2. უწყვეტი სრულყოფა.
3. პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებული ვალდებულება.
4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
5. პარტნიორობა ევროპულ სტატისტიკურ სისტემაში და მის გარეთ.
6. მონაცემების მიმწოდებელთა საჭიროებების პატივისცემა.
7. ლიდერობის განზრახვა.
8. ხარისხის სისტემატური კონტროლი.
9. ეფექტური და ეფექტიანი ღონისძიებები და პროგრამები.
10. თანამშრომელთა დაკმაყოფილება და მათი მუდმივი განვითარება.

ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხის დეკლარაციის (ESS) მერვე პრინციპი შეეხება ხარისხის სისტემატურ კონტროლს. ნიდერლანდების სტატისტიკა ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას ახდენს EFQM-ის უპირატესობის მოდელის გამოყენებით, რომელიც ეკუთვნის ხარისხის მართვის ევროპულ ფონდს. ევროპული პრაქტიკის კოდექსი დაკავშირებულია EFQM-ის უპირატესობის მოდელთან (ხარისხის მართვის ევროპული ფონდი).

ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაცია მოიწონა და დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ 2008 წლის 28 აპრილს. დეკლარაციის შემდგომი სრულყოფა და ადაპტირება მოხდა 2011 წლის 1 თებერვალს, როდესაც შეიმუშავეს სტატისტიკის მისიის ახალი მიმართულებები.

ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაცია აღწერს, თუ როგორ უზრუნველყოფს სტატისტიკა თავისი პროდუქტებისა და სერვისების ხარისხს და ყველა წვლილის შემტან ფაქტორს. დეკლარაცია გამიზნულია ნიდერლანდების სტატისტიკით ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ნიდერლანდების სტატისტიკა იყენებს ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს მის მიერ წარმოებული სტატისტიკისთვის. გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები და პროცესები ეფუძნება საერთაშორისოდ მიღებულ მეცნიერულ პრინციპებს. ნიდერლანდების სტატისტიკა გამუდმებით ცდილობს გააუმჯობესოს პროცესების ეფექტიანობა და თავისი სტატისტიკის ხარისხი.

ნიდერლანდების სტატისტიკამ საფუძვლად აიღო ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი და განავითარა და დანერგა თავისი საკუთარი ხარისხის დეკლარაცია, როგორც აღნიშნულის პირდაპირი შედეგი.

ევროპული პრაქტიკის კოდექსის მეოთხე პრინციპის თანახმად, ნიდერლანდების სტატისტიკა ვალდებულია იმუშაოს და ითანამშრომლოს ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხის დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად. ნიდერლანდების სტატისტიკა არის ევროპული სტატისტიკური სისტემის (ESS) ნაწილი. მისი ხარისხის დეკლარაციის მიხედვით, ESS-ის მისია არის ის, რომ უზრუნველყოს ევროპის კავშირი და დანარჩენი მსოფლიო ეკონომიკისა და საზოგადოების შესახებ

მაღალი ხარისხის ინფორმაციით ევროპულ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების, კვლევისა და დებატების მიზნებისთვის.

ნიდერლანდების სტატისტიკა იყენებს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) უპირატეს მოდელს იმისათვის, რომ განახორციელოს ხარისხის სისტემატური გარანტირება. ამგვარი ქმედებით, იგი ემორჩილება ESS-ის ხარისხის დეკლარაციის მერვე პრინციპს.

მომდევნო სექციებში ახსნილია, თუ როგორ ემორჩილება უკვე ან სამომავლოდ დაემორჩილება ნიდერლანდების სტატისტიკა პრაქტიკის ევროპულ კოდექსსა და ESS-ის ხარისხის დეკლარაციას.

ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაციაში თვით პარაგრაფების სათაურები და ნომრები შესაბამისობაშია პრაქტიკის ევროპული კოდექსის თხუთმეტევე და ESS-ის ხარისხის დეკლარაციის ათივე პრინციპთან.

4.4. ნიდერლანდების სტატისტიკის ინსტიტუციონალური ჩარჩო

4.4.1. პროფესიული დამოუკიდებლობა

ნიდერლანდების სტატისტიკის პროფესიული დამოუკიდებლობა მთავრობის სხვა ინსტიტუციური ნაწილებისგან და კერძო სექტორისგან, იძლევა გამოქვეყნებული სტატისტიკის სანდოობის გარანტიას.

ნიდერლანდების სტატისტიკის სამართლებრივი საფუძველია 2003 წლის 20 ნოემბრის სტატისტიკის აქტი, რამაც მომდევნო წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა, კერძოდ, 2004 წლის 15 დეკემბერს დამტკიცდა ახალი რედაქციით. ამ აქტის შესაბამისად, ნიდერლანდების სტატისტიკის ამოცანაა განახორციელოს სტატისტიკური კვლევა მთავრობისთვის, პრაქტიკის, პოლიტიკისა და მეცნიერების მიზნებისთვის და გამოაქვეყნოს მის მიერ კომპილირებული (მოპოვებული და დამუშავებული) სტატისტიკა ამ ინფორმაციის საფუძველზე.

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკური კვლევის პროგრამა (გრძელვადიანი პროგრამა და წლიური სამუშაო პროგრამა) დაწესდა სტატისტიკის ცენტრალური კომისიის (CCS) მიერ. ნიდერლანდების სტატისტიკის ცენტრალური კომისია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო კორპორატიული უფლებების გარეშე, რომელსაც 2003 წლის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს შესახებ აქტის მიხედვით (ნიდერლანდების სტატისტიკა) განესაზღვრა ნიდერლანდების სტატისტიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი სტრატეგიული

ამოცანები და ცენტრალური მთავრობის მიერ დამტკიცებული ოფიციალური სტატისტიკის დებულება.

კომისია შედგება მაქსიმუმ თერთმეტი წევრისაგან (თავმჯდომარის ჩათვლით), რომლებიც ინიშნებიან ეკონომიკურ საქმეთა მინისტრის მიერ. კომისია მოიწვევა, სულ მცირე, წელიწადში ოთხ-ჯერ მაინც სტატისტიკის გენერალური დირექტორის თანდასწრებით. კომისიის მდივანი არის ნიდერლანდების სტატისტიკის ბიუროს მოსამსახურე, რომელსაც ნიშნავს გენერალური დირექტორი.

CCS-ის ძირითადი ამოცანებია:

CCS ავასებს და მოიწონებს ნიდერლანდების სტატისტიკის გრძელვადიან სამუშაო პროგრამებს. პრაქტიკაში ეს დაიყვანება დამტკიცებული პროგრამის რეალისტურობისა და შესაბამისობის შეფასებაზე, საზოგადოების ინფორმაციულ საჭიროებებსა და ფინანსურ და ორგანიზაციულ შეზღუდვებთან კავშირში.

CCS ჩართულია სახელმწიფო ბიუჯეტისა და ნიდერლანდების სტატისტიკის წლიური ანგარიშების შედგენაში. გენერალური დირექტორი მოიწონებს ორივე მათგანს “CCS-თან შეთანხმებით.” გარდა ამისა, CCS-მა უნდა მოიწონოს ნიდერლანდების სტატისტიკის წლიური მოხსენება.

CCS-ს აქვს აგრეთვე მთელი რიგი ზედამხედველობითი ამოცანები ნიდერლანდების სტატისტიკასთან მიმართებით, კერძოდ:

- იგი ზედამხედველობას უწევს მესამე მხარისათვის შესრულებულ ნიდერლანდების სტატისტიკის სამუშაოს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს კონკურენცია მსგავსი მომსახურებების კერძო პროვაიდერებთან, რაც არ არის სასურველი;
- იგი ზედამხედველობს ინფორმაციის შეგროვებას იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ ამ შეგროვებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ტვირთი რაც შეიძლება მცირეა კომპანიებისა და ინსტიტუციებისთვის;
- იგი ზედამხედველობას უწევს გენერალური დირექტორის უფლებამოსილებას იმისათვის, რათა ხელმისაწვდომი გახადოს მიკრომონაცემთა ფაილები სტატისტიკური და სხვა კვლევის მიზნებისათვის.

სტატისტიკური ინფორმაციით ცენტრალური მთავრობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ამოცანები მოიცავს ისეთი ოფიციალური სტატისტიკის წინ წამოწევას, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს პრაქტიკის, პოლიტიკისა და მეცნიერების მიზნებისთვის და ამასთან, მთავრობის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის აკურატულობისა და სისრულის სრულყოფას.

CCS არის დამოუკიდებელი კომისია, რომელიც იცავს სტატისტიკური კვლევის პროგრამის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, შესაბამისობას, ხარისხსა და

უწყებობას. სტატისტიკური კვლევების პროგრამა ქვეყნდება და რეგულარულად კეთდება მოხსენებები პროგრესის თაობაზე.

ნიდერლანდების სტატისტიკის გენერალური დირექტორი ავტონომიურობით სარგებლობს კვლევის მეთოდებისა და შედეგების პუბლიკაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მხრივ.

ნიდერლანდების სტატისტიკას მოეთხოვება, რომ გააკეთოს საჯარო კომენტარი სტატისტიკური საკითხების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი და გონივრულია ამისი გაკეთება, მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის კრიტიკისა თუ არასწორი გამოყენებისა და ინტერპრეტაციის შემთხვევაში.

4.4.2. მონაცემთა შეგროვების მანდატი

ნიდერლანდების სტატისტიკას აქვს ინფორმაციის შეგროვების სამართლებრივი მანდატი სტატისტიკური მიზნებისთვის. კომპანიებს, მაგრამ არა ინდივიდუალურ პირებს, ზოგადად მოეთხოვებათ მონაწილეობა მიიღონ ნიდერლანდების სტატისტიკის მიერ ჩატარებულ კვლევებში.

თუ კვლევა სავალდებულო ხასიათისაა, კომპანიები იღებენ თანდართულ წერილს, რომელიც მათ ატყობინებს აღნიშნულის თაობაზე. ნიდერლანდების სტატისტიკური სამსახური უფლებამოსილია დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა იმ კომპანიებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ, ან არ უზრუნველყოფენ დროულად მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენას.

თუ არ არსებობს კვლევაში მონაწილეობის მიღების სამართლებრივი ვალდებულება, ნიდერლანდების სტატისტიკა ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ დაარწმუნოს შესაბამისი პირი/მხარე მათი თანამშრომლობის მნიშვნელობაში. იგი ასევე სწევს ამ ძალისხმევას მხარეებისთვის, რომლებსაც აქვთ თანამშრომლობის სამართლებრივი ვალდებულება.

ნიდერლანდების სტატისტიკის აქტის მიხედვით, ინსტიტუტმა უნდა გამოიყენოს სარეგისტრაციო მონაცემები, რომლებიც ინახება სამართლებრივი ამოცანების იმპლემენტაციის მიზნით, როგორებიცაა, ცენტრალური მთავრობის, პროვინციების, მუნიციპალიტეტებისა და წყლის რესურსების საბჭოების მიერ შენახული მონაცემები.

ამგვარი რეგისტრაციების მაგალითებია საბაჟო ხელისუფალთა და სოციალური უსაფრთხოების სარგებელთა დანერგვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების (UWV) მიერ წარმოებული რეგისტრები, მუნიციპალური მოსახლეობის რეგისტრი და სავაჭრო რეგისტრი (სავაჭრო პალატაში).

გარკვეულ სფეროში სტატისტიკაზე მომუშავე თანამშრომლები ეცნობიან შესაბამის განმსაზღვრელ სოციალურ ფენომენებს და ამყარებენ ინტენსიურ კონტაქტებს რესპონდენტებთან და მათ წარმომადგენლებთან, აგრეთვე შესაბამისი

სტატისტიკის მომხმარებლებთან, როგორცაა სამინისტროები, უნივერსიტეტები, სავაჭრო ორგანიზაციები და სხვ.

4.4.3. რესურსების ადეკვატურობა

ნიდერლანდების სტატისტიკა დარწმუნებულია, რომ მას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ მოამზადოს ისეთი სტატისტიკა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ეროვნული, ისე ევროპული სტატისტიკის მოთხოვნებს.

მინიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ, სტატისტიკის გენერალური დირექტორი შეიმუშავებს გრძელვადიანი პროგრამის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებათა იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის მიერ მომავალ წლებში. აღნიშნული გრძელვადიანი პროგრამა მოიცავს იმ მიზნების აღწერას, რომელთა რეალიზაცია უნდა მოხდეს საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, იმ პოლიტიკის მთავარ ხაზებს, რომლებსაც მიყვავართ ამ მიზნებამდე და იმ ფინანსურ და ორგანიზაციულ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მათ (მიზნების) მისაღწევად ².

იმავედროულად სტატისტიკის გენერალური დირექტორი ყოველწლურად ადგენს მომავალი წლის წლიური სამუშაო პროგრამის პროექტს. ეს სამუშაო პროგრამა განსაზღვრავს, თუ რომელ ღონისძიებებს განახორციელებს ნიდერლანდების სტატისტიკა, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით.

სტატისტიკის ცენტრალური კომისიის (CCS) მხრიდან მოწონების შემდეგ, სამუშაო პროგრამა წარედგინება ეკონომიკურ საქმეთა მინისტრს. მინისტრი განიხილავს იმ ფინანსურ და ორგანიზაციულ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მინისტრთა საბჭოს მიერ სამუშაო პროგრამისთვის. გენერალურ დირექტორს, CCS-სა და წარმომადგენელთა პალატას ეცნობებათ ამ განხილვისა და დისკუსიის შედეგი. იგი ასევე გამოქვეყნდება ნიდერლანდების სამთავრობო გაზეთ *Staatscourant*-ში.

4.4.4. ხარისხის ვალდებულება

ნიდერლანდების სტატისტიკა აღიარებს და ფართოდ იყენებს ევროპული სტატისტიკის სისტემის ხარისხის დეკლარაციას და ევროპული სტატისტიკური სისტემის იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით, სტატისტიკა უნდა დაეფუძნოს მეცნიერულ პრინციპებსა და მეთოდებს. ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაციის უკანასკნელი სექცია განმარტავს, თუ როგორ აკმაყოფილებს იგი ESS-ის ხარისხის დეკლარაციის მოთხოვნებს.

ნიდერლანდების სტატისტიკის კვლევების პროგრამის შეფასებასა და მონიტორინგს ახორციელებს სტატისტიკის დამოუკიდებელი ცენტრალური კომისია.

² Strategic multi-annual programme 2014-2018 CBS. Publisher CBS, Hague, 2013.

ამ კომისიის ერთ-ერთი ამოცანაა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ხარისხის დაცვა.

ნიდერლანდების სტატისტიკა რეგულარულად და სისტემატურად ექებს თავისი სტატისტიკური შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებს და წარმოების ძირითად პროცესებს, მაგალითად, აუდიტის დახმარებით, სადაც განხორციელდა საჭირო გაუმჯობესებები. სტატისტიკის ხარისხი დანახულია სტრატეგიული გრძელვადიანი პერსპექტივიდან და მოკლევადიანი შედეგები კი ფასდება გრძელვადიანი შედეგების ფონზე.

ნიდერლანდების სტატისტიკა ასევე რეგულარულად გადის აუდიტორულ შემოწმებებს ზეეროვნული (საერთაშორისო) ორგანიზაციების მიერ, მაგალითად როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) სტანდარტებისა და კოდექსების შესახებ მოსხენებებისთვის (ROCS) და ევროკავშირის (EU) GNI საინფორმაციო ვიზიტი. ეს უკანასკნელი აუდიტი აფასებს, თუ რამდენად ემორჩილება შემოწმებას ნიდერლანდების მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი ნიდერლანდების მიერ ევროკავშირისათვის წლიური გადახდების სამართლებრივ მოთხოვნებს.

ნიდერლანდების სტატისტიკა იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ სისტემას, რომელიც გამიზნულია თავისი სტატისტიკის აკურატულობისა და პუნქტუალურობის კონტროლისთვის. რისკის შეფასება გამოყენებულია თითოეული სტატისტიკური პროცესის საკონტროლო ზომების დაფუძნებისთვის.

გარდა ამისა, ამ სისტემაში განსაზღვრულია ხარისხის გარანტიის დონისძიებები ოფისის დონეზე. ხარისხის გარანტიის ეს სისტემა ასევე გამიზნულია სამთავრობო გამოყენების ინფორმაციული უსაფრთხოების რეგულაციებისა (VIR) და მონაცემთა დაცვის აქტის (WBP) დაკმაყოფილებისთვის.

ნიდერლანდების სტატისტიკას აქვს თავისი საკუთარი ქცევის კოდექსი, რომელიც შეეხება ხარისხის მთელ რიგ ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა: მიუკერძოებლობა, რელევანტურობა, აკურატულობა, სტატისტიკური კონფიდენციალურობა, ეფექტიანობა და გამჭვირვალობა. ქცევის ეს კოდექსი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაციის წინამორბედი, სხვათა შორის, ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს ².

² Fundamental Principles of Official Statistics. United Nations, N.Y., 2013.

4.4.5. სტატისტიკური კონფიდენციალურობა

ნიდერლანდების სტატისტიკა საკუთარ თავზე იღებს მონაცემთა მიმწოდებლების იდენტობის (ფიზიკური პირების, კომპანიების, სამთავრობო სერვისებისა და სხვა რესპონდენტების) და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და, ასევე, ამ ინფორმაციის მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას.

ნიდერლანდების სტატისტიკის აქტში აღნიშნულია, რომ სტატისტიკის სამსახურის მიერ მიღებული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის. ინფორმაციის განსაჯაროება შეიძლება მხოლოდ იმგვარად, რომ ინდივიდუალური პირის, შინამეურნეობის, კომპანიისა თუ ინსტიტუციის იდენტიფიცირება არ მოხდეს. გამონაკლისია ისეთი სიტუაციები, სადაც არსებობს ლეგიტიმური მიზანი იმისათვის, რათა ვიფიქროთ, რომ კომპანია თუ ინსტიტუცია არ იტყოდა უარს გამოქვეყნებაზე.

ნიდერლანდების სტატისტიკის ოფისის გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია დაადგინოს ტექნიკური და ორგანიზაციული დებულებების მოთხოვნები იმისათვის, რომ დაიცვას მონაცემები დაკარგვის ან დაზიანებისგან, არაუფლებამოსილი გახსნისგან, ასევე ამ მონაცემებში შესული ცვლილებები.

ნიდერლანდების სტატისტიკაში დასაქმებული მთელი პერსონალი დებს ფიცს და მათ მოეთხოვებათ, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რომელიც ავალდებულებს მათ, რომ დაიცვან ყველა იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც ისინი შეიტყობენ. ეს გახლავთ მკაცრი აქტები გარე მომხმარებლებისთვისაც, რომელთაც ხელი მიუწვდებათ სტატისტიკურ მიკრო მონაცემებზე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

მონაცემთა დაცვის აქტის შესაბამისად, ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურში 2004 წლიდან მუშაობს სპეციალური თანამშრომელი - **ოფიციალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი**. ეს თანამშრომელი აძლევს რჩევებს და ზედამხედველობას უწევს იმ პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ უდიდესი ყურადღება მიექცეს პერსონალური და კომპანიების მონაცემების დამუშავებას.

4.4.6. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

ნიდერლანდების სტატისტიკაში სტატისტიკის წარმოებისა და გამოქვეყნების პროცესები არის მეცნიერული, დამოუკიდებელი, ობიექტური, პროფესიონალური და გამჭვირვალე. ამასთან, ერთნაირად ეპყრობიან სტატისტიკის ყველა მომხმარებელს.

სტატისტიკის კომპილირება ხდება გამართლებული, ადეკვატური და მეცნიერულად დამტკიცებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მაშინ, როდესაც საჭიროა მომხმარებელთა სურვილებისა და მოლოდინების გათვალისწინება.

გამოქვეყნებულ სტატისტიკაში აღმოჩენილი შეცდომები სწორდება და ყველა შესწორება ცხადდება საჯაროდ.

4.4.7. სანდო სტატისტიკური მეთოდოლოგია

ნიდერლანდების სტატისტიკა იყენებს საიმედო მეცნიერულად გამართლებულ სტატისტიკურ მეთოდებს იმისათვის, რომ შეადგინოს მაღალი ხარისხის სტატისტიკა. ამისათვის იგი იყენებს საჭირო ინსტრუმენტებს, პროცედურებს და ექსპერტიზას. გამოიყენება მხოლოდ ნიდერლანდების სტატისტიკის მიერ დამტკიცებული და დოკუმენტირებული სტატისტიკური მეთოდები.

ორგანიზაცია ახდენს ისეთი თანამშრომლების აყვანას, რომლებსაც შესაბამისი პორტფოლიო აქვთ. მათი „გაწვრთნა“ ხდება შესაბამის საერთაშორისო კურსებზე და კონფერენციებში მონაწილეობის მეშვეობით. ისინი ამყარებენ კონტაქტს ქსელების საშუალებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე სხვა სტატისტიკოსებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის, ცნობილი კოლეგებისგან სწავლისა და მათი საკუთარი ექსპერტული უნარების სრულყოფის მიზნით.

ნიდერლანდების სტატისტიკა ბიძგს აძლევს თანამშრომლობას მეცნიერულ საზოგადოებასთან და ფართოდ თანამშრომლობს აკადემიურ და სამეცნიერო წრეებთან. არსებობს თანამშრომლობის რეგულარული პროექტები საუნივერსიტეტო ინსტიტუციებით როგორც ნიდერლანდების შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნიდერლანდების სტატისტიკა ასევე რეგულარულად იღებს მონაწილეობას კვლევით პროექტებში, რომლებიც ფინანსდება ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების მიერ.

4.4.8. სტატისტიკური პროგრამები

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური ყოველწლიურად და უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის სისტემატურად შეიმუშავებს და ახორციელებს ძირითადი საქმიანობის პროგრამებს. ამ პროგრამების წარმატებით შესასრულებლად ნიდერლანდების სტატისტიკა იყენებს მეცნიერულად გამართლებულ და დასაბუთებულ პროცედურებს სტატისტიკისთვის ძირითადი მასალების შეგროვების, შემოწმებისა და გასწორებისთვის. ეს მიდგომა მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების წინაპირობაა.

იმ შემთხვევაში, თუ სანიმუშო კვლევები გამოიყენება ინფორმაციის შეგროვებისთვის, ნიმუშები ყოველთვის შემთხვევით საფუძველზე შეირჩევა. ეს შესაძლებელს ხდის გაკეთდეს ძალიან აკურატული შეფასებები, რომლებიც შეიძლება რაოდენობრივად გაიზომოს. კვლევებში გამოყენებული კითხვარები მოწმდება ნიდერლანდების სტატისტიკის კითხვარების ლაბორატორიაში იმისათვის, რათა დარწმუნდნენ, რომ ხდება სწორი შეკითხვების დასმა და მათ შედეგად მოაქვს სწორი ინფორმაცია. ნიდერლანდების სტატისტიკა აგროვებს დიდი მოცულობის ინფორმაციას კომპიუტერის მეშვეობით წარმართული ინტერვიუებით. ეს

შესაძლებელს ხდის პასუხების შემოწმებას ისე, როგორც ისინი არის მოცემული. შესაბამისად, ეს უზრუნველყოფს შეცდომების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ინფორმაცია მოწმდება სრულად შეგროვების შემდეგ და ადვილად სწორდება, სადაც ეს საჭიროა.

თუ მონაცემების აღება ხდება გარეშე წყაროებიდან, როგორცაა მაგალითად, რეგისტრები, ამ შემთხვევაში, ნიდერლანდების სტატისტიკა აგროვებს იმდენ ხარისხიან ინფორმაციას ამ წყაროების შესახებ, რამდენიც საჭიროა. ეს ეხმარება მას ამ წყაროებზე დაფუძნებული სტატისტიკური მონაცემების ხარისხის რაც შეიძლება აკურატულად განსაზღვრაში.

4.4.9. რესპონდენტებზე გადაჭარბებული ტვირთის არღაშვება

სანდო სტატისტიკის წარმოება შეუძლებელია მონაცემების მიმწოდებლებთან (ფიზიკური პირები, კომპანიები და სხვა ორგანიზაციები) თანამშრომლობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ნიდერლანდების სტატისტიკას სურს, რომ კარგი ურთიერთობა დაამყაროს თავის რესპონდენტებთან.

ნიდერლანდების სტატისტიკა მიზნად ისახავს მონაცემთა მიმწოდებლებისთვის ადმინისტრაციული ტვირთის მინიმიზებას. ტვირთი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა საჭიროებებს და არ უნდა იყოს ძალიან მძიმე რესპონდენტებისთვის. სტატისტიკური კითხვარების ფორმირების სტადიაში ეს მინიმალური ტვირთი მნიშვნელოვანი ვარაუდია კითხვარების ლაბორატორიისთვის. ნიდერლანდების სტატისტიკა უწყვეტ მონიტორინგს უწევს ვალდებულების ტვირთს და ადგენს სამიზნეებს მათ შესამცირებლად. სტატისტიკის შესახებ აქტი ადგენს, რომ მონაცემები უნდა შეგროვდეს იმგვარად, რომ ადმინისტრაციული ტვირთი მიმწოდებლებზე რაც შეიძლება მცირე იყოს. CCS ამოწმებს, რომ ეს ნამდვილად ასეა თუ არა. ვალდებულების ტვირთი ვრცელდება კვლევის პოპულაციაზე რაც შეიძლება ექსტენსიურად, შესაფერისი სანიმუშო მეთოდების გამოყენებით. ვალდებულების პროცედურები გამარტივდა როგორც ეს შესაძლებელი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების პრინციპების გამოყენებით.

ნიდერლანდების სტატისტიკა მონაცემთა შეგროვების მიზნით იყენებს ასევე ადმინისტრაციულ რესურსებს. ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სპეციალური კვლევების საშუალებით, თუ ეს ადმინისტრაციულ წყაროებში არაა ხელმისაწვდომი, ან თუ ადმინისტრაციულ წყაროებში არსებული მონაცემები არ არის გამიზნული სტატისტიკური გამოყენებისთვის.

ნიდერლანდების სტატისტიკის მიერ ყოველწლიურად იზომება რესპონდენტების დაკმაყოფილების ხარისხი სხვადასხვა მიახლოებითი შეფასებების საფუძველზე. თუმცა მსოფლიოში დღემდე ასეთი შეფასების ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განსაზღვრული. აქ უპრიანი იქნება აღინიშნოს **სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხის გაანგარიშების ზოგადი და დიფერენცირებული კოეფიციენტების შესახებ**, რომლებიც შემუშავებულია ჩვენს მიერ ².

სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გავიანგარიშოთ ასეთი ფორმულით:

$$K_{st} = (V+Q) : W \times 100 \%,$$

სადაც K_{st} არის სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, გამოსახული პროცენტობით;

V არის დროის განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის მოცულობა;

Q არის სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი სახელმწიფო ორგანიზაციების (სტატისტიკური ორგანოები და სამინისტროები, ცენტრალური ბანკები) მონაცემთა ის ბაზები, რომლებიც ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ხელმისაწვდომია;

W არის დროის განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) სტატისტიკური ინფორმაციის ბაზარზე წარდგენილი მოთხოვნის მთლიანი მოცულობა.

გასაგებია, რომ აღნიშნული მაჩვენებლების (V , Q და W) ზუსტი გაანგარიშება შეუძლებელია და გამოთვლების დროს გამოიყენება მათი მიახლოებითი რაოდენობრივი შეფასებები (მნიშვნელობები).

მაგრამ აქვე მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია მომხმარებელთა მოთხოვნის განსაზღვრა არა საერთოდ, არამედ ცალკეული ძირითადი ჯგუფებისა და მონაცემთა კონკრეტული კოლექციების მიხედვით. ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რადგან გასათვალისწინებელია სასურველი ინფორმაციის როგორც მოცულობა, ისე სტრუქტურა, მრავალფეროვნება, დროის პერიოდი (დინამიკა), ვადები, საბოლოო ინფორმაციის (“შზა პროდუქციის”) წარდგენის წესი, ფორმა და სხვ. რაც შეეხება სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხის შეფასების დიფერენცირებულ კოეფიციენტებს, მათი გაანგარიშება მიზანშეწონილია ანალოგიური წესით, მონაცემთა ცალკეული კოლექციების

² გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2012, გვ. 31-32.

(ჯგუფების) მიხედვით, მაგალითად, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, შრომის ბაზრის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, დემოგრაფიული პროცესების და სხვათა შესახებ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს მიერ შემუშავებულ ფორმულას შემდეგი სახე ექნება:

$$K_d = (V_i + Q_i) : W_j \times 100 \%,$$

სადაც K_d არის კონკრეტული სახეობის სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, გამოსახული პროცენტობით;

V_i არის დროის განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) გამოქვეყნებული i -ური სახეობის სტატისტიკური ინფორმაციის მოცულობა;

Q_i არის i -ური სახეობის სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციების (სტატისტიკური ორგანოები და სამინისტროები, ცენტრალური ბანკები) მონაცემთა ბაზები, რომლებიც ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ხელმისაწვდომია;

W_j არის დროის განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) j -ური სახეობის სტატისტიკურ ინფორმაციაზე წარდგენილი მოთხოვნის მოცულობა.

4.4.10. ხარჯების ეფექტიანობა

ნიდერლანდების სტატისტიკის მუშაობა ეფუძნება ხარჯების ეფექტიანობას. ყოველგვარი ძალისხმევის გაწევა ხდება სტატისტიკური პროდუქციის ხარჯების მინიმიზებისთვის და წარმოების პროცესებსა და სტატისტიკაში შეცდომების დაშვების თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით, წარმოების პროცესების ხარისხი რეგულარულად მოწმდება და ხდება მისი გაუმჯობესება, სადაც ეს საჭიროა.

ნიდერლანდების სტატისტიკა ყოველთვის ცდილობს, რომ თავდაპირველად მონაცემები აიღოს არსებული წყაროებიდან, სადაც ეს შესაძლებელია. მონაცემთა ნაკრებების ფორმირება ხშირად დაკავშირებულია ახალი პროდუქტების შექმნის მიზნებთან. ეს ახდენს მონაცემთა კოლექციებისათვის ხარჯების მინიმიზებას.

ნიდერლანდების სტატისტიკა ასევე ხშირად იყენებს მონაცემთა შეგროვების კომპიუტერიზებულ მეთოდს (Blaise). ამას შედეგად მოაქვს მაღალი ხარისხის მონაცემები, რომელთა შეგროვებაც სწრაფადაა შესაძლებელი და მოითხოვს შემდგომ მცირე დამუშავების პროცედურას. სადაც ეს შესაძლებელი და სანდოა, შედეგების წარმოების მიზნით, გამოითვლება მოდელზე დაფუძნებული შეფასებები. ეს იძლევა მონაცემების მინიმალური გამოყენების შესაძლებლობას.

ხარჯების დაზოგვის მეთოდები და ტექნიკა გამოიყენება ასევე მონაცემების შემოწმებისა და გასწორებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება აღმოფხვრის შედარებით უფრო ძვირ და შრომატევად სახელმძღვანელო შემოწმებებსა და გასწორების პროცესებს.

სტატისტიკური პროცესები ავტომატიზებული და სტანდარტიზებულია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სტანდარტიზაციამ ასევე უნდა გაზარდოს ავტომატიზებული სისტემების შექმნის მოტივაცია და უნარი.

4.5. სტატისტიკური საქმიანობის შედეგები:

4.5.1. მართებულობა

ნიდერლანდების სტატისტიკა ახდენს ისეთი სტატისტიკის კომპილირებას, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნებს. პოტენციურ მომხმარებელთა საჭიროებები და მოლოდინები განსაზღვრავენ არსებული სტატისტიკის გამოქვეყნებასა და ახლის განვითარებას.

გარდა სტატისტიკის ცენტრალური კომისიისა, ნიდერლანდების სტატისტიკას ხელმძღვანელობს კომიტეტი თორმეტი წევრით (მრჩეველით), რათა დაიცვას მისი სტატისტიკის საზოგადოებრივი რელევანტურობა.

4.5.2. აკურატულობა და სანდოობა

ნიდერლანდების სტატისტიკა მიზნად ისახავს, რომ წარმოადგინოს სინამდვილის აკურატული სურათი. სტატისტიკური მონაცემები სანდოა იმდენად, რამდენადაც იგი ზომავს იმას, რის გასაზომადაც ის არის განკუთვნილი და მაჩვენებლები ძალიან ახლოსაა რეალურ მდგომარეობასთან. სადაც ეს შესაძლებელია, რაოდენობრივად განისაზღვრება შეცდომის ფარგლები. ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის გარანტიის სისტემის ერთ-ერთი მიზანია, გააკონტროლოს სტატისტიკური შედეგის აკურატულობა.

4.5.3. დროულობა და პუნქტუალურობა

ნიდერლანდების სტატისტიკური სამსახური ფეხს უწყობს დროს და მისი ინფორმაცია ქვეყნდება რაც შეიძლება მალე შესაბამისი მონაცემების შეგროვების შემდეგ. ნიდერლანდების სტატისტიკა მიზნად ისახავს მონაცემების შეგროვებასა და მათ გამოქვეყნებას შორის არსებული პერიოდის შემცირებას იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამასთანავე, ყველა პუბლიკაცია ემორჩილება გამოქვეყნების ცხრილების მაკეტებს, რომლებიც წინასწარ ქვეყნდება.

4.5.4. თანმიმდევრულობა და შედარებითობა

ნიდერლანდების სტატისტიკისთვის მნიშვნელოვანი მიზანია სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციას შორის თანმიმდევრულობა. გამოსახულებები, რომლებიც სხვადასხვა ფენომენებს (ამ შემთხვევაში მოვლენებსა და პროცესებს)

შეეხება და რომლებიც ერთსა და იმავე დროს გაიზომება, შესაძლოა შეერთდეს კომბინირების გზით, რა თქმა უნდა, სადაც ეს შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, ნიდერლანდების სტატისტიკის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები შეიძლება შეერთდეს ერთმანეთთან და მიიღოს განზოგადებული სახე. ეს კი იძლევა იმ სინამდვილის ნაწილის თანმიმდევრულ სურათს, რომელიც უნდა აღიწეროს მიღებული მაჩვენებლებით.

იმავე, მაგრამ სხვა პერიოდების (თვე, კვარტალი, წელიწადი) ფენომენების გაზომვები საკმაოდ ურთიერთთანმიმდევრულია. ეს შეეხება ასევე დროითი მწკრივების გამოსახულებებსაც. ერთი და იმავე ფენომენების გაზომვა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში და სხვადასხვა სფეროებისთვის, როგორცაა ინდუსტრიის სექტორები, ასევე საკმარისად კარგი შედარებითობა ახასიათებს.

შედარებითობისა და თანმიმდევრულობის პრინციპების დაცვისთვის ნიდერლანდების სტატისტიკამ განავითარა სტანდარტების სისტემა კონცეფციების, ცვლადებისა და კლასიფიკაციებისთვის. აღნიშნული სტანდარტები „საშენი ქვებია“ სტატისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი სისტემებისთვის, როგორცაა ეროვნული ანგარიშები.

შედარებითობა და თანმიმდევრულობა ასევე მიიღწევა სხვადასხვა სტანდარტული ჩარჩოებიდან ნიმუშის აღებით, როგორცაა მოსახლეობის რეგისტრი (GBA) ინდივიდუალურ პირთა ნიმუშებისთვის და ნიდერლანდების სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრი კომპანიების ნიმუშებისთვის.

4.5.5. ხელმისაწვდომობა და სიცხადე

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის მიერ მომზადებული სტატისტიკური ინფორმაცია წარედგინება ნათელი, გასაგები ფორმით და ქვეყნდება შესაფერისი და მომხმარებლისთვის მეგობრული არხებით. პრინციპში, გამოქვეყნებული სტატისტიკა ხელმისაწვდომი ხდება ყველასთვის ერთსა და იმავე დროს. სტატისტიკას თან ერთვის საკმარისი განმარტებები იმისათვის, რათა მომხმარებლებს მისცეს მათი გაგების შესაძლებლობა. ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური სისტემატურად აქვეყნებს ასევე მის მიერ მომზადებულ სტატისტიკურ ინფორმაციას სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ურთიერთობების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ოფიციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება ნიდერლანდებსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 4.2. საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	10,447	100	45,932	100	123,074	100	154,534	100
მათ შორის:								
ექსპორტი	1,956	18,72	11,332	24,67	17,833	14,49	11,816	7,64
იმპორტი	8,491	81,28	34,600	75,33	105,241	85,51	142,718	92,36

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ნიდერლანდებსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა 2000-2012 წლებში 15-ჯერ გაიზარდა და ჩვენი ქვეყნისთვის ნიდერლანდები გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა. იგი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულშია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – ექსპორტის სიდიდე ჯერ კიდევ შორს არის სასურველი დონისგან და მთლიანი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 7,6 პროცენტია (2012 წლის მონაცემებით).

ნიდერლანდების სტატისტიკის ყველა ინფორმაცია (კონფიდენციალურის სტატუსის გარდა) ხელმისაწვდომია უფასოდ ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით. ძიების ხელმისაწვდომი არჩევანი შესაძლებელს ხდის მომხმარებლებისთვის სწრაფად და ადვილად იპოვონ ის მონაცემები, რომელსაც ეძებენ. ამასთანავე, პუბლიკაციები და სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის ტელეფონითაც. სატელეფონო მხარდაჭერა ხელმისაწვდომია იმ შეკითხვებისათვის, რომლებიც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკასა და პუბლიკაციებს. ამ მხარდაჭერის მეშვეობით აბონენტის დაკმაყოფილება ყოველწლიურ მონიტორინგს გადის და თანდათან ვითარდება.

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური ფართოდ თანამშრომლობს არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის ოფისებთან, რაც, გარკვეული აზრით, სავალდებულოცაა, არამედ სხვა ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთანაც, მათ შორის საქართველოშიც. სტატისტიკის სფეროში განსაკუთრებით ინტენსიური იყო თანამშრომლობა წინა საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ახორციელებდა საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლებმა, რომლების მრჩეველებისა და ექსპერტების სტატუსით მრავალი წელი ეხმარებოდნენ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის რეფორმირებაში.

4.6. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია ნიდერლანდებში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. კერძო კომპანიები ანგარიშვალდებული არიან თუ არა ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის მიმართ?

- ა) მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში;
- ბ) როგორც წესი, არა;
- გ) როგორც წესი, კი;
- დ) მთავრობის სპეციალური დადგენილებით.

3. აქვს თუ არა უფლება ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურს ანგარიშვალდებულ სუბიექტებს დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმები?

- ა) როგორც წესი, არა;
- ბ) მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში;
- გ) როგორც წესი, კი;
- დ) მთავრობის სპეციალური დადგენილებით.

4. როდის მოიპოვა ავტონომიური იურიდიული სტატუსი ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურმა?

- ა) 2002 წლის 3 იანვარს;
- ბ) 1994 წლის 9 იანვარს;
- გ) 2001 წლის 8 იანვარს;
- დ) 2004 წლის 3 იანვარს.

5. რომელი სამინისტროს სისტემაში იყო ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მიღებამდე?

- ა) ფინანსთა სამინისტროს;

- ბ) ეკონომიკის სამინისტროს;
- გ) შინაგან საქმეთა სამინისტროს;
- დ) არცერთი.

6. ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის რომელი სამმართველო ფუნქციონირებს როგორც ცენტრალურ ოფისში, ასევე სხვაგან?

- ა) ბიზნესის სტატისტიკის;
- ბ) დარგობრივი სტატისტიკის;
- გ) რეგიონული სტატისტიკის;
- დ) სამომხმარებლო ფასების სტატისტიკის.

7. როდის დამტკიცდა ნიდერლანდების სტატისტიკის ხარისხის დეკლარაცია?

- ა) 2008 წლის 28 აპრილს;
- ბ) 1998 წლის 19 იანვარს;
- გ) 2000 წლის 28 თებერვალს;
- დ) 2004 წლის 3 იანვარს.

8. ნიდერლანდების სტატისტიკის გრძელვადიანი პროგრამა მუშავდება:

- ა) ყოველ სამ წელიწადში;
- ბ) ყოველ ხუთ წელიწადში;
- გ) ყოველ ოთხ წელიწადში;
- დ) ყოველ ათ წელიწადში.

9. ნიდერლანდების სტატისტიკა მონაცემთა შეგროვების კომპიუტერულ მეთოდს (Blaise) იყენებს:

- ა) ზოგიერთ შემთხვევაში;
- ბ) ყოველთვის;
- გ) ხშირად;
- დ) როგორც წესი, არა.

10. ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფასოდ შესაბამისი ვებ-გვერდის მეშვეობით:

- ა) ზოგიერთ შემთხვევაში;
- ბ) ყოველთვის;
- გ) კონფიდენციალურის გარდა;
- დ) მხოლოდ პოტენციური მომხმარებლებისათვის.

11. ნიდერლანდების მოსახლეობის რიცხოვნობის მთლიანმა მატებამ 2002-2011 წლებში შეადგინა:

- ა) 925 ათასი; ბ) 365 ათასი; გ) 625 ათასი; დ) 465 ათასი.

12. ნიდერლანდების მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ 2002-2011 წლებში შეადგინა:

- ა) 65 ათასი; ბ) 69 ათასი; გ) 75 ათასი; დ) 79 ათასი.

13. ნიდერლანდების მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 2011 წელს ქალების ხვედრიწილი მეტი იყო მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (პროცენტული პუნქტით):

- ა) 7-ით;
- ბ) 15-ით;
- გ) 9-ით;
- დ) 5-ით.

14. 2011 წელს ნიდერლანდებში ქალების რიცხოვნობა მამაკაცებზე მეტი იყო:

- ა) 0,9 მლნ-ით;
- ბ) 1,7 მლნ-ით;
- გ) 1,9 მლნ-ით;
- დ) 1,2 მლნ-ით.

15. 2011 წელს ნიდერლანდების მშპ-ის მოცულობამ საშუალოდ ერთ ადამიანზე შეადგინა (აშშ დოლარი):

- ა) 63890;
- ბ) 38945;
- გ) 49985;
- დ) 53890.

16. 2010 წელს ნიდერლანდებში უმუშევრობის დონე გერმანიასთან შედარებით იყო:

- ა) მაღალი;
- ბ) დაბალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

17. 2011 წელს ნიდერლანდებში უმუშევრობის დონე დანიასთან შედარებით იყო:

- ა) დაბალი;
- ბ) მაღალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

18. 2005-2012 წლებში საქართველოდან ნიდერლანდებში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 14,3%-ით;
- ბ) გაიზარდა 4,3%-ით;
- გ) გაიზარდა 8,3%-ით;
- დ) უცვლელი დარჩა.

19. 2005-2012 წლებში საქართველოში ნიდერლანდებიდან საქონლის იმპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 17%-ით;
- ბ) გაიზარდა 413%-ით;
- გ) შემცირდა 12%-ით;
- დ) გაიზარდა 41%-ით.

20. 2005-2012 წლებში საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 336%-ით;
- ბ) გაიზარდა 176%-ით;
- გ) შემცირდა 130%-ით;
- დ) შემცირდა 230%-ით.

თემა 5. თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკა დანიაში

5.1. სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება დანიაში: მოკლე ისტორია და მთავარი ამოცანები

დანის სახელმწიფო სტატისტიკური სისტემის ისტორია იწყება 1850 წლის იანვრიდან, როდესაც დაარსდა პირველი უწყება *სტატისტიკური ბიუროს* სახელწოდებით. ბიუროს შექმნისა და საქმიანობის ძირითადი ღონისძიებები დაიწყო დანის 1849 წლის საკონსტიტუციო აქტის მიღების შემდგომ ². ამის შემდეგ მიღებული იქნა *ორი ფუნდამენტური აქტი სტატისტიკის შესახებ*: 1966 წელს დანის პარლამენტმა მიიღო დანის სტატისტიკის შესახებ პირველი კანონი, რომელიც იყო სრულიად ახალი და განსაზღვრავდა ინსტიტუტის დამოუკიდებელ სტატუსს. შეცვლილი სახელწოდება უდერდა როგორც დანის სტატისტიკა (აბრევიატურა SD) და ხელმძღვანელის ტიტული ასე შეიცვალა: მუდმივი მდივნიდან ეროვნულ სტატისტიკოსად (ანუ გენერალური დირექტორი). დღესდღეობით, SD-ის საქმიანობა და ღონისძიებები ხორციელდება აღნიშნული კანონით, რომელიც საბოლოოდ შეიცვალა 2009 წლიდან, *ევროპული სტატისტიკის შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციის* მიხედვით.

მთავარი ამოცანები. დანის სტატისტიკის (SD-ის) მთავარი ამოცანები წარმოდგენილია დანის სტატისტიკის კანონში და ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად ქვეამოცანად:

პირველი ამოცანაა სოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ სტატისტიკური *ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოქვეყნება*. ეს შეიძლება განხორციელდეს სტატისტიკის სხვა მწარმოებლებთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე მომზადდეს სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზები. ინსტიტუცია შესაძლოა დაეხმაროს ასევე სამთავრობო კომიტეტებსა და კომისიებს სტატისტიკურ საქმიანობაში.

მეორე ამოცანა მდგომარეობს *საერთაშორისო სტატისტიკურ თანამშრომლობაში* მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაში. როგორც ევროკავშირის წევრი, დანია შედის სამართლებრივად სავალდებულო სტატისტიკური თანამშრომლობის სისტემაში. ამ კონტექსტში, SD პასუხისმგებელია ყველა მონაცემთა ევროპის სტატისტიკაში კონტრიბუციის კოორდინირებისთვის. SD ასევე აქტიურადაა ჩართული გაეროს, OECD, IMF და ჩრდილოეთის ქვეყნებისა და ა.შ. სტატისტიკურ ღონისძიებებში.

მესამე ამოცანაა სტატისტიკურ სფეროში პასუხისმგებლობის განხორციელება კერძო და საჯარო მომხმარებლებისთვის. ეს ამოცანები სრულდება მთავრობის

² Sundgren, B. and Nordbotten, S. Review of Statistics Denmark. 2003.

ნორმატიული აქტების შესაბამისად მომხმარებლების პასუხისმგებლობათა შესახებ.

სტატისტიკის ცენტრალური ხელისუფლება. SD არის დანიის სტატისტიკის ცენტრალური ხელისუფლება (იხილეთ დანიის სტატისტიკის აქტის 1-ლი სექცია და ევროკავშირის სტატისტიკის კანონის მე-5 მუხლი). ეს გულისხმობს, რომ:

- სტატისტიკის უდიდესი ნაწილი სოციალურ და ეკონომიკურ ტენდენციათა შესახებ SD-ის მიერაა წარმოებული, რაც ქმნის მზარდ ღირებულებას სტატისტიკის ახალგამდიდრებულ პროდუქტებთან კომბინირების გზით.
- SD-ს შეუძლია მოსთხოვოს საჯარო ხელისუფლებას, კერძო ბიზნესებს, ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს, რომ დაემორჩილონ მის ინფორმაციას.
- SD პასუხისმგებელია კოორდინაცია გაუწიოს ყველა დანიურ ღონისძიებას, რომელიც ჩართულია ევროპის სტატისტიკის განვითარებაში, წარმოებასა და გავრცელებაში, ე. ი. იმ სტატისტიკის, რომელიც წარმოდგენილია ევროკავშირის სტატისტიკურ პროგრამაში. SD წარმოადგენს ეროვნული შეხების წერტილს ევროსტატისთვის სტატისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.
- სხვა საჯარო ხელისუფლებამ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია SD-ს და მოახდინონ მათი ძალისხმევის კოორდინაცია SD-სთან იმისათვის, რომ შეაგროვონ და დაამუშაონ სტატისტიკური ინფორმაცია.
- SD უნდა იყოს პასუხისმგებელი, ან დახმარება გაუწიოს საჯარო ადმინისტრაციული რეგისტრების გამოყენებასა და მოწყობას სტატისტიკური მიზნებისთვის.

5.2. დანიის სტატისტიკის მენეჯმენტი

დანიის სტატისტიკის დამოუკიდებლობა. დანიის სტატისტიკის შესახებ კანონის მეორე სექციის მიხედვით, SD არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია. SD-ის დამოუკიდებლობა უფრო დეტალურად აღწერილია აქტის 2-4 ქვესექციებში და დამატებით მოყვება ზოგადი ადმინისტრაციული წესები. დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ SD-ის საბჭო და ეროვნული სტატისტიკოსი იღებენ გადაწყვეტილებებს სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ჩარჩოებში. SD-ის მენეჯმენტი განაწილებულია ეკონომიკისა და ბიზნესის საქმეთა სამინისტროს, საბჭოსა და ეროვნულ სტატისტიკოსს შორის.

ეკონომიკისა და ბიზნესის საქმეთა მინისტრს/მთავრობას:

- აქვს ზოგადი საპარლამენტო პასუხისმგებლობა;
- ნიშნავს საბჭოს წევრებს (ეროვნული სტატისტიკოსი გახლავთ *ex officio* თავმჯდომარე);
- პასუხისმგებელია SD-ის წილზე ეროვნული ბიუჯეტიდან, შერჩეული სტატისტიკის მხედველობაში მიღებითა და დაფინანსებით;
- პასუხისმგებელია პერსონალზე;
- პასუხისმგებელია ყოველწლიური შესრულებისა და SD-ის დირექტორის კონტრაქტზე;
- პასუხისმგებელია გადაწყვეტილებების მიღებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ SD-მ ან სხვა ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ თუ არა გარკვეული სტატისტიკური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური ამოცანები.

დანის სტატისტიკის საბჭო. SD იმართება ეროვნული სტატისტიკოსის, როგორც თავმჯდომარისა და 6 სხვა წევრისგან შემდგარი საბჭოს მიერ სოციალური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. საბჭო აფუძნებს საქმიანობის საკუთარ წესებს და გადაწყვეტს, რომ დანიშნოს დეპუტატი თავმჯდომარე თავისი წევრებიდან. ხელმისაწვდომი რესურსებისა და კანონმდებლობით ნებადართული ჩარჩოს ფარგლებში საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- SD-ს ყოველწლიური სამუშაო პროგრამა პრიორიტეტულ საფუძველზე შეარჩევს განსახორციელებელ ამოცანებს.
- ერთობლიობის მოცულობასა და სახეზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება ბიზნეს საზოგადოებისგან, ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ჩათვლით. აქვე, საბჭო პასუხისმგებელია SD-ს მიერ ბიზნეს სექტორზე დაკისრებული საპასუხო ტვირთზე.
- თუ რომელი ინფორმაციის წარდგენა უნდა მოხდეს SD-ის მიმართ საჯარო ხელისუფალთა და ინსტიტუციების მიერ.
- SD-ისა და სხვა საჯარო და კერძო სტატისტიკის მწარმოებელთა შორის სტატისტიკის შეგროვებისა და დამუშავების მაკოორდინირებელ გაიდლაინებზე.
- ფინანსურ და მონეტარულ სტატისტიკასთან დაკავშირებით დანის ცენტრალური ბანკისთვის ამოცანების მიკუთვნებაზე.
- SD-ის ბიუჯეტზე, უფრო დიდი ფინანსური მნიშვნელობის საკითხების ჩათვლით.

- სარეკომენდაციო კომიტეტების შექმნაზე.

დანის ეროვნული სტატისტიკოსი. ეროვნული სტატისტიკოსი არის SD-ის პროფესიული და ადმინისტრაციული მენეჯერი. ეს გულისხმობს იმას, რომ ეროვნული სტატისტიკოსი პასუხისმგებელია:

- პროფესიონალურ პრინციპებზე დაფუძნებულ საპასუხისმგებლო მომსახურების განხორციელებასა და სტატისტიკის წარმოებაზე.
- როგორ და როდის უნდა მოხდეს სტატისტიკის გავრცელება.
- SD-ის საერთაშორისო სტატისტიკურ თანამშრომლობაზე.
- ფინანსებსა და გაანგარიშებებზე, ორგანიზაციის მონაცემთა უსაფრთხოებასა და სხვა ადმინისტრაციულ და ტექნოლოგიურ პირობებზე.
- პერსონალის მართვის იმ მხარეებზე, რომლებიც დელეგირებულია ინსტიტუციაზე.

5.3. პროფესიული დამოუკიდებლობა

პროფესიული დამოუკიდებლობა. SD-ის დამოუკიდებელი სტატუსის მიზანი გახლავთ პროფესიული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იმგვარად, რომ სტატისტიკა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. ეს შესაბამისობაში მოდის სარწმუნო ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებთან, რომლებიც მიღებულია ევროკავშირისა და გაეროს მიერ.

პრაქტიკის კოდექსი ევროპული სტატისტიკისთვის. 2004 წელს ECOFIN-ის საბჭომ სთხოვა კომისიას შეემუშავებინა მინიმალური სტანდარტების კომპლექტი ევროკავშირის სტატისტიკის კომპილირებისთვის, რომლებიც მოიცავდა ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური სტატისტიკის სანდოობის პრობლემებს. 2005 წელს ამან გამოიწვია შესაბამისი რეკომენდაციის მიღება კომისიის მხრიდან, რომ ეროვნული და საზოგადოებრივი სტატისტიკურ ხელისუფალთა დამოუკიდებლობა, ერთიანობა და პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო გარანტირებული. რეკომენდაცია შეიცავს *პრაქტიკის კოდექსს* ევროპული სტატისტიკური სისტემისთვის. ECOFIN-ის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია და პრაქტიკის კოდექსი, რომელიც საბოლოოდ შევიდა ევროკავშირის სტატისტიკურ სამართალში, როგორც მე-11 მუხლი; იგი არის საერთო ევროპული სტანდარტი ყველა ეროვნული მთავრობისა და ევროსტატისთვის, რომელიც აწარმოებს და ავრცელებს ევროპულ სტატისტიკას.

გაეროს ფუნდამენტური პრინციპები. ევროპული კოდექსი ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებს ოფიციალური

სტატისტიკის შესახებ ². ისინი აღიარებენ, რომ ოფიციალურმა სტატისტიკამ უნდა უზრუნველყოს დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციული სისტემის როგორც ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი. სტატისტიკა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მთავრობისთვის, ეკონომიკისა და ხალხისთვის და უნდა მოხდეს მისი კომპილირება მიუკერძოებლობის საფუძველზე.

5.4. დანის სტატისტიკის სანდოობა

ვინაიდან SD ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო პრინციპებს, მისმა საბჭომ დაადგინა შემდეგი 9 კრიტერიუმი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის სანდოობა ²:

1. სტატისტიკა უნდა იყოს *მიუკერძოებელი*. გრაფიკები, ანალიზი და განმარტებითი ტექსტი მზადდება ობიექტურ საფუძველზე და დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით.
2. სტატისტიკა უნდა მომზადდეს *მეცნიერულ საფუძველზე*, ე. ი. პროფესიული თვალსაზრისებით განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისთვის გამოყენებული მეთოდების არჩევანს.
3. სტატისტიკის მეშვეობით მოცემული საზოგადოების სურათი უნდა იყოს *სანდო და ობიექტური*. გამოქვეყნებულ სტატისტიკაში შეცდომების არსებობის შემთხვევაში გასწორებები უნდა გამოქვეყნდეს რაც შეიძლება სწრაფად.
4. სტატისტიკა უნდა *გამოქვეყნდეს* რაც შეიძლება სწრაფად მათი კომპილირების შემდეგ. მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული პოლიტიკური თვალსაზრისები.
5. სტატისტიკის გამოქვეყნების თარიღი და დრო უნდა გამოცხადდეს *წინასწარ*.
6. სტატისტიკა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მომხმარებლისათვის *ერთდროულად* ².

² Fundamental Principles of Official Statistics. United Nations, N.Y., 2013.

² Quality Policy of Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og-kvalitet.aspx

² მიმდინარე სტატისტიკა ყოველთვის ქვეყნდება დადგენილი თვისა და დღის დილის 9:30 სთ-ზე. არავის SD-ის ფარგლებს გარეთ არ შეუძლია სტატისტიკის ნახვა მათ გამოქვეყნებამდე. ეს შეეხება მინისტრებსაც კი. თემატური პუბლიკაციები და ა. შ. შეიძლება გამოქვეყნდეს დღის სხვა დროსაც. ეროვნულ სტატისტიკოსს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ასეთი პუბლიკაცია შეიძლება გამოუშვან ემბარგოს პირობებში ოფიციალური გამოქვეყნების დრომდე, მაგალითად, მედიისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.

7. SD არ აკეთებს კომენტარს იმასთან დაკავშირებით, მიღწეულია თუ არა პოლიტიკური მიზნები სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

8. SD კომენტარს აკეთებს სტატისტიკური შედეგების სხვა პირთა მიერ მცდარ ინტერპრეტაციაზე.

9. ინფორმაცია ინდივიდუალურ პირებსა და ბიზნესებზე კონფიდენციალურია და არ გაიცემა ადმინისტრაციული ან მსგავსი მიზნებისთვის.

თანამშრომლობა ხელისუფლების და სხვა სუბიექტებთან. მოელ რიგ შემთხვევებში SD თანამშრომლობს სახელისუფლებო და სხვა ორგანიზაციებთან სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასთან დაკავშირებით და სხვა შემთხვევებში მონაცემთა ხარისხის განსამტკიცებლად. დისკუსიები პირველადი სტატისტიკური მონაცემებისა და წინასწარი შედეგების შესახებ არსებითია მონაცემთა ხარისხისა და სარგებლიანობის გაზრდისთვის.

როდესაც სტატისტიკა მზადდება საგარეო პარტნიორთან ფორმალიზებული თანამშრომლობის მეშვეობით, პარტნიორს შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდეს წვდომა სტატისტიკურ შედეგებზე SD-ის მიერ მათ გამოქვეყნებამდე. ასეთ შემთხვევებში უნდა დაიდოს სპეციალური შეთანხმება საგარეო პარტნიორთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ შედეგები იქნება მკაცრად გასაიდუმლოებული მათ გამოქვეყნებამდე. თანამშრომლობა შეიძლება გულისხმობდეს, რომ SD-ის არ ჰქონდეს მხოლოდ სტატისტიკის გამოქვეყნების პასუხისმგებლობა. ასეთ სიტუაციებში უნდა გამოიკვეთოს გამყოფი ხაზი იმ შინაარსის, რომლისთვისაც SD არის პასუხისმგებელი და შინაარსის, რომლისთვისაც პასუხისმგებელია პარტნიორი.

დანის ზოგადი სტატისტიკური სურათის ზოგიერთი მაჩვენებელი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 5.1. დანის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2008	2011
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი) მათ შორის:	5 489,1	5 543,5
2.	ქალები	3 005,0	3 358,6
3.	მამაკაცები	2 484,1	2 184,9
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მილიონი დოლარი)	343,881	332,677
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	62 524	60 487
6.	უმუშევრობის დონე, %	3,4	6,1

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ დანიის სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, დანიის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2008-2011 წლებში უმნიშვნელოდ (სულ რაღაც 54 ათასით) მოიმატა, მაგრამ ეს მოხდა ქალების ხარჯზე, რადგან მათი რიცხოვნობა გაიზარდა დაახლოებით 354 ათასით და, იმავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა მამაკაცების რიცხოვნობა (დაახლოებით 300 ათასით).

5.5. დანიის კანონმდებლობა სტატისტიკის შესახებ

ევროკავშირის სტატისტიკური კანონმდებლობა. SD-ის სტატისტიკური წარმოების მთავარი ნაწილი მოიცავს სტატუსში მოცემულ ამოცანებს, რომლებიც ექვემდებარება ევროკავშირის გასაგებად ფორმულირებულ კანონმდებლობას. 2009 წლის დასაწყისში ძალაში იყო ევროკავშირის 200–ზე მეტი სამართლებრივი აქტი, რომლებიც შედეგად გვაძლევდა სტატისტიკის წარმოების დეტალურ რეგულაციას. ევროკავშირის კანონმდებლობა განაპირობებს, მაგალითად, ეროვნული გათვლებით, საგადასახდლო ბალანსს, სამთავრობო დაფინანსებას, მოკლევადიან ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მომხმარებელთა ფასების ინდექსს, საგარეო ვაჭრობას, სამუშაო ძალის კვლევას, სამუშაო ღირებულებებს, შემოსავალს, საცხოვრებელ პირობებს, ბიზნესის სტრუქტურას, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას, ტრანსპორტს, ტურიზმსა და საზოგადოებრივ ინფორმაციას.

კანონმდებლობის საფუძვლები. ევროკავშირის სტატისტიკური თანამშრომლობა ნაწილობრივ მოტივირებულია პირდაპირი ადმინისტრაციული გამოყენებით და ნაწილობრივ თანამშრომლობის სფეროებში განვითარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროებით, სადაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებს ევროკავშირი. გადაწყვეტილებების მიღების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც საჭიროებს წევრი ქვეყნების შესახებ სტატისტიკას, შემდეგია:

ევროკავშირის შემოსავალი. ევროკავშირის შემოსავლის უდიდესი ნაწილი მოდის GNI-ზე დაფუძნებული საკუთარი რესურსიდან, რომელსაც იხდიან წევრი ქვეყნები. შედეგად, ეს აკისრებს სერიოზულ მოთხოვნებს წევრი ქვეყნების ეროვნულ ანგარიშებს შესაბამისობისა და აკურატულობის, და, ამასთან, მრავალრიცხოვანი პირველადი სტატისტიკის თაობაზე, რომელიც გამოიყენება ეროვნული ანგარიშების კომპილირებისთვის.

ეკონომიკური პოლიტიკა. ევროპის კავშირის ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ემყარება თანხვედრის კრიტერიუმებს, აკეთებს მოთხოვნებს მაღალი ხარისხის სტატისტიკაზე და მიმართებას აკეთებს ინფლაციაზე, საპროცენტო

განაკვეთებზე, სამთავრობო დეფიციტსა და სახელმწიფო ვალზე. ევროპის ცენტრალური ბანკი ასევე მოითხოვს ეკონომიკურ სტატისტიკას თავისი ფუნქციების განხორციელებისთვის. ეს დიდ მოთხოვნებს აკისრებს მონაცემთა შესაბამისობისა და დეტალური სტატისტიკის თაობაზე ეროვნულ ანგარიშებთან, სამთავრობო ფინანსებთან, ფასებსა და სხვა მოკლევადიან მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასა და სასოფლო ოლქების განვითარებაზე გაწეული ხარჯები ევროკავშირის ბიუჯეტის დიდ ნაწილს იკავებს. იმისათვის, რომ განხორციელდეს განვითარების მონიტორინგი და მიღებულ იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, არსებობს სტატისტიკის საჭიროება ისეთ სფეროებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა, წარმოება, ფასები და შემოსავალი.

სტრუქტურული ფონდები. ევროკავშირის ბიუჯეტის სხვა უდიდესი ნაწილი გამოიყენება სტრუქტურული ფონდების მიერ, რომლებიც მხარს უჭერს ნაწილობრივ ეკონომიკურად შედარებით უფრო სუსტად განვითარებულ რეგიონებს, ნაწილობრივ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც მოიცავენ სამუშაო ადგილების შექმნას. რესურსების გადანაწილება ხდება რეგიონის მიერ ეროვნული ანგარიშების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებისა და ასევე უმუშევრობისა და დასაქმების შესახებ სტატისტიკის საფუძველზე.

სავაჭრო სტატისტიკა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს (*Intrastat*) შორის სავაჭრო სტატისტიკა მოტივირებულია საქონლის, მომსახურების, ხალხისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით. გარდა ამისა, ევროპის ერთიანმა ბაზარმა გამოიწვია სხვადასხვა სტატისტიკის საჭიროება, მაგალითად, ტრანსპორტზე, ტურიზმზე, ენერჯიაზე, სერვისებით ვაჭრობაზე, ბიზნეს სტრუქტურასა და წარმოებაზე და ინდუსტრიებში კონკურენტუნარიანობაზე. ევროკავშირის გარეთ არსებულ სახელმწიფოებთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები ასევე გულისხმობს, რომ არსებობს ძალიან დეტალიზებული საგარეო სავაჭრო სტატისტიკის საჭიროება საქონელსა და მომსახურებებზე.

პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირის კომიტეტებში განხილვების შემდეგ (ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუციების გენერალური დირექტორების კომიტეტების ჩათვლით) კომისიამ წარადგინა სტატისტიკის შესახებ კანონმდებლობის წინადადებები. საბოლოოდ, მოხდა სტატისტიკის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე მოლაპარაკება და მისი მიღება ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მინისტრების მიერ.

დანიური კანონმდებლობა. სტატისტიკასთან დაკავშირებული დანიის კანონმდებლობა ნაკლებ გასაგებია, ვინაიდან სტატისტიკის ეროვნული საჭიროება მნიშვნელოვნად დაკმაყოფილებულია ევროკავშირის კანონმდებლობით. დანიის კანონმდებლობის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მოსახლეობასთან, მათ შორის ასაკის, განათლების, შემოსავლის, უმუშევრობის, ემიგრანტთა რაოდენობისა და არადასავლური ქვეყნიებიდან ჩამოსულთა განაწილების, თაობაზე ინფორმაციის ფართო ნაკრები, ასევე სპეციფიკური სოციალური სარგებლებისა და

მოსახლეობის პროგნოზები არის აუცილებელი პირობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტებისთვის მიკუთვნებული ზოგადი სუბსიდიების გამოთვლისას.

სტატისტიკის კოდექსი. ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დეტალური შინაარსი მოცემულია SD-ის მიერ 2009 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „სტატისტიკის კოდექსი“.

5.6. დანიის სტატისტიკის სტრატეგიული გზავნილები

5.6.1. დანიის სტატისტიკის მისია

დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციული სისტემა. ოფიციალური სტატისტიკის თაობაზე გაეროს ფუნდამენტური პრინციპების შესავალში აღნიშნულია, რომ “ოფიციალური სტატისტიკა უზრუნველყოფს აუცილებელ ელემენტს დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციულ სისტემაში”.

სტატისტიკა მოსახლეობის განვითარების სპექტრზე, უმუშევრობაზე, დასაქმებაზე, გამომუშავებაზე, ფასებზე, საგარეო ვაჭრობაზე, საგადასახდელო ბალანსზე, ეკონომიკურ ზრდაზე და ა. შ. აუცილებელი პირობაა მისწრაფებაზე საზოგადოების დემოკრატიულობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის. ეს აისახა SD-ის მისიაში, რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციის მიზანს:

დანიის სტატისტიკა (SD) აწარმოებს მიუკერძოებელ სტატისტიკას საზოგადოების შესახებ, როგორც დემოკრატიისა და ეროვნული ეკონომიკის საფუძველს.

სტატისტიკის გამოყენება. სტატისტიკა შეეხება ხალხს და კონკრეტულ საზოგადოებაში მის საქმიანობასა და პირობებს. ამ პირობების განვითარება თანმიმდევრულად და ნათლად ადწერილი SD-ის მიერ. სტატისტიკის გამოყენება ძალიან გონივრული და აუცილებელია მაშინ, თუ სტატისტიკა გამოყენებულია ისეთი მიზნით, როგორცაა, მაგალითად:

1. ცოდნის, განათლებისა და საზოგადოებრივი დებატებისთვის;
2. ანალიზისა და კვლევებისთვის;
3. საერთაშორისო შედარებებისთვის;
4. განვითარებათა მონიტორინგისა და დაგეგმვისთვის;
5. ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის;
6. სოციალურ სარგებელთა და გეოგრაფიულ მიდგომაზე დაფუძნებულ სუბსიდიათა რეგულაციისთვის;
7. გამომუშავებების, კონტრაქტებისა და სადაზღვევო პრემიების რეგულაციისთვის;

8. ევროკავშირის შემოსავალში დანიის მიერ შეტანილი წვლილის გამოთვლისთვის.

საერთაშორისო შედარება. ოფიციალური სტატისტიკის ღირებულება მნიშვნელოვანდ იზრდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტატისტიკა ეფუძნება საერთაშორისო შედარებებს იმგვარად, რომ სხვადასხვა განვითარებები დანიაში (ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ა. შ.) შესაძლებელია შევადაროთ სხვა ქვეყნებში არსებულ განვითარებებს. შედეგად, SD-ს დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო შედარებითი სტატისტიკის განვითარებაში და საერთაშორისო სტატისტიკურ თანამშრომლობაში აქტიური მონაწილეობის გზით. ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებით მრავალმხრივია დანიისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებს შორის: დანია დიდ მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს საქსტატს სხვადასხვა სტატისტიკური ამოცანების განხორციელებაში; ხორციელდება ასევე იმ ოფიციალური სტატისტიკის ურთიერთშედარება და გაცვლა, რომელიც შეეხება ორივე ქვეყანას. ერთ-ერთი ასეთი სფეროა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა. ამ შემთხვევაში საინტერესოა დანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი ზოგადი სტატისტიკა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 5.2. საქართველოსა და დანიას შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	3,3	100	7,3	100	19,0	100	26,2	100
მათ შორის:								
ექსპორტი	0,5	15,29	0,2	3,09	3,6	19,0	1,2	4,58
იმპორტი	2,8	84,71	7,1	96,91	15,4	81,0	25,0	95,42

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, დანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა 2000-2012 წლებში 8-ჯერ გაიზარდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურ გამოსახულებაში იგი მცირე სიდიდეა და 2012 წელს მან 26,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – ექსპორტის სიდიდე ჯერ კიდევ შორს არის სასურველი დონისგან და 2012 წლის მთლიანი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 4,6 პროცენტი, ანუ მხოლოდ 1,2 მლნ აშშ დოლარი იყო.

დანის სტატისტიკის უფასო და ფასიანი მომსახურებები. SD-ის მისიის შესრულების მიზნით, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა და პირობების შესახებ ოფიციალური სტატისტიკა ხელმისაწვდომი გახდა უფასოდ ყველა მოქალაქისთვის Stat Bank Denmark-ისა და SD-ის ვებ გვერდის მონაცემთა ბაზის მეშვეობით. კერძო და საჯარო მომხმარებლები, რომლებიც ითხოვენ სპეციფიკურ სტატისტიკას, მონაცემებს, ანალიზსა და საკონსულტაციო მომსახურებებს, იხდიან დახარჯული დროისა და ნებისმიერი იმ პირდაპირი დანახარჯის საფასურს, რომლებსაც მოიცავს ამ ამოცანების განხორციელება.

5.6.2. დანის სტატისტიკის ხედვა და ღირებულებები

სტრატეგიას მართავს ხედვა. ხედვა გახლავთ ის სურათი, ანუ ორიენტირი, რომელი მიმართულებითაც უნდა ვიმუშაოთ და როგორიც გვინდა, რომ ვხედავდეთ ჩვენს მომავალს. აქედან გამომდინარე, SD-ის 2015 წლის სტრატეგიაში ჩამოყალიბებული მიზნები და ინიციატივები იმართება მისი ხედვის შესაბამისად, კერძოდ:

დანის სტატისტიკის (SD) ხედვა უნდა იყოს:

- მომხმარებლებისა და მონაცემთა მიმწოდებლებისთვის ყველაზე უფრო მეგობრული ევროპის სტატისტიკური ინსტიტუცია;
- ეფექტიანი და ინოვაციური ინსტიტუცია, რომელიც ამოცანებს წყვეტს ციფრების საშუალებით;
- ინსტიტუცია, რომელიც აერთიანებს ოფიციალურ სტატისტიკას ყველა საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებით;
- მიმზიდველი სამუშაო გარემო.

მეგობრული ურთიერთობა მომხმარებლებთან. SD-ის მიერ შესრულებული სამუშაო ფოკუსირებულია *მომხმარებლებზე*. ეს გულისხმობს, რომ ფოკუსი კეთდება მომხმარებლებისათვის საინტერესო სტატისტიკისა და სხვა სერვისების საჭიროებებზე. თუმცა, ეს უნდა დაბალანსდეს ხელმისაწვდომი რესურსებისა და მონაცემთა მიმწოდებლების ინტერესების ფონზე. მომხმარებლებთან მეგობრული ურთიერთობა პირველ რიგში გულისხმობს, რომ SD უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქტებს და რომ SD ეძებს აქტიურ დიალოგს მომხმარებლებთან.

სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი. მომხმარებლები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მაღალი ხარისხის სტატისტიკით, რაც გულისხმობს, რომ სტატისტიკა უნდა იყოს შესაბამისი, სანდო, დროული, პუნქტუალური, ხელმისაწვდომი, დოკუმენტირებული, შედარებითი და თანამიმდევრული დროსთან მიმართებით (იხილეთ ევროკავშირის სტატისტიკური სამართლის მე-12 მუხლი). სწორედ ამას

ეფუძნება SD-ის მიერ გაწეული ძალისხმევა მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოებისთვის.

მეგობრული ურთიერთობა მონაცემთა მიმწოდებლებთან. SD-ის მიერ შესრულებული სამუშაო ასევე ფოკუსირდება *მონაცემთა მიმწოდებლებზე*. ეს შეეხება კერძო ბიზნესებსა და საჯარო ხელისუფალთ, მუნიციპალიტეტების ჩათვლით. ეს გულისხმობს იმას, რომ SD უწყვეტად იჩენს ძალისხმევას მონაცემთა წარმოდგენის წახალისებისთვის და რომ SD ასევე ეძებს აქტიურ დიალოგს რესპონდენტებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან.

ეფექტიანი და ინოვაციური ინსტიტუცია. SD უნდა იყოს *ეფექტიანი და ინოვაციური* ინსტიტუცია, რომელიც წყვეტს ამოცანებს ციფრების საშუალებით. ეს გულისხმობს იმას, რომ ვითარდება ახალი პროდუქტები და ახალი სამუშაო პროცესები, SD-ისთვის ციფრული მონაცემების წარდგენის ჩათვლით. უნდა დაინერგოს სამუშაო პროცესების, მეთოდების, სისტემებისა და ტექნოლოგიების დამატებითი თანამედროვე სტანდარტები.

ოფიციალური სტატისტიკის ინტეგრაცია. SD დანიის სტატისტიკის *ცენტრალურ ხელისუფლებას* წარმოადგენს. ამჟამად, დანიის საზოგადოების მრავალ ასპექტზე სტატისტიკური ინფორმაციის მოცულობის უმეტესობა იწარმოება დანიის სტატისტიკის (SD) პროფესიულად დამოუკიდებელი ინსტიტუციებისა და დანიის ცენტრალური ბანკის მიერ. დანიის ცენტრალური ბანკის მიერ წარმოებული სტატისტიკა ასევე ხელმისაწვდომია Stat Bank Denmark-ის მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი სტატისტიკა საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების შესახებ იწარმოება სამინისტროებისა და სამთავრობო სააგენტოების მიერ და, შესაბამისად, უფრო ახლოსაა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

მომხმარებელთა და მონაცემთა მიმწოდებლების უპირატესობები. სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში დამატებითი ძალისხმევა იქნება გაწეული, რათა მოხდეს SD-ში სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების შესახებ ოფიციალური სტატისტიკის ინტეგრირება. ოფიციალური სტატისტიკის ინტეგრაციას შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა და მონაცემთა მიმწოდებლების უპირატესობის მინიჭება, რაც:

- წახალისებს მომხმარებელთა წვდომას სტატისტიკაზე სოციალური და ეკონომიკური პირობების შესახებ მას შემდეგ, როდესაც სტატისტიკა გამოქვეყნდება SD-ის მონაცემთა ბაზა Stat Bank Denmark-ში.
- გახსნის *განვითარების აღწერის* უკეთეს შესაძლებლობებს საზოგადოებაში, როდესაც შესაძლებელი იქნება მონაცემთა კომბინირება SD-ში უკვე არსებულ მონაცემებთან პირების, ბიზნესებისა და საცხოვრებელი ადგილების შესახებ.
- მისცემს წვდომას მონაცემთა უფრო ფართო სპექტრზე მკვლევარებსა და ანალიტიკოსებს, რომლებიც მუშაობენ SD-ის *სავარეო მკვლევართათვის განკუთვნილი სქემით*.

- უზრუნველყოფს ზოგად ფოკუსს იმ კოორდინაციასა და ცვლილებებზე მონაცემთა მოხსენებებში, რომლებიც წარდგენილია მონაცემთა მიმწოდებლების მიერ.
- უზრუნველყოფს, რომ ყურადღება ფოკუსირებული იყოს *ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის* შესრულებაზე და რომ სტატისტიკა იყოს მიუკერძოებელი, ინფორმაციის გამოშვების თარიღები და ვადები წინასწარ იქნას გაცხადებული და რომ სტატისტიკა გამოქვეყნდეს მისი კომპილირებისთანავე და არა მაშინ, როცა ეს მიიჩნევა პოლიტიკურად ხელსაყრელად.

SD-ში ოფიციალური სტატისტიკის *დამატებითი* ინტეგრაციის უპირატესობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკურ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამი ცენტრალური რეგისტრიდან ერთ-ერთთან, ე. ი. ცენტრალურ სახალხო რეგისტრთან (პირები), ცენტრალურ ბიზნეს რეგისტრთან (ბიზნესები) და შენობებისა და საცხოვრებელი ადგილების ცენტრალურ რეგისტრთან (საცხოვრებელი ადგილები, მისამართები).

დანის სამთავრობო განცხადება სტატისტიკაზე. SD-ში ყველა სოციალური და ეკონომიკური პირობების შესახებ ოფიციალური სტატისტიკის ინტეგრაციის ხედვა ემყარება 2007 წლის ნოემბრის სამთავრობო განცხადებას, რომელიც აცხადებს, რომ: “მთავრობას სურს, მოახდინოს ოფიციალური სტატისტიკის უფრო ფართო ინტეგრირება დანის სტატისტიკაში (SD)”. სოციალური და ეკონომიკური პირობების შესახებ არსებული და ახალი ოფიციალური სტატისტიკის ინტეგრაცია შესაძლოა ნაწილობრივ გულისხმობდეს იმას, რომ არსებული ამოცანები გადაეცეს SD-ს; ასევე ნაწილობრივ იმასაც, რომ სტატისტიკის ახალი საჭიროებები უნდა დაიფაროს SD-ის მიერ. Stat Bank Denmark უნდა იყოს – მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად ისეთი გვერდი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ოფიციალური სტატისტიკა სოციალური და ეკონომიკური პირობების შესახებ. ამასთანავე, ოფიციალური სტატისტიკის კონცეფცია მოიცავს არა ყველა სტატისტიკას, არამედ ზოგად სტატისტიკას სოციალური და ეკონომიკური პროცესების შესახებ და არ მოიცავს მინისტრებისგან და ა. შ. ოპერატიულ საექსპლოატაციო სტატისტიკის უწყვეტ კომპილაციას. განსხვავება ამ ორი ტიპის სტატისტიკას შორის განმარტებული იქნება ქვემოთ.

მიმზიდველი სამუშაო გარემო. SD უნდა იყოს *მიმზიდველი* სამუშაო ინსტიტუცია იმისათვის, რომ ჰქონდეს კარგად კვალიფიცირებული დასაქმებულებისა და მენეჯერების აყვანის შესაძლებლობა. ეს გულისხმობს იმას, რომ სამსახურის შინაარსი უდიდესი მნიშვნელობისაა და რომ არსებობს კარგი ხელსაყრელი შემთხვევები SD-ის დასაქმებულებისთვის მათი კომპეტენციების გამოყენებისა და განვითარებისთვის. SD უნდა იყოს საზოგადოებრივი შეგნებისა და ოჯახურ-მეგობრული სამუშაო ადგილი. SD-ის ხედვისა და მისიის გასაანალიზებლად ყველა დასაქმებულმა, იმ ღირებულებების გარდა, რომლებიც შეეხება ეკონომიკურ და

ბიზნეს საქმეთა სამინისტროს, უნდა შეასრულოს თავისი სამუშაო ორი ღირებულების შესაბამისად. ეს ორი ღირებულება გახლავთ:

- SD აწვდის საზოგადოებას მიუკერძოებელ და ობიექტურ ინფორმაციას;
- SD ახორციელებს საშინაო და საგარეო თანამშრომლობას შესაძლო საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

5.6.3. სტრატეგიიდან შედეგებამდე

დანის სტატისტიკის (SD) ძალა და სისუსტეები. დანის სტატისტიკის სტრატეგიამ 2015 წლისათვის (იხ. ქვემოთ მოტანილი სქემა) იგი უნდა მიიყვანოს კონკრეტულ შედეგებამდე მომავალ წლებში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საწყის წერტილად აღებული იქნას SD-ის ძალა და სისუსტეები. ისინი აღწერილია ორ საერთაშორისო შეფასებაში (დანის სტატისტიკის (SD) ბიუჯეტის ანალიზი, 2003 წლის აგვისტო და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის დაწვრილებითი მიმოხილვა (ევროსტატი, 2007 წლის 26 სექტემბერი). აღნიშნულმა ორივე საერთაშორისო შეფასებამ შედეგად მოიტანა შემდგომი დაახლოებით ერთგვაროვანი შეფასებები, რომელთა მიხედვითაც, SD-ის ძალა მდგომარეობს განსაკუთრებით იმაში, რომ:

- ინსტიტუცია აღიარებულია მიუკერძოებლად და ობიექტურად;
- ეს ინსტიტუცია არის მომხმარებლებთან ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრული და ეფექტიანი სტატისტიკური ინსტიტუცია ევროპაში;
- ეს მიღწეული იქნა კარგი მენეჯმენტის, ძლიერი გუნდური სულის, ადმინისტრაციული მონაცემების ექსტენსიური გამოყენების, თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებისა და მაღალი ტექნოლოგიური დონის გზით;
- Stat Bank Denmark და მკვლევარებისა და ანალიტიკოსებისთვის მიკრო-მონაცემები საერთაშორისოდ აღიარებულია როგორც უმაღლესი კომპეტენციების პიონერი სფეროები.

ასევე ამ საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, SD-ის სისუსტეები მდგომარეობს განსაკუთრებით იმაში, რომ:

- სტატისტიკური ხარისხის მონიტორინგი არაადეკვატურია, შესაბამისი დოკუმენტაცია არასაკმარისია და არსებობს ხარისხთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, დაგვიანებების რისკისა და სტატისტიკის გამოქვეყნებაში დაშვებული შეცდომების ჩათვლით. გარდა ამისა, არსებობს რესურსების ნაკლებობა ახალი სტატისტიკის განვითარებისთვის და საერთაშორისო სტატისტიკურ თანამშრომლობაში აქტიური მონაწილეობისთვის. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ შესამჩნევად ნაკლები რესურსებია ხელმისაწვდომი SD-ისთვის სხვა ქვეყნებთან (აშშ, კანადა) და ასევე მაღალგანვითარებულ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით;

- დანიაში ოფიციალური სტატისტიკა განიცდის კოორდინაციის ნაკლებობას და SD-ის შესაძლებლობები – ითამაშოს მაკოორდინირებელი როლი სხვა სამინისტროების სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით – შეზღუდულია.

SD - დაბალი ხარჯების სტატისტიკური ინსტიტუცია: ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით, SD არის ევროპის ყველაზე უფრო დაბალი ხარჯების მქონე ევროპულ ინსტიტუციებს შორის. 2015 წლის სტრატეგიის ხედვაში SD-ის სისუსტეებთან დაკავშირებული ინიციატივები მატერიალიზებულია მიზნებში და თავისი მოქმედების სფეროებში ზემოთ აღწერილ ინიციატივებში. აქ საფუძველი არის ის, რომ მიზნები უნდა იყოს ამბიციური, მაგრამ ასევე რეალისტური, მხედველობაში უნდა იღებდეს ხელმისაწვდომ რესურსებს.


შესრულების მენეჯმენტი. გზა მიზნებიდან შედეგებამდე უზრუნველყოფილია SD-ის მენეჯმენტის მოვალეობების შესრულების სისტემაში. ეს სისტემა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაში.

წლიური მიზნები და წინაპირობები. ყოველ წელს საბჭო წარმოადგენს მთელ რიგ მიზნებს SD-ის სამუშაო პროგრამაში. გარდა ამისა, შესრულების კონტრაქტი და ღირებულების კონტრაქტი შეთანხმებულია მინისტრთან. სამუშაო პროგრამა და მინისტრთან შეთანხმებული კონტრაქტები საბოლოოდ ინერგება დეპარტამენტებთან და SD-ის სტატისტიკურ დანაყოფებთან გაფორმებულ შიდა კონტრაქტებში. ამ მიზნებისა და კონტრაქტების შინაარსი დამოკიდებულია SD-ის წლიურ ბიუჯეტზე, რომელიც მოიცავს სახსრებს ეროვნული ბიუჯეტიდან და SD-ის მიერ მიღებულ საკუთარ შემოსავლებს. ამასთან, შინაარსი დამოკიდებულია ახალ კანონმდებლობაზე – უპირატესად, ევროკავშირის კანონმდებლობაზე – და ახალ სტატისტიკურ მოთხოვნებზე.

დანერგვა. SD-ის თანამშრომლების ძალისხმევა და კომპეტენციები არსებითია მიზნებისა და სტრატეგიის სასურველი შედეგების მისაღწევად. სამუშაო პროცესების ორგანიზაცია და დაგეგმვა და მენეჯმენტის შესრულების მანერა, ასევე, არსებითად ზემოქმედებენ შედეგებზე.

შედეგები. შედეგებში იგულისხმება მოცულობა, ხარისხი და სტატისტიკის წარმოებისა და სხვა ამოცანების გავრცელება. მას ემატება ეკონომიკური შედეგი, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგები და მონაცემთა მიმწოდებლებთან დაკავშირებული შედეგები.

დანის ოფიციალური სტატისტიკის 2015 წლის სტრატეგიის ზოგადი სქემა ასეთია:



წარმოდგენილი სტრატეგიის მიხედვით, SD-ის უახლოესი საქმიანობის მთავარი მიმართულებებია:

- სრულყოფილი და მაღალი ხარისხის სამუშაო პროგრამის შედგენა და სრულად განხორციელება;
- დანიის სტატისტიკის შესახებ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ახალი ამოცანების შესაბამისად;
- შესასრულებელი სამუშაოების ადეკვატური ფინანსური უზრუნველყოფა, ანუ საჭირო ბიუჯეტის არსებობა;
- თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ფართოდ დანერგვა და გამოყენება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის სრულყოფაზე სისტემატური ზრუნვა;
- ხარისხიანი მენეჯმენტის განხორციელება;
- დასაბუთებული, სანდო, სრულყოფილი და გასაგები შედეგების მიღება სტატისტიკის წარმოებაში.

5.7. დანიის სტატისტიკის მოქმედების სფეროები
5.7.1. მომხმარებელთა ჩართვა სტატისტიკის წარმოებაში

ხელვა და მიზნები. SD-ის ხელვის არეალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა არის ის, რომ იყოს მომხმარებელთან ყველაზე უფრო მეგობრული ევროპის სტატისტიკური ინსტიტუცია. ეს გულისხმობს იმას, რომ სტატისტიკის მომხმარებლები ჩართულნი უნდა იყვნენ SD-ის მიერ შესრულებულ სამუშაოებში.

მოქმედების ამ სფეროს მიზნებია ²:

- სტატისტიკის წარმოების განვითარებაში წვლილის შეტანა;
- მონაცემთა გავრცელების სრულყოფა, სტატისტიკის ნათელი და გასაგები ფორმით წარმოდგენისა და სათანადო დოკუმენტაციის ჩათვლით;
- სტატისტიკის მომხმარებელთა კომპეტენციის გაზრდა;
- როგორც უფასო, ისე ფასიანი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების გაზრდა;
- დიდი რაოდენობის კმაყოფილი მომხმარებლების ყოლა;
- მომხმარებელთა საჭიროებებზე SD-ის ცოდნის გაზრდა.

მომხმარებლები. SD-ის მომხმარებლები წარმოადგენენ დიდ და არაერთგვაროვან ჯგუფს, რომელიც მოიცავს, მაგალითად, პოლიტიკოსებს, საჯარო მოსამსახურეებს მთავრობის ადმინისტრაციაში, მედიას, ბიზნეს საზოგადოებას, ორგანიზაციებს, მკვლევარებს, სტუდენტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ ინსტიტუციებს. ყოველწლიურად სტატისტიკის შედეგები გამოიყენება არანაკლებ 1 მილიონზე მეტი დანიელის მიერ. მაშასადამე, მომხმარებლები სხვადასხვა საშუალებებით უნდა იყვნენ ჩართულები სტატისტიკის წარმოებაში.

ინიციატივები. სტრატეგიით განსაზღვრულ პერიოდში მიზნების მიღწევისთვის წამოიწყეს შემდეგი ინიციატივები:

1. ხელახლა განიხილება სტრუქტურა და ამოცანები *მრჩეველთა კომიტეტებისთვის* და სპეციფიკური სტატისტიკისა თუ სტატისტიკური სფეროების სამუშაო ჯგუფებისთვის. არსებული კომიტეტები გაუქმდა და დაფუძნდა შემდეგი კომიტეტები და ჯგუფები:

– მთელი რიგი ზოგადი პროფესიული კომიტეტები, მაგალითად, შრომის ბაზრის სტატისტიკისთვის, განათლების სტატისტიკისთვის, ეროვნული ანგარიშებისთვის, მოკლევადიანი (ოპერატიული) ანგარიშებისთვის, კვების სტატისტიკისთვის, კეთილდღეობის სტატისტიკისთვის და სხვ;

– მთელი რიგი სპეციფიკური სტატისტიკის სამუშაო ჯგუფებისთვის;

² Revision policy in Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og-kvalitet/revisionspolitik

– კვლევების კომიტეტი, ბიზნესების მიერ მონაცემთა წარმოდგენის კომიტეტი და კოორდინაციის კომიტეტი ევროპული სტატისტიკისთვის.

2. პროფესიული სემინარები, რომლებიც ეწეობა ზოგადი პროფესიული კომიტეტების მიერ მომხმარებლებისა და SD-ის შემოწირულობებით;
3. წლიური შეხვედრების რაუნდი SD-ის სამუშაო პროგრამების თაობაზე, რომლებშიც მონაწილეობენ ცენტრალური საჯარო თანამდებობის პირები (მათ შორის მინისტრებიც);
4. დანიური საპარლამენტო კომიტეტებისა და ევროპელი პარლამენტარების ბრიფინგის შეთავაზება სტატისტიკის შესახებ;
5. SD-ის სტრატეგიული და სხვა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფართოება სტატისტიკის წარმოებასა და გამოყენებაზე. თანამშრომლობა ფოკუსირდება განსაკუთრებით ადმინისტრაციული რეგისტრებისთვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებზე და სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაო ურთიერთობებზე;
6. თანამშრომლობის გაფართოება დანიის მთავრობასთან (მინისტრებთან და ა. შ.) სპეციფიკური სტატისტიკის დაფინანსების თაობაზე;
7. თანამშრომლობის გაფართოება უნივერსიტეტებთან პარტნიორულ სტიპენდიებზე (განსაკუთრებით დოქტორანტურის სტუდენტებისთვის);
8. SD-ის არსებული კურსების გაფართოება უფრო მეტი საგნების პრაქტიკული კურსების გახსნით;
9. პერიოდულად ტარდება კვლევა მომხმარებლისა და აბონენტის დაკმაყოფილებასა და უფრო სპეციფიკურ პროდუქტებზე, როგორცაა SD-ის ელექტრონული გვერდი, დანიის Stat Bank და ბიბლიოთეკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისები. გარდა ამისა, ტარდება ასევე მოქალაქეთა მიერ სტატისტიკის მოხმარებასა და SD-ის ხედვაზე კვლევა.

5.8. სტატისტიკის პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირების ღონისძიებები

1996 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში ბიზნეს-საზოგადოების პასუხისმგებლობის სრული ტვირთი SD-ის მიმართ შემცირდა მიახლოებით 32 პროცენტით, რაც გულისხმობს იმას, რომ პასუხისმგებლობის ტვირთი ახლა შეადგენს მთლიანი ადმინისტრაციული ტვირთის არაუმეტეს ნახევრისა. მიუხედავად იმისა, რომ რეალური პასუხისმგებლობის ტვირთი შედარებით შემცირდა, ბიზნეს

სექტორის მიერ გაწეული სტატისტიკური ტვირთი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად მაღალია.

მოქმედების ამ სფეროს მიზნებია:

- შემცირდეს ბიზნესების *სტატისტიკური პასუხისმგებლობის რეალური ტვირთი* 25 პროცენტით 2010 წლის ჩათვლით, ხოლო 2015 წლამდე პერიოდში ბიზნესებისა და მუნიციპალიტეტებისათვის ეს ტვირთი კიდევ დამატებით შემცირდეს;
- რეალურად შესრულდეს ბიზნესებისა და მუნიციპალიტეტებისათვის წინასწარ *დადგენილი პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირების სიდიდე*;
- შესაძლებელი გახდეს ბიზნესების, მუნიციპალიტეტების და ა. შ. მიერ ყველა მონაცემების წარმოდგენა *ციფრულად და ელექტრონული ფორმით*;
- წლიდან წლამდე გაიზარდოს *ციფრული* მონაცემების წარმოდგენის წილი, რაც გულისხმობს იმას, რომ თითქმის ყველა მონაცემის წარმოდგენა სტრატეგიის პერიოდის დასასრულისათვის (2015 წლის ბოლო) მოხდება *ციფრულად და ელექტრონული ფორმით*.

სტრატეგიის პერიოდში დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი ინიციატივები:

- *წლიური მოქმედების გეგმა* მიიღო საბჭომ, სადაც გადაწყვეტილია სპეციფიკური ინიციატივები ზემოხსენებულ მიზნებთან დაკავშირებით.
- საბჭო აფუძნებს *მრჩეველთა კომიტეტს* ბიზნეს-მონაცემთა წარმოდგენისთვის, რომელიც მოიცავს ბიზნეს სექტორში ორგანიზაციათა წარმომადგენლებს (სუბიექტებს). განხილვის მასალები მონაცემთა შეგროვებისთვის, ევროკავშირის ახალი კანონმდებლობისა და ახალი ეროვნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარდგენილი იქნება მაგალითად, კომიტეტისთვის. რესპონდენტთა შერჩევის საკითხები, ისევე, როგორც ბიზნეს-ინფორმაციის სტრუქტურა, განიხილება კომიტეტის მიერ.
- სამუშაო პროცესის გამარტივებისა და სტანდარტიზებისთვის, SD მიზნად ისახავს ბიზნესების მიერ მონაცემთა წარმოდგენისთვის ორი ტიპის ციფრული გადაწყვეტის მიღებას: *სისტემებიდან-სისტემებამდე* გადაწყვეტები და ელექტრონული გვერდი. ციფრული სახით წარმოდგენა სავალდებულო იქნება კვლევების უმეტესობისთვის. მონაცემთა წარმოდგენა ქაღალდზე (დოკუმენტურად) ამოღებული უნდა იქნას რაც შეიძლება მაღე.
- SD შეიტანს წვლილს იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტებმა და სხვა საჯარო მოხელეებმა გამოიყენონ გარკვეული რაოდენობის *სტანდარტიზებული ელექტრონული საშუალებები* SD-ის მისამართით მონაცემთა წარდგენის დროს.

- გარდამავალ პერიოდში SD განახორციელებს მონაცემთა წარდგენის არსებული ალტერნატიული ფორმების გამოყენებას მხოლოდ მონაცემთა მიმწოდებლების საჭიროებებიდან გამომდინარე. სტატისტიკური ანგარიშების შემთხვევაში, ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნება ბიზნესებისთვის საკუთარი შიდა ანგარიშების ქაღალდზე წარდგენა. ასევე, შესაძლებელი იქნება საცალო გაყიდვების ინდექსისთვის (მომხმარებელთა ფასების ინდექსი) მონაცემთა მოხსენება ტელეფონის მეშვეობით.

- სტატისტიკური პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირებაში წვლილის შეტანის მიზნით, ბიზნესების ანგარიშების მონაცემები ციფრული სახით ავტომატურად მიიღებს feedback-ს (პასუხი) e-mail-ის მეშვეობით შესაბამისი სტატისტიკის შედეგებითურთ. აქვე გამოკვეთილი იქნება სტატისტიკის მიზანი და სარგებლიანობა.

- როგორც რეალური, ასევე წინასწარ დადგენილი პასუხისმგებლობის ტვირთის შესამსუბუქებლად, ყველა კითხვარი განვითარდება და დაიხვეწება ელექტრონული მოხსენებისთვის და განვითარდება ძიების მოდულები კლასიფიკაციის ცვლადებისთვის (ინდუსტრია, საქონლის კოდი, განათლების კოდი და ა.შ.). კითხვარებში გაერთიანდება გაიდლაინები.

- SD გაწევს ძალისხმევას იმისათვის, რომ უზრუნველყოს, რათა შესაძლებელი იყოს ძირითადი საცალო ჯაჭვების ქსელიდან შემოსული სკანირებული მონაცემების გამოყენება, მაგალითად, საცალო გაყიდვების ინდექსისა და ფასების სტატისტიკისთვის.

- SD-ის ფუნქციონალური ორგანიზაციაა, სადაც ერთი სტატისტიკური დანაყოფი, რომელიც პასუხისმგებელია ბიზნესების მიერ წარმოდგენილი მონაცემების უფრო დიდ ნაწილზე, უწყვეტად ფართოვდება. პასუხისმგებელ დანაყოფს აქვს ცენტრალური დახმარების რეცეფცია და აშკარად ფოკუსირებულია იმ მიზნების რეალიზებაზე, რომლებიც შეეხება პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირებებს.

ზოგადი პოლიტიკა ამ მიზნების მისაღწევად. SD ახორციელებს მონაცემთა წარდგენის ზოგად პოლიტიკას, რომელიც გაგრძელდება სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში. პოლიტიკის დანერგვა ხორციელდება წლიურ სამუშაო პროგრამებში სპეციფიკური ინიციატივების მეშვეობით. ეს პოლიტიკა ასევე მოიცავს, მაგალითად:

- ადმინისტრაციული რეგისტრების გამოყენებას რაც შეიძლება მეტი მოცულობით.

- ინიციატივებს ევროკავშირში ბიზნესებისთვის ადმინისტრაციული ბარიერების ეტაპობრივი შემცირებების მისაღწევად.

- სანიმუშო კვლევების ოპტიმიზებას იმგვარად, რომ პასუხისმგებლობის ტვირთი და სტატისტიკის სანდოობა შეფასდეს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში.

- სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სტატისტიკის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მიმართაც *მცირე ბიზნესებს* (10 დასაქმებულზე ნაკლები) აქვთ წლიური ანგარიშგების ვალდებულება, შეიზღუდება სამამდე.
- იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესებმა, მუნიციპალიტეტებმა და ა. შ. არ წარუდგინონ ერთი და იგივე მონაცემები სხვადასხვა საჯარო ხელისუფალთ, SD-ს შეუძლია, როგორც მონაცემთა დამუშავების პასუხისმგებელ ინსტიტუციას, დახმარება გაუწიოს მონაცემთა შეგროვებაში სხვა სახელისუფლებო ორგანოებს და ამასთან, სტატისტიკისგან განსხვავებული სხვა მიზნებისთვის.

5.9. სტატისტიკის შემდგომი განვითარება

დანის სტატისტიკის განვითარება ემყარება იმას, რომ SD უნდა იყოს მომხმარებლებთან ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრული სტატისტიკური ინსტიტუცია და ინსტიტუცია, რომელიც აერთიანებს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა და პირობების შესახებ ოფიციალურ სტატისტიკას დანიაში.

მოქმედების ამ სფეროს მიზნებია, რომ:

- სტატისტიკა იყოს *შესაბამისი*, ე. ი. ისინი უწყვეტად ვითარდებოდეს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად, რაც გულისხმობს, რომ მათი შინაარსი შეესაბამება მომხმარებლების დღევანდელ და სამომავლო საჭიროებებს, როგორ ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- სტატისტიკა იყოს *თანმიმდევრული*, ე. ი. რომ გამოიყენებოდეს სტანდარტიზებული კონცეფციები, კლასიფიკაციები და მეთოდები, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სტატისტიკის კომბინირება საზოგადოებისა და მასში მიმდინარე ცვლილებების თანამიმდევრულ გამოსახულებად.
- სტატისტიკა იყოს *შეღარებითი*, ე. ი. განვითარებები (ცვლილებები) შესაძლოა შევადაროთ: 1) *დროის* მიხედვით იმგვარად, რომ დაფუძნდეს თანმიმდევრული დროითი მწკრივები; 2) *გეოგრაფიულად*, მაგალითად, მუნიციპალიტეტებს, რეგიონებსა და ქვეყნებს შორის; 3) *სტატისტიკათა შორის*, მაგალითად, საწარმოების ან მოსახლეობის ჯგუფებს შორის.

ევროპის სტატისტიკის კომიტეტი ევროპის პარლამენტისა და 2009 წლიდან ევროპული სტატისტიკის შესახებ საბჭოს რეგულაციის (ევროკავშირის სტატისტიკური სამართალი, მუხლი 5) მიხედვით, SD *პასუხისმგებელია* დანის სტატისტიკის ყველა საქმიანობის *კოორდინაციაზე*, ევროპული სტატისტიკის

განვითარების, წარმოებისა და გავრცელების კუთხით, ე.ი. სტატისტიკა წარმოდგენილია ევროპულ სტატისტიკურ პროგრამაში. SD არის ეროვნული შეხების წერტილი კომისიისთვის სტატისტიკურ საკითხებში (Eurostat). ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეგულაცია დაინერგება როგორც დანერგვის ნაწილი, იქნება *მაკოორდინირებელი კომიტეტი*, რომელიც მოიცავს წარმომადგენლებს დანიის ყველა ხელისუფლებიდან და ინსტიტუციიდან, რომლებიც სტატისტიკას წარადგენენ ევროპული სტატისტიკის ნაწილად. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კონკრეტული *ინიციატივები*, რომლებიც დაკავშირებულია SD-ის *წლიურ სამუშაო პროგრამებთან*, და ეს გახლავთ საწინდარი იმისა, რომ უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რესურსები. შედეგად, გამოიკვეთება ინიციატივების მსოფლიო მცირე რაოდენობა, მაგრამ მათგან მნიშვნელოვანი შეიძლება სტრატეგიის პერიოდში.

- 2012 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში SD პასუხისმგებელი იყო ევროკავშირის საბჭოს სტატისტიკის ამოცანების განხორციელების ხელმძღვანელობაზე. ევროკავშირის 2013-2017 წლების სტატისტიკური პროგრამის მიღება მოხდა ევროკავშირის დანიური ხელმძღვანელობის დროს. ამასთან დაკავშირებით გაიწევა ძალისხმევა, მაგალითად, გლობალიზაციის სტატისტიკის ხელშეწყობისა და ბიზნესების პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირებისთვის და სტატისტიკურ პროგრამაში ხელახალი პრიორიტეტიზაციისთვის.

- მოსალოდნელია, რომ სტატისტიკის შესახებ *ევროკავშირის ახალი კანონმდებლობის*, რომლის დანერგვაც უკვე ხორციელდება წევრი ქვეყნების მიერ, სრულყოფა მოხდება უწყვეტად. ეროვნული ანგარიშები დაექვემდებარება ამომწურავ გადახედვას, რაც დანერგავს SNA 2008 და ახალ ENS რეგულაციას, რომელიც დაამტკიცა ევროპის პარლამენტმა და ევროსაბჭომ 2012 წელს. ამ დადგენილების თანახმად, მონაცემების წარდგენა ახალი წესებით უნდა მოხდეს 2014 წლიდან. ამას ემატება ახალი ინდუსტრიული კლასიფიკაციის – NACE-ს, კვლევისა და ინოვაციაზე წლიური სატელიტური ანგარიშების და საჯარო სექტორის წარმოების გაზომვის შემოღება.

- გლობალური ეკონომიკური ცვლილებები და მოსახლეობის ზრდა არსებითი ფაქტორებია დანიის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების, განვითარებისთვის. შედეგად, უნდა განვითარდეს აგრეთვე სტატისტიკა გლობალიზაციისა და მისი კონკრეტულ საზოგადოებაზე ზემოქმედების შესახებ. უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა ეროვნული ანგარიშების მონაცემთა ხარისხზე, გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგებზე, გადახდების წონასწორობაზე და ა. შ.

- დაფუძნდა შემოსავლების ელექტრონული სტატისტიკური რეგისტრი, რომელიც ეფუძნება შემოსავლების ახალ ელექტრონულ ადმინისტრაციულ სისტემას და რომელიც იძლევა *ეკონომიკური ტენდენციების მონიტორინგის* სრულყოფის შესაძლებლობას დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ ახალი და ძალიან დროული სტატისტიკით. აღნიშნულ რეგისტრს ასევე შესაძლებლობა ექნება

მონიტორინგი გაუწიოს დასაქმებასა და შემოსავლების ტრანსფერების სხვადასხვა ფორმებს შორის ბრუნვებს.

- *გრძელვადიანი მონაცემთა ბაზები* ფორმირებულია მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, *გრძელვადიანი მონაცემთა ბაზა* სამუშაო ბაზრის სტატუსის თაობაზე, რომელიც შეიცავს როგორც დასაქმებულ პირებს, ასევე იმ პირებსაც, რომლებიც არ არიან დასაქმებულები ჩვეულებრივ სამუშაოზე.

5.10. სანდო და დროული სტატისტიკა

იმისათვის, რომ განხორციელდეს SD-ის მიზანი, რომ ის უნდა იყოს მომხმარებლებთან ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრული სტატისტიკური ინსტიტუცია, ამ მიზნის მიღწევის წინაპირობაა, რომ სტატისტიკა იყოს სანდო, დროული და პუნქტუალური ².

მოქმედების ამ სფეროს მიზნებია შემდეგი:

- სტატისტიკა უნდა იყოს *სანდო*, ე. ი. იგი უნდა ასახავდეს რეალობას.
- სტატისტიკა უნდა იყოს *დროული*, ე. ი. დრო მიმართვის პერიოდსა და გამოქვეყნების თარიღს შორის უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე.
- სტატისტიკა უნდა იყოს *პუნქტუალური*, ე. ი. იგი გამოქვეყნდეს წინასწარ გამოცხადებულ დროს.

სანდოობა და საეჭვოობა. გამოქვეყნებული სტატისტიკა ყოველთვის დაექვემდებარება გარკვეული ხარისხის *საეჭვოობასა* და შეცდომის ფარგლებს. ეს იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც მონაცემები მიიღება ადმინისტრაციული რეგისტრებისგან, ისინი ხშირად არასრული და ხარვეზის შემცველია. სხვა ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ სანიმუშო კვლევების მონაცემები, რომლებიც მოიცავს ბიზნესებსა და პირებს, დამოკიდებულია ნიმუშის ზომასა და დიზაინზე ისევე, როგორც, პასუხის დონესა და გაცემული პასუხების ხარისხზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ბიზნესების ადმინისტრაციულ ტვირთებს, ეს მიგვიყვანს მცირე სანიმუშო კვლევებისა და მცირე ბიზნესების კვლევებიდან ხშირ გამორიცხვამდე. იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტატისტიკა ასევე გამოქვეყნდეს დროულად, სამომავლოდ გულისხმობს იმასაც, რომ შემცირდება

² Quality Policy of Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og-kvalitet.aspx

მონაცემთა კორექტირების, რედაქტირებისა და ხარისხის გარანტიებისთვის აუცილებელი დრო.

ხარისხის გარანტია და რესურსები. სტატისტიკური საექსპლორაციო და მონაცემებში შეცდომების მინიმიზება გულისხმობს, რომ ბევრი რესურსი გამოყენებული უნდა იქნას მონაცემთა კორექტირებაზე, რედაქტირებაზე, სანიმუშო კვლევების ოპტიმიზებასა და ხარისხის გარანტიებზე. ვინაიდან SD-ის რესურსები შეზღუდულია უფრო მოწინავე შესაძარ ქვეყნებთან მიმართებით, არსებობს ზღვარი ხარისხის გარანტიის მოცულობასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ უკვე არ მოხდა მნიშვნელოვანი ამოცანების მთლიანად ან ნაწილობრივ ნაკლებკვალიფიციურ ორბიტაზე გადაყვანა, ევროკავშირის კანონმდებლობასა თუ სხვა სამართლებრივ აქტებს დაქვემდებარებული ამოცანების ჩათვლით.

სანდო სტატისტიკის უზრუნველსაყოფად სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს ძალისხმევის გაწევა შემდეგი სპეციფიკური მიზნების მისაღწევად ²:

- დანიის კვარტალური (სამთვიანი) ეროვნული ანგარიშების სანდოობის რანჟირება უნდა მოხდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საუკეთესო ნახევარს შორის.
- იმ გამოქვეყნებული სტატისტიკის, რომელიც ექვემდებარება შეცდომების გასწორებას *დანიის სტატისტიკის (SD) სიახლეების* მაცნეში, რასაც მოსდევს შესწორებული მონაცემების პუბლიკაცია, წილი არ უნდა აღემატებოდეს 2 %-ს.
- იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ მომხმარებლებს შექმნან სტატისტიკის სანდოობის ზოგადი მიმოხილვა, უნდა განვითარდეს სანდოობის ხარისხის შესაბამისი მასშტაბის სტატისტიკის მაკლასიფიცირებელი სისტემა. შესაბამისად, ასევე უნდა განვითარდეს ინსტრუქციული დოკუმენტაცია სტატისტიკის სანდოობის შესახებ.

ინიციატივები. სტატისტიკის სანდოობის გასაუმჯობესებლად მიღებულია შემდეგი ინიციატივები:

- გაიწერა შერჩეული სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესების *ზოგადი გეგმა*. გეგმა, რომელიც მთლიანად შეეხება რესურსების განაწილებას, განიხილება შესაბამისი ხელისუფლების მიერ, როგორც ეს რეკომენდებულია Eurostat-ის მიერ.
- როგორც ზოგადი გეგმის ნაწილი, პერიოდულად ტარდება კვლევები, რომლებიც შეეხება ექსპერტი მომხმარებლების შეხედულებას ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური სტატისტიკის სანდოობისა და

² Quality Policy of Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og-kvalitet.aspx

დროულობის შესახებ.

- კვარტალური ეროვნული ანგარიშების საიმედოობა გაიზომება პირველი გამოცემის მონაცემების შედარებით წინა წლის გადამოწმებულ მონაცემებთან.

სტატისტიკის სანდოობის გასაზრდელად დგამენ შემდეგ ნაბიჯებს: 1) აფართოებენ გადასინჯვის ანალიზებს იმგვარად, რომ შეიძლებოდეს მათი გამოყენება პრიორიტეტულ სამოქმედო სფეროებზე; 2) აუმჯობესებენ და აფართოებენ პირველად სტატისტიკურ მონაცემებს; 3) აუმჯობესებენ სასაქონლო დაბალანსებას და იკვლევენ დიდი მოცულობით ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს. რესურსების განაწილება ნდობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის ინიციატივების წინაპირობაა. თუ საჭირო რესურსები განაწილებულია, SD ძალისხმევას არ დაიშურებს იმაში დასარწმუნებლად, რომ დანია კვარტალური ეროვნული ანგარიშების სანდოობის რეიტინგით OECD-ის საუკეთესო ქვეყნების ოთხეულში შედის.

დროულობა. ნებისმიერი აქტივობისთვის საჭიროა დროული სტატისტიკა. დღესდღეობით დროული სტატისტიკის მიღწევა უფრო მეტად იზღუდება ორი გარემოებით. პირველი, SD-ისთვის მონაცემების წარდგენამდე დროის ხანგრძლივობით, რომელიც აშკარად მოიცავს გამოქვეყნების ზოგადი დროის უდიდეს წილს; მეორე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სტატისტიკური საიმედოობა. სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში გაწეულ იქნა თანდათანობითი ძალისხმევა დროული სტატისტიკისთვის შემდეგი სპეციფიკური მიზნების მისაღწევად:

დანია სტატისტიკის ახალი ამბების მაცნეში გამოქვეყნებული სტატისტიკის შემთხვევაში გამოქვეყნების საშუალო დრომ თვიურ სტატისტიკაში არ უნდა გადააჭარბოს მომავალ ერთ თვეს, კვარტალური სტატისტიკისთვის – ორ თვეს, და წლიური სტატისტიკისთვის – შვიდ თვეს. მაშასადამე, დროული სტატისტიკის მიზანი მიღწეულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც გამოქვეყნების საშუალო დრო თვიური სტატისტიკისთვის არ გადააჭარბებს მომავალ 31 დღეს, კვარტალური სტატისტიკისთვის – 61 დღეს, და წლიური სტატისტიკისთვის – 214 დღეს².

ინიციატივები. სტატისტიკის დროულობის გაუმჯობესებისთვის მიღებულია შემდეგი ინიციატივები:

- SD უფრო მეტი მოცულობით გამოაქვეყნებს *წინასწარი* მონახაზების შინაარსს, აგრეთვე დეტალურ *საბოლოო* მონახაზებს.
- მონაცემთა ზოგიერთი მომწოდებლის მიერ SD-ისთვის *მონაცემთა წარმოდგენის დაჩქარების* შესაძლებლობის შემოწმება.

² Dissemination policy of Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og.aspx

- *მონაცემთა ახალმა წყაროებმა* (მაგალითად, შემოსავლების ელექტრონული სისტემა და სკანირებული მონაცემები) შეიძლება გახსნას უფრო დროული სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა.
- SD-ის *სამუშაო პროცესების* რეგულირებამ შეიძლება დააჩქაროს ზოგიერთი სტატისტიკის გამოქვეყნება.

პუნქტუალობა. სტატისტიკა უნდა გამოქვეყნდეს პუნქტუალურად იმისათვის, რომ მომხმარებლისთვის იყოს უფრო მოხერხებული. ყველა სტატისტიკისთვის გამოქვეყნების დღე ან კვირა ცხადდება ერთი წლით ადრე; რაც შეეხება ნაგვიანევი ან მცდარი მონაცემების წარმოდგენის შემთხვევების რეგულარულობის პრობლემებს, ყოველთვის არ არის შესაძლებელი პუნქტუალური სტატისტიკის მიზნის დაკმაყოფილება. სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში SD-ის მიზანი არის ის, რომ *დანის სტატისტიკის ახალი ამბების* მაცნეში პუნქტუალურად გამოქვეყნებული სტატისტიკის წილმა მიაღწიოს მინიმუმ 90 პროცენტს. პუნქტუალური სტატისტიკის მიზანი მიღწეულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც წლის ყველა სტატისტიკის მინიმუმ 90 პროცენტი გამოქვეყნდება არა უგვიანეს ერთი თვით ადრე წინასწარი გამოცხადებით.

5.11. სტატისტიკის გავრცელება ²

SD-ის ერთ-ერთი ხედვა ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებაში არის ის, რომ:

1. სტატისტიკა იყოს *ხელმისაწვდომი*, ე. ი. ადვილად მისაწვდომი იყოს სტატისტიკის ყველა მომხმარებლისთვის და ვრცელდებოდეს ნათელი და გასაგები ფორმით;
2. გამოქვეყნებული სტატისტიკა იყოს *დოკუმენტირებული*, ე. ი. გამყარებული იყოს მეტამონაცემების მიერ, რომელიც ახსნის მათ მნიშვნელობას, შეზღუდვებს და საეჭვოობას.

ინიციატივები ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გადაისინჯება მონაცემთა გამოქვეყნების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინიციატივებს სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში:

- *დანის სტატბანკი* ინახავს SD-ისა და დანის ცენტრალური ბანკის მიერ

² Dissemination policy of Statistics Denmark. www.dst.dk/en/OmDS/strategi-og.aspx

გამოქვეყნებულ ყველა მიმდინარე ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას. მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად, ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლებს უბიძგებენ გახადონ თავისი სტატისტიკა ხელმისაწვდომი დანიის სტატბანკიდან.

- სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ინახება *დანიის სტატბანკში*, წარედგინება მოსახერხებელი და გასაგები ფორმით და დანიის სტატბანკი ვითარდება იმგვარად, რომ მოიცავს პროცენტების, მთლიანი ჯამებისა და საშუალო მაჩვენებლების კალკულაციის ფუნქციებს და ასევე, აღჭურვილია უკეთესი გრაფიკებითა და რუკებით. განვითარდა აგრეთვე ახალი ცხრილები პროცენტული განაწილებითა და ზრდის დონეებით აბსოლუტური მონაცემების შევსებისთვის. *SD-ის ელექტრონული გვერდი* არის – დანიის სტატბანკთან ერთად – სტატისტიკის გავრცელების SD-ის პირველადი არხი.

- ელექტრონული გვერდი გადაისინჯება იმგვარად, რომ უფრო ადვილი გახდეს ინფორმაციის მოძიება. ვებ-გვერდი იქნება უფრო სისტემური და გამოსაყენებლად ადვილი და უწყვეტად მოხდება მისი განახლება. ვებ-გვერდი ასევე აღიჭურვება მონაცემების ინტერაქტიული წარდგენით გრაფიკებისა და რუკების ჩათვლით.

- SD-ის *ვებ-გვერდი გაფართოვდა* ნათლად და გასაგებად წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი მთავარი მოკლევადიანი გრაფიკული გამოსახულებების შემოსვლით. დაემატა მთელი რიგი ახლად განვითარებული თემატური გვერდები, მაგალითად, ემიგრანტების, მოხუცების, ბავშვებისა და ახალგაზრდების, ასევე ტურიზმის შესახებ. კალენდარი, რომელიც აჩვენებს ძირითად ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს, უფასოა.

- *დანიის სტატისტიკის სიახლეების* ცნობარში ქვეყნდება მთავარი შედეგები ყველა ახალი სტატისტიკიდან SD-ის ვებ-გვერდის მეშვეობით. *დანიის სტატისტიკის სიახლეები* მოერგო საზოგადოების განვითარებას, სადაც ელექტრონული მედია არის მედიის წარმმართველი. „სტატისტიკური წელიწდეული“, „სტატისტიკის ათწლიანი მიმოხილვა“ და „დანია ციფრებში“ ყოველწლიურად გამოდის *პუბლიკაციების* სახით. გაზეთის სახით უახლოეს წლებში ასევე გამოვა რამდენიმე სხვა პუბლიკაცია. ყველა პუბლიკაცია ხელმისაწვდომია PDF-ის ფორმატში უფასოდ SD-ის ვებ-გვერდიდან.

- აბონენტების მხრიდან მოთხოვნის ვარდნისა და შეზღუდული რესურსების მიზეზების პარალელურად, სტატისტიკური სიახლეების ყველა ან უმრავლესი სერიები, ისევე, როგორც ყოველთვიური პუბლიკაცია – მთავარი ინდიკატორები, აღარ გამოიცემა.

- სტატისტიკის გავრცელებისას *ინგლისური* ერთადერთი უცხო ენაა, რომელსაც SD იყენებს. ამასთანავე, SD-ის ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის ის

ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულია ოფიციალურ საერთაშორისო სტატისტიკურ თანამშრომლობასთან, თანდათანობით გაფართოვდება.

ინიციატივები, რომლებიც შეეხება დოკუმენტაციას. ქვემოთ აღწერილი დოკუმენტაციის სამიზნე ჯგუფები არიან მომხმარებლები განსხვავებული საჭიროებებით და დოკუმენტაციის დეტალურობის დონე შეესაბამება ოფიციალურ სტატისტიკას. ამ ტიპის დოკუმენტაციის სრულყოფისთვის სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში მიიღეს შემდეგი ინიციატივები:

- დღესდღეობით ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური სტატისტიკა, რომელიც *დანის სტატისტიკის სიახლეებში* გამოქვეყნდა, ამაგრებს ხარისხის *კომენტარები* და ინფორმაციის ახსნა. ამგვარი კომენტარების მეშვეობით მოხდება სტატისტიკის უფრო მეტი მხარდაჭერა.
- განვითარდა და გამოქვეყნდა *კონცეპტუალური ლექსიკონი*. ლექსიკონი შეიცავს განსაზღვრებებს, რომელიც ისეა დაწერილი, რომ გასაგები იყოს ზოგადი მომხმარებლისთვის. კონცეპტუალური ლექსიკონი უზრუნველყოფს, რომ ფორმულირებები ჰარმონიზებული იყოს პუბლიკაციის სხვადასხვაგვარ ტიპებში. ის ადვილად გასაგები უნდა იყოს დანის სტატბანკის მომხმარებელთათვის მოცემულ ცხრილში გამოყენებულ კონცეფციათა განსაზღვრის საპოვნელად.
- *სტატისტიკის სიახლეების* სერიები შეიცავს დოკუმენტაციის დიდ რაოდენობას. შედეგად, ადრეული ტომები SD-ის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია უფასოდ. როდესაც სტატისტიკის სიახლეებში მონაცემთა სერიები შეწყდება, განისაზღვრება, თუ სად უნდა განთავსდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.
- SD-ის ვებ-გვერდი ასევე შეიცავს *სხვა დოკუმენტაციას* და კლასიფიკაციებს სტატისტიკის გარკვეული სფეროებისთვის. ეს დოკუმენტაცია სისტემატიზირებულია და ადვილად ხელმისაწვდომი. ზემოხსენებული დოკუმენტაციის სისტემები ასევე ქმნის საფუძველს SD-ში ერთობლივი ინფორმაციისთვის, ცოდნის მენეჯმენტისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

5.12. სტატისტიკის მომხმარებელთა მოვალეობები

ზოგადი და სპეციფიკური საჭიროებები. სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა და პირობების შესახებ ოფიციალურმა სტატისტიკამ უნდა დააკმაყოფილოს სტატისტიკაზე საზოგადოების ზოგადი საჭიროებები. გარდა ამისა, არსებობს ასევე საჭიროებები, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორში, უფრო სპეციფიკური ხასიათის მონაცემების, სტატისტიკის, ანალიზისა და კონსულტაციისთვის. ამ სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება იმ

სტატისტიკური მონაცემების შეთავაზებით, რომლებიც ექვემდებარება მომხმარებლის პასუხისმგებლობას.

იმისათვის, რომ SD იყოს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრული სტატისტიკური ინსტიტუცია მომხმარებლებისთვის, ისევე, როგორც ეფექტიანი და ინოვაციური ინსტიტუცია, ამისათვის მომხმარებლებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება, კერძოდ: *სპეციფიკური საჭიროებების* კუთხით მოთხოვნილი მონაცემების (სტატისტიკის, ანალიზისა და კონსულტირების) ნებაყოფლობით წარდგენა. გარდა ამისა, მომხმარებლებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ SD-ის, როგორც მომხმარებლისთვის მეგობრული და ეფექტიანი ინსტიტუციის, *რეპუტაციის* შექმნაში, რომელიც თავის ამოცანებს წყვეტს პროფესიონალური გზით. მომხმარებელთა მოვალეობების SD-ის სქემა შედგება 4 სფეროსგან: მონაცემებისა და ანალიზების გაყიდვა, ინტერვიუს სერვისები, კვლევის სერვისები და საერთაშორისო კონსულტირება. სფეროები სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროდუქტებსა და მომსახურებებს და გამიზნულია აბონენტთა სხვადასხვა სეგმენტისთვის.

ამოცანები, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლის მოვალეობებს. ამოცანები, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლის მოვალეობებს, ფართოდ ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის კომპილირებისთვის შეგროვილ სტატისტიკურ მასალას. გარდა ამისა, SD-ს შეუძლია შეავსოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები აბონენტის კუთვნილი მონაცემებით და შესთავაზოს სტატისტიკის დამოუკიდებელი კოლექციები. ამ ამოცანების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ისინი უნდა ქმნიდნენ ოფიციალურ სტატისტიკასთან დაკავშირებულ ამოცანათა გაგრძელებას.

SD-ის რეპუტაციის განხილვისას მთავარი პირობაა, რომ SD-მ შეინარჩუნოს საჯარო კომენტარების გაკეთების უფლება, თუკი SD-ის მიერ წარდგენილი მონაცემები გამოიყენება აბონენტების მიერ იმგვარად, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს გაუგებრობები და არასწორი დასკვნები. SD ასევე ინარჩუნებს უფლებას, გამოაქვეყნოს მომხმარებლის მოვალეობებს დაქვემდებარებული ამოცანების შედეგები, თუკი ეს შედეგები არ გამოქვეყნებულა აბონენტის მიერ.

ოფიციალური სტატისტიკისთვის შეგროვილი ძირითადი მონაცემების გამოყენება უფასოა. აბონენტები იხდიან დროისა და იმ ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯისთვის, რომელიც გამოყენებული იყო სპეციფიკური ამოცანების განხორციელებისთვის. ფასები გამჭვირვალე უნდა იყოს აბონენტებისთვის. აბონენტებს ეცნობებათ სავალდებულო ფასი და ამისი მიღება უნდა დადასტურდეს წერილობით აბონენტის მიერ მოცემული ამოცანის განხორციელებამდე.

ინფორმაციის გაყიდვების და შემოსავლის ზრდის ამოცანების განხორციელების შედეგად სრული გაყიდვები, რომლებიც ექვემდებარება მომხმარებლის მოვალეობებს, დამოკიდებულია აბონენტთა მოთხოვნაზე (რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ტენდენციებმა) და SD-ის საბაზრო უნარსა და მის მიერ საკუთარ პროდუქტებსა და მომსახურებებზე ყურადღების მიქცევის უნარზე. მომხმარებლის მოვალეობებს დაქვემდებარებულ ამოცანებში

უწყვეტი ანაზღაურებადი ზრდის მისაღწევად სტრატეგიის პერიოდში მიიღეს შემდეგი ინიციატივები:

- შეთავაზებული ამოცანები უნდა გახდეს უფრო *თვალსაზირო* აბონენტებისა და პოტენციური აბონენტებისთვის მიზნობრივი მარკეტინგისა და აბონენტთა სხვადასხვა სეგმენტებისკენ მიმართული სხვა ინიციატივების მეშვეობით.
- SD-ის *ვებ-გვერდის* ის ნაწილები, რომლებიც გამიზნულია აბონენტებისთვის, გაფართოვდა. შესაძლებელი უნდა იყოს სტანდარტული პროდუქტების შეკვეთა SD-ის ვებ-გვერდის თვითმომსახურების მეშვეობით და შედეგების მიღება იმავე არხით.
- მიიღეს სპეციალური ინიციატივები *ძირითადი აბონენტებისთვისა და სტრატეგიული აბონენტებისთვის* სერვისების უზრუნველყოფის მიზნით. ეს აბონენტები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა SD-ის სრული გაყიდვებისთვის და რეპუტაციისთვის. ჩვეულებრივ, აბონენტების ეს განსაკუთრებული ჯგუფი ასევე იყენებს ოფიციალურ სტატისტიკას. შედეგად, ხდება ძალისხმევის გაწევა ამ აბონენტების ჩართულობის მიღწევისა და გაზრდის მიზნით.
- გაფართოვდება თანამშრომლობა იმ კერძო და საჯარო აბონენტებს შორის, რომლებიც *ხელახლა ყიდიან* SD-ის მონაცემებს.

განვითარდა *აბონენტის დაკმაყოფილების* სხვადასხვა შეფასებები, რომლებიც კეთდება მთავარი აბონენტების, მკვლევარებისა და მცირე აბონენტების მიერ. ეს გამოკვლევები გამოიყენება საამისოდ საჭირო სფეროებში SD-ის ძალისხმევის სრულყოფისთვის. აბონენტებმა საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ, რომ SD ახორციელებს თავის ღონისძიებებს, როგორც *ერთი მთლიანი ინსტიტუცია*, სადაც პასუხისმგებლობა მომხმარებლის მოვალეობებს დაქვემდებარებული ამოცანების შესახებ ყველა შეთანხმებისთვის და ფორმალური პასუხისმგებლობა აბონენტებთან ურთიერთობაში მიეწერება გაყიდვებისა და მარკეტინგის SD-ის დეპარტამენტს. დაფუძნდა თანამშრომლობის ფორმები, ერთის მხრივ, გაყიდვებისა და მარკეტინგის, ხოლო, მეორეს მხრივ, SD-ის სტატისტიკურ დანაყოფებს შორის, რომლებმაც ზოგიერთ შემთხვევაში უნდა განახორციელონ ამოცანები, სადაც დაცულია ცოდნის გაზიარება და სწორი სტიმულები.

განვითარდა *აბონენტის* ცენტრალური *რეგისტრი*, როგორც ყველა აბონენტის შესაბამისი ცოდნისა და SD-ისთან მათი სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველი. ეს რეგისტრი გამოიყენება მაგალითად, შეთანხმებებთან, ანგარიშების წარმოებასთან, მარკეტინგთან და შიდა ცოდნის გაზიარებასთან დაკავშირებით. მომხმარებლებისთვის მიწოდებულ მონაცემებსა და სტატისტიკას ყოველთვის თან ახლავს მხარდამჭერი *დოკუმენტაცია*. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება ყოველთვის ფოკუსირებულია, შეთანხმებულ ფასებთან ურთიერთობაში, დეტალების მოცულობასა და დონესთან დაკავშირებულ გაწონასწორებულ მოლოდინებზე.

ინიციატივები სპეციფიკურ სფეროებში. სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში მიიღეს შემდეგი ინიციატივები სპეციფიკური ბიზნეს-სფეროებისთვის ეკონომიკური მოთხოვნის მიხედვით:

- გაფართოვდა *ინფრასტრუქტურა მკვლევარებისა* და ანალიტიკოსებისთვის, რომელიც უკავშირდება, მაგალითად, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა

მექანიზმებსა და კონსულტირებას, იმისათვის, რათა უზრუნველყოს, რომ დანიის სხვადასხვა რეგისტრის მკვლევარები მსოფლიოში საუკეთესოთა შორის ირიცხებოდნენ.

- დამატებით განვითარდა *მაღალი ხარისხის დოკუმენტაციასთან* დაკავშირებული პროექტი იმგვარად, რომ დაიფარა უფრო მეტი სტატისტიკური სფერო. ასევე გაფართოვდა სხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, რომლებიც ჩართულნი არიან რეგისტრაციის მონაცემების დოკუმენტაციაზე არსებულ სამუშაოებში.
- მკვლევარებისა და ანალიტიკოსებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს შეუკვეთონ *მონაცემები SD-ის ვებ-გვერდის მეშვეობით* და მიიღონ წვდომა ყველაზე უფრო დეტალიზებულ ინფორმაციაზე. მკვლევარებისა და ანალიტიკოსების *წვდომა SD-ის მიერ დამუშავებულ მიკრომონაცემებზე* დარეგულირებულია კანონმდებლობისა და საბჭოს მიერ მიღებული წესების საფუძველზე ². ამის მსგავსად, დაფუძნდა ერთგვაროვანი წესები ადმინისტრაციულ ხელისუფალთა მიერ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომისა და გამოყენებისთვის. ეს წესები უნდა მიიღოს ასევე საბჭომ.
- გაფართოვდა *სარეგისტრაციო მონაცემებისა და კვლევის მონაცემების* კომბინირების შესაძლებლობის მარკეტინგი. ეს აგრეთვე შეეხება სარეგისტრაციო მონაცემებისა და, შედეგად, სარეგისტრაციო მონაცემებზე დაფუძნებული საკვლევო მონაცემების შეფასების მეშვეობით სასურველი ნიმუშის აგების შესაძლებლობებს.
- გაფართოვდა ქსელური ინტერვიუების გამოყენება, რომელიც კომბინირებულია, მაგალითად, მონაცემთა კოლექციის სხვა მეთოდებთან. მან შესაძლოა გამოიწვიოს უკუპასუხის მაღალი დონეები და უფრო დაბალი ფასები.
- SD შექმნის და მარკეტინგს გაუწევს ინტერვიუ-ჯგუფს, რომელიც შედგება უფრო მრავალენოვანი ინტერვიუებებისგან ემიგრანტთა შორის უფრო ხარისხიანი კვლევების ჩატარების თვალსაზრისით.
- აბონენტებს, რომლებსაც სურთ საკუთარი *მონაცემთა ბანკის* დაფუძნება, შეეძლება მიიღონ დახმარება SD-ისგან ასეთი მონაცემთა ბანკის (რომელიც იწოდება StatHost-ად) განვითარებასა და შექმნაში. თუმცა, ოფიციალური სტატისტიკა უნდა შევიდეს დანიის სტატბანკში.
- *საერთაშორისო კონსულტირების* გზით SD ინსტრუმენტულ დატვირთვას იძენს სხვა ქვეყნებში სტატისტიკური შესაძლებლობისა და კომპეტენციების მშენებლობაში, უპირატესად ევროკავშირის სამეზობლო ქვეყნებსა (მათ შორის საქართველოში) და აფრიკაში. SD-ის საკონსულტაციო ღონისძიებები ძირითადად მოიცავს ექსპერტების გაგზავნას ხანგრძლივად ან მოკლე ვადით, სასწავლო ვიზიტებსა და კურსებს SD-ში. SD-ის საექსპერტო საქმიანობაზე მოთხოვნა ჯერ კიდევ იქნება დაკმაყოფილებული, რამეთუ ეს ნაწილობრივ სარგებელს აძლევს მიმღებს, ნაწილობრივ, კი წვლილი შეაქვს SD-ის, როგორც უფრო მიმზიდველი

² Data Confidentiality Policy at Statistics Denmark, DST, 2012.

სამუშაო ადგილის, შექმნაში. საერთაშორისო კონსულტირების ღონისძიებები ძირითადად ფინანსდება დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ. ტექნიკური თვალსაზრისით, ევროკავშირის დაფინანსება მიიჩნევა უმეტესად არა მომხმარებლების მოვალეობებს დაქვემდებარებულ ამოცანებად, არამედ ფინანსურ კონტრიბუციებად.

მომხმარებლის მოვალეობებს დაქვემდებარებული ამოცანები უნდა ეფუძნებოდეს SD-ის ძირითად კომპეტენციებს და უნდა წარმოადგენდეს ინსტრუმენტს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შექმნას SD-ის რეპუტაცია, როგორც მომხმარებლისთვის მეგობრული, ეფექტიანი და პროფესიონალური სამუშაო ინსტიტუციისა. შედეგად, SD-ის საბჭომ გადაწყვიტა ინტერვიუზე დაფუძნებული კვლევების შინაარსისთვის შემდეგი წესების შემუშავება:

1. ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ და სოციალურ ტენდენციებს საზოგადოებაში, ზოგადად, მიიღება იმ პირობით, რომ ისინი ქმნიან SD-ის ზოგადი სამუშაოების ბუნებრივ გაგრძელებას;
2. SD-ის საბჭოს მიერ არ განიხილება და არ მიიღება შემდეგ თემებთან დაკავშირებული საკითხები:
 - პოლიტიკური ორიენტაცია, იმის ჩათვლით, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას მიეცემა ხმა უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებზე და თუ რომელ პარტიას მისცემ ხმას მომავალ საყოველთაო არჩევნებზე;
 - ეთნიკური და რელიგიური ერთობები;
 - მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულები (გადასახადისთვის თავის არიდების გარდა);
 - სექსუალური ორიენტაცია;
 - სავაჭრო ნიშნების ცოდნა და სავაჭრო ნიშნების მოხმარება.

5.13. დასაქმებულები და მენეჯერები დანიის სტატისტიკაში

2015 წლისათვის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური თანამშრომლების ყოფილას. შედეგად, SD-ის ხედვა არის იყოს მიმზიდველი სამუშაო ადგილი, რომელსაც შეეძლება მოიწვიოს და შექმნას მაღალკვალიფიციური თანამშრომლები და მენეჯერები, რომლების შეძლებენ, რომ სტრატეგიის *პროფესიული მიზნები* რეალიზებულ იქნას წარმატებით.

მიმზიდველი სამუშაო ადგილი. SD-ის ამოცანების დიდი ნაწილი გულისხმობს, რომ SD იყოს სამუშაოდ მიმზიდველი ადგილი, რომელიც ადამიანებს სთავაზობს საინტერესო სამსახურებს და კომპეტენციათა გამოყენებისა და განვითარების კარგ შესაძლებლობებს. ამოცანები მოიცავს, მაგალითად, სტატისტიკის წარმოებას, გავრცელებას, მომხმარებლის მოვალეობებს დაქვემდებარებულ ამოცანებს,

საერთაშორისო თანამშრომლობას, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, ინფორმაციულ მომსახურებებს, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ და საშტატო პოლიტიკის ამოცანებს.

ზოგადი საშტატო პოლიტიკა. საშტატო პირობები ხვდება ეკონომიკურ და ბიზნესის საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში, მაგრამ კომპეტენციის ნაწილი დელეგირებულია SD-ზე. საშტატო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვისთვის სამინისტროს სრული სფეროს ერთობლივი წესები გაერთიანებულია SD-ის საშტატო სახელმძღვანელოსთან. რეგულარულად ტარდება დასაქმებულის დაკმაყოფილების, მენეჯერის შეფასებებისა და სამუშაო ადგილის შეფასებების კვლევები. კვლევის შედეგები გამოიყენება იმ სფეროებში ძალისხმევის სრულყოფისთვის, სადაც საამისოდ არსებობს საჭიროება. მოქმედების ამ სფეროში არსებული სამუშაო გამოიზრდება 4 საფოკუსო ნიშანზე: 1. სამუშაოს შინაარსი და კომპეტენციები, 2. ანაზღაურება, 3. მენეჯმენტი და 4. სოციალური პასუხისმგებლობა. თითოეული განვიხილოთ უფრო კონკრეტულად:

1. სამუშაოს შინაარსი და კომპეტენციები. დასაქმებულთა კომპეტენციები განვითარდა SD-ის ახლანდელი და მომავალი ამოცანების პარალელურად, რომლებიც ცნობილია, როგორც *კომპეტენციათა სტრატეგიული განვითარება*. ამ კონტექსტში, კომპეტენციების ჩვეულებრივი (სავალდებულო) საფუძველი დაფუძნებულია ამოცანების თითოეულ ტიპთან კავშირში.

ადამიანური რესურსის განვითარების ინტერვიუები ქმნის ცენტრალურ იარაღს მოლოდინების განხილვისა და შეთავსებისთვის სამუშაოს შინაარსთან, კომპეტენციათა განვითარებასთან, მობილურობასა და გადახდასთან. ადამიანური რესურსის განვითარების ინტერვიუებთან დაკავშირებით, შეათანხმეს წლიური *განვითარების გეგმა*, რომელიც შეეხება სამუშაოსთან დაკავშირებულ ტრენინგებს (ახალი ამოცანები, პასუხისმგებლობის ახალი სფეროები, ტრენინგი თითოეული თანამშრომლისთვის და ა. შ.) და კურსებში მონაწილეობის მეშვეობით ფორმალიზებულ განათლებას. ამას მოჰყვა განვითარების გეგმა. თითოეული დასაქმებული პასუხისმგებელია მისი კომპეტენციების განვითარებისთვის და SD-ს წვლილი შეაქვს კომპეტენციების განვითარებაში სხვადასხვა შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

მნიშვნელობა ენიჭება *სამუშაოზე აყვანის* ეფექტიან პროცესსა და კარგ შესავალ პროგრამას ახალი დასაქმებულებისთვის. აყვანასთან დაკავშირებით მხედველობაში მიიღება ის, რომ დასაქმებულები და მენეჯერები SD-ის მნიშვნელოვანი ელჩები იყვნენ.

დაფუძნდა *ტრენინგის* სისტემატური პროგრამა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო შესაძლებლობების ფართო წრის შეთავაზებას, რომელმაც შესაძლოა ინსტრუმენტის როლი შეასრულოს კომპეტენციების სრულყოფისთვის, მაგალითად, სტატისტიკური პროცესების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მონაცემთა გავრცელების, ინგლისური ენისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით.

ყველა დასაქმებული და მენეჯერი პასუხისმგებელია თავისი წვლილი შეიტანოს ცოდნის გაზიარებაში. ამ კონტექსტში, ინტერნეტმა განიცადა მოდერნიზაცია, გაუმჯობესდა დოკუმენტაცია, იმართება თემატური დღეები და სამუშაო სრულდება საპროექტო ჯგუფების მიერ და ა. შ.

2. ანაზღაურება. SD-ის გადახდის პოლიტიკა გამოიყენება დასაქმებულებისა და მენეჯერების შედეგების, კვალიფიკაციებისა და პასუხისმგებლობის დაჯილდოებისთვის. გარდა ამისა, ხდება კარგად შესრულებული დღიური სამუშაოს აღიარება და დაჯილდოება.

მნიშვნელობა ენიჭება ფართოდ დაფუძნებულ ხელსაყრელ კარიერულ შესაძლებლობებს და ტარდება კარიერული განხილვის ინტერვიუები. ისეთი თანამდებობები, როგორებიცაა ოფისის უფროსი მოხელე და რიგითი მოხელე, უფროსი მრჩეველი და მთავარი მრჩეველი, არის ისეთი სამსახურებრივი თანამდებობები დასაქმებულთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საშტატო პასუხისმგებლობა. კარგი პროფესიული კვალიფიკაციები და მართვის უნარები არის წინაპირობა მენეჯერად დანიშვნისთვის. გარდა ამისა, ჩვეულებრივ მოითხოვება სხვადასხვა სამსახურიდან/სტატისტიკური დანაყოფიდან და საერთაშორისო თანამშრომლობიდან შექმნილი გამოცდილებები.

3. მენეჯმენტი. SD-ში ახალი მენეჯერებისთვის შესავალი პროგრამა დამტკიცდა როგორც SD-ში მენეჯერად მუშაობის ზოგადი პროგრამის დამატება. პროფესიონალურ ჯგუფებში მონაწილეობა ამ პროგრამის ნაწილია. ასევე მომზადდა მენეჯერების სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს SD-ში გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციების მიმოხილვას, ისევე, როგორც ამოცანათა შინაარსსა და ქრონოლოგიას. სრულყოფილი გახდა მენეჯმენტის განვითარების ინტერვიუების ახალი კონცეფცია. დამატებით განვითარდა მიმდინარე მენეჯმენტის ინფორმაციის სისტემა, რომელიც შეეხება SD-ის ფინანსებს, გადახდის პირობებს, პროფესიონალურ შედეგებს, ფორმაში არმყოფ პირებს, რომლებიც სამსახურს აცდენენ ავადმყოფობის გამო, სამუშაოებს, რომლებიც ექვემდებარება სუბსიდიების გადახდას და ა. შ.

4. სოციალური პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვანია, რომ SD მიიჩნინონ ოჯახურ-მეგობრულ სამუშაო ადგილად, რომელსაც აქვს მოქნილი სამუშაო საათები და სადაც შესაძლებელია სახლიდან მუშაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მნიშვნელობა ენიჭება ასევე სქესთა შორის თანასწორობისა და სხვადასხვაგვარობის პოლიტიკას.

კარგი სამუშაო გარემოს უწყვეტი განვითარება, როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური, უდიდესი მნიშვნელობისაა ისევე, როგორც ჯანდაცვის ღონისძიებების ხელშეწყობა. SD-მ ასევე განსაზღვრა თანამშრომელთა სერიოზული თუ ხანგრძლივი ავადმყოფობის პრევენციის პოლიტიკა და მიიღო სათანადო ინიციატივები ავადმყოფობის გამო სამსახურის გაცდენის შემცირების მიზნით.

კარგი სოციალური გარემოს შექმნა SD-ს ხელმძღვანელობის მიერ მხარდაჭერილია სხვადასხვა საკადრო ღონისძიებებითა და საშტატო გაერთიანებებით.

5.14. სამუშაო პროცესები და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა

SD-ის ერთ-ერთი ხედვა არის ის, რომ იყოს ეფექტიანი და ინოვაციური ინსტიტუცია, რომელიც ამოცანებს წყვეტს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებით და იყოს მომხმარებლებთან და მონაცემების მიმწოდებლებთან ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრული ინსტიტუცია. ამ მიმართულებით იგი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. სამუშაო პროცესების, მეთოდების, ინსტრუმენტების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის *სტანდარტიზება* იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტატისტიკის განვითარებასთან დაკავშირებული რესურსებისა და მომხმარებლის პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული ამოცანების ოპტიმალური გამოყენება.
2. შესაბამისი ამოცანების ციფრული გზით გადაჭრა უახლესი *ინფორმაციულ-ტექნოლოგიური არქიტექტურის* გამოყენებით.
3. სტატისტიკის *დოკუმენტაციისა* და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების სრულყოფა.

SD-ს მიერ ასევე დადგენილია, რომ სტატისტიკის წარმოებაში ყოველწლიური *სამუშაოს მწარმოებლურობის საშუალო მატემა* იყოს 2,5-დან 3 პროცენტამდე.

სამუშაო პროცესების, მეთოდების, ინსტრუმენტების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის სტანდარტიზაცია ქმნის უფრო მაღალ ხარისხს სამუშაო პროცესებისთვის, სტატისტიკისა და სისტემებისთვის არსებული დოკუმენტაციის უფრო მაღალი დონის მეშვეობით. ეს გულისხმობს იმას, რომ ერთგვაროვანი ამოცანები და სამუშაო ფუნქციები სრულდებოდეს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც იყენებს საერთო მეთოდებს, ინსტრუმენტებსა და სისტემებს. უფრო მეტიც, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გამოიწვევს სტატისტიკის წარმოებისთვის და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების ოპერირებისთვის, შექმნისა და განვითარებისთვის რესურსების მოხმარების შემცირებას. სამუშაო პროცესების სტანდარტიზების საწინდარია ის, რომ მოხდეს მათი იდენტიფიცირება და საბოლოოდ ოპტიმიზირება და სტანდარტიზება, სადაც ეს შესაძლებელი და მოსახერხებელია. სტანდარტიზებული სამუშაო პროცესები მხარდაჭერილია საერთო სტანდარტის სისტემით, ინსტრუმენტებითა და მეთოდებით. ეს გულისხმობს, რომ SD იქნება ნაკლებად ლოიალური შტატის ჩანაცვლების მიმართ და ხსნის ინსტიტუციის მასშტაბით დასაქმებულთა უფრო მოქნილი გამოყენების შესაძლებლობებს. ამ უპირატესობათა მისაღწევად მოითხოვება მიზანმიმართული ძალისხმევა და ინვესტიციები. ზოგადად გაუმჯობესდა სტატისტიკური სისტემებისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების დოკუმენტაცია. ყველა დასაქმებული ვალდებულია მოახდინოს საკუთარი სამუშაო პროცესების დოკუმენტირება და ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას საერთო მეთოდები დოკუმენტაციაში შესული სამუშაოებისთვის.

ამ მიზნების მიღწევის მიზნით, სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში მიიღეს შემდეგი ინიციატივები:

- იწარმოება ზოგადი ფაზის სტანდარტიზაციის პროექტი, რომელიც დასაწყისიდანვე მოიცავს სამუშაო პროცესებისა და სისტემების ისევე, როგორც ერთი ან რამდენიმე პროექტის (სადაც ხდება მეთოდის შემოწმება და შეფასება), აღწერის მიზნით საერთო მეთოდის განსაზღვრა. შედეგად, პროექტი დაინერგა იქ, სადაც სამუშაო პროცესები და მასთან დაკავშირებული სისტემები და ინსტრუმენტები შერჩეული სტატისტიკური სფეროებისთვის იდენტიფიცირებულია დანერგვისთვის, ანუ იქ, სადაც სტანდარტები უკვე განისაზღვრა და სადაც ახალი სტანდარტიზებული სამუშაო პროცესების, ინსტრუმენტებისა და სისტემების საკითხების გადაწყვეტა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. ამის შესაბამისად განვითარდა და დაინერგა სტანდარტული სისტემები პრიორიტეტული წყობით.

- როგორც პროექტის ნაწილზე, ყურადღება იქნება გამახვილებული მონაცემების დამუშავების (მონაცემების რედაქტირება, შეცდომის გასწორება და ა. შ.) სტანდარტიზაციაზე. მონაცემთა რედაქტირების რეორგანიზება ხდება, მაგალითად, მაკრო-მონაცემების რედაქტირების უფრო ფართო გამოყენების გზით. განვითარდა სამუშაო პროცესების სპეციალური მოდელი კომბინირებული და აგრეგირებული სტატისტიკის კუთხით, როგორცაა ეროვნული ანგარიშები.

- დაინერგა საერთო განსაზღვრებების სტატისტიკური ერთეულებისა და ცვლადების მქონე მოსახლეობის ცენტრალურ რეგისტრზე, ცენტრალურ ბიზნეს რეგისტრზე, შენობებისა და საცხოვრებლების ცენტრალურ რეგისტრზე დაფუძნებული სტატისტიკის საბაზისო რეგისტრების სტანდარტიზებული გამოყენება. იმავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ის, რომ საერთო მიმართვის მონაცემთა ბაზა გამოყენებული იქნება ერთგვაროვნად. ასევე, დაფუძნდა რეგისტრებიდან მონაცემთა ნაწილების (ცალკეული ბლოკების) მართვის თანამიმდევრული ვერსია.

- განისაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი არქიტექტურა, რომელიც უზრუნველყოფს სურათს, თუ როგორ უნდა განვითარდეს მომავალში SD-ის პორტფოლიო. ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურის დიზაინი ითვალისწინებს რესურსის ეფექტიანობას, პროფესიულ საჭიროებებს, მომხმარებელთან მეგობრულობასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურაზე სამთავრობო მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი არქიტექტურა გამიზნულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სისტემებისთვის, ხელსაწყოებისა და მეთოდებისთვის. ყველა სისტემა უნდა განვითარდეს SD-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი არქიტექტურის ჩარჩოებში.

- დაფუძნდა საერთო სავალდებულო მეთოდები სისტემების დოკუმენტაციისთვის, მოთხოვნათა სპეციფიკაციისთვის, სისტემების დიზაინისთვის,

შემოწმებებისა და ოპერაციებისთვის. შემცირდა მონაცემთა მომწოდებელი მოძველებული და ძვირადღირებული არხების რაოდენობა და მათი გაუქმება ხდება დაჩქარებულად. SD-ის ახალი პრიორიტეტული მომწოდებელი არხებია: FTP (მსხვილი ადმინისტრაციული რეგისტრების ტრანსფერი მონაცემთა უსაფრთხო ხაზის მეშვეობით), ელექტრონულ გვერდზე დაფუძნებული მომსახურებები (OIOXML, მონაცემთა მცირე რაოდენობებისთვის), გადაწყვეტები თითოეული სისტემის შემთხვევაში, ვებ-გვერდი Virk.dk და ინტერვიუზე დაფუძნებული კვლევები. მოხსენების ეს არხები ოპტიმიზირებულია ოპერატიული და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

- თანდათანობით ფართოვდება ციფრულ მონაცემთა მიღების სტანდარტული სისტემები (XIS და CEMOS რეგისტრის ძირითადი ტრანსფერებისთვის) იმისათვის, რათა დაფაროს მონაცემების სრული მიღება. რესპონდენტთა ადმინისტრაციის სისტემამ (IBS) უნდა დაფაროს ბიზნესების მიერ კითხვარზე დაფუძნებული მონაცემების შესახებ მომზადებული ყველა ინფორმაცია.
- დაფუძნდა საერთო სტანდარტიზებული განთავსების მონაცემთა არქივები. ეს გახსნის სტანდარტიზებული მონაცემების დამუშავების სისტემების, მონაცემთა ხარისხის გაზომვისა და მონაცემების დამუშავების შედეგის შესაძლებლობას. დაფუძნდა მოთხოვნები სტატისტიკის წარმოების დოკუმენტაციასთან და მეთოდებთან, ისევე, როგორც მოთხოვნილი დოკუმენტაციის ეფექტიანი მომზადების უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. მოხდა კლასიფიკატორულ მონაცემთა ბაზას, კონცეპტუალურ მონაცემთა ბაზას, დეკლარაციებსა და თაიმსს შორის ინტეგრაცია.
- გამოქვეყნების ყველა ტიპი მეტ-ნაკლებად უნდა დაეფუძნოს შიდა მაკრო-მონაცემთა ბაზის მონაცემებს, რომლებიც შეიცავენ ერთ ჯგუფად გაერთიანებულ და ხარისხის გარანტიის მქონე მონაცემებს; ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას ერთი საერთო ინსტრუმენტი, როგორც პუბლიკაციების მოსამზადებელი სტანდარტი.

5.15. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია დანიაში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. დანიის სტატისტიკური ბიურო დაარსდა:

- ა) 1850 წლის დეკემბერში;
- ბ) 1849 წლის იანვარში;
- გ) 1850 წლის თებერვალში;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

3. დანიის სტატისტიკის შესახებ პირველი კანონი მიიღეს:

- ა) 1886 წელს; ბ) 1876 წელს; გ) 1966 წელს; დ) 1956 წელს.

4. დანიის ეროვნული სტატისტიკოსი არის SD-ის:

- ა) გენერალური დირექტორი;
- ბ) გენერალური დირექტორის მოადგილე;
- გ) საპარლამენტო მდივანი;
- დ) არცერთი.

5. დანიაში ოფიციალური სტატისტიკა არის:

- ა) ფასიანი;
- ბ) უფასო;
- გ) უფასო და ფასიანი;
- დ) მთლიანად უფასო.

6. დანიაში ოფიციალური სტატისტიკის სანდოობა განისაზღვრება:

- ა) 9 კრიტერიუმით;
- ბ) 8 კრიტერიუმით;
- გ) 6 კრიტერიუმით;
- დ) 7 კრიტერიუმით.

7. დანიაში ოფიციალური სტატისტიკის გამოყენება აუცილებელია ისეთი მიზნით, როგორცაა:

- ა) ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებები;
- ბ) ანალიზი და კვლევები;
- გ) საერთაშორისო შედარებები;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

8. SD-ის სისუსტეები მდგომარეობს შემდეგში:

- ა) კოორდინაციისა და რესურსების ნაკლებობა;
- ბ) სტატისტიკური ხარისხის ადეკვატური მონიტორინგი;

- გ) მომხმარებლებთან ზედმეტად მეგობრული ინსტიტუცია;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

9. SD-ის მიერ მიმდინარე სტატისტიკა ყოველთვის ქვეყნდება დადგენილი თვისა და დღის:

- ა) დილის 9:30 სთ-ზე;
- ბ) დილის 10:00 სთ-ზე;
- გ) დილის 9:00 სთ-ზე;
- დ) დილის 10:30 სთ-ზე.

10. SD-ში თითქმის ყველა მონაცემის წარდგენა 2015 წლის ბოლოდან მოხდება:

- ა) ტელეფონით;
- ბ) ელექტრონულად (ინტერნეტით);
- გ) ტელეფონით და დოკუმენტალურად;
- დ) ფოსტით და ტელეფონით.

11. SD-ის სამუშაო პროგრამების ყოველწლიური შეხვედრების რაუნდში მონაწილეობენ:

- ა) SD-ის დეპარტამენტების ხელმძღვანელები;
- ბ) SD-ის დეპარტამენტებისა და ბიზნეს სტრუქტურების ხელმძღვანელები;
- გ) ცენტრალური საჯარო თანამდებობის პირები (მათ შორის მინისტრებიც);
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

12. SD-ის ახალი ამბების მაცნეში მონაცემთა გამოქვეყნების საშუალო დრომ ყოველთვიური სტატისტიკისთვის არ უნდა გადააჭარბოს:

- ა) მომავალ 21 დღეს;
- ბ) მომავალ 31 დღეს;
- გ) მომავალ 11 დღეს;
- დ) არცერთი.

13. SD-ის ახალი ამბების მაცნეში მონაცემთა გამოქვეყნების საშუალო დრომ კვარტალური სტატისტიკისთვის არ უნდა გადააჭარბოს:

- ა) მომავალ 61 დღეს;
- ბ) მომავალ 31 დღეს;
- გ) მომავალ 51 დღეს;
- დ) მომავალ 21 დღეს.

14. SD-ის ახალი ამბების მაცნეში მონაცემთა გამოქვეყნების საშუალო დრომ წლიური სტატისტიკისთვის არ უნდა გადააჭარბოს:

- ა) მომავალ 114 დღეს;
- ბ) მომავალ 94 დღეს;
- გ) მომავალ 154 დღეს;

დ) მომავალ 214 დღეს.

15. SD-ის პუნქტუალობის მიზანი მიიღწევა მაშინ, როდესაც სტატისტიკის ახალი ამბების მაცნეში პუნქტუალურად გამოქვეყნებული სტატისტიკის წილი მიაღწევს მინიმუმ:

- ა) მინიმუმ 95 პროცენტს;
- ბ) მინიმუმ 75 პროცენტს;
- გ) მინიმუმ 90 პროცენტს;
- დ) მინიმუმ 80 პროცენტს.

16. დანიის სტატბანკი ინახავს:

- ა) SD-ის მიერ გამოქვეყნებულ ყველა ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას;
- ბ) SD-ისა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ყველა ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას;
- გ) SD-ისა და დანიის ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ყველა ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას;
- დ) SD-ისა და დანიის ყველა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას.

17. SD-ის პუბლიკაციების სახით ყოველწლიურად გამოდის:

- ა) „სტატისტიკის ათ-წლიანი მიმოხილვა“;
- ბ) „სტატისტიკური წელიწადეული“;
- გ) „დანია ციფრებში“;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

18. დანიაში SD-ისგან ნაყიდი ინფორმაციის ხელახალი გაყიდვის უფლება აქვს:

- ა) მხოლოდ საჯარო აბონენტებს;
- ბ) მხოლოდ კერძო აბონენტებს;
- გ) როგორც კერძო, ისე საჯარო აბონენტებს;
- დ) არცერთს.

19. SD-ის საბჭოს მიერ არ განიხილება შემდეგ თემებთან დაკავშირებული საკითხები:

- ა) პოლიტიკური ორიენტაცია;
- ბ) სექსუალური ორიენტაცია;
- გ) რელიგიური ორიენტაცია;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

20. დანიის მოსახლეობის რიცხოვნობის მთლიანმა მატებამ 2008-2011 წლებში შეადგინა:

- ა) 64 ათასი; ბ) 54 ათასი; გ) 74 ათასი; დ) 84 ათასი.

21. დანიის მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ 2008-2011 წლებში შეადგინა:

ა) 18 ათასი; ბ) 19 ათასი; გ) 17 ათასი; დ) 27 ათასი.

22. დანიის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 2011 წელს ქალების სვედრიწილი მეტი იყო მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (პროცენტული პუნქტით):

ა) 19,2-ით; ბ) 21,2-ით; გ) 19,6-ით; დ) 15,6-ით.

23. დანიაში ქალების რიცხოვნობა 2011 წელს მეტი იყო მამაკაცებზე:

ა) 1,191 მილიონით;
ბ) 1,171 მილიონით;
გ) 1,194 მილიონით;
დ) 1,174 მილიონით.

24. 2011 წელს დანიის მშპ-ის საშუალო მოცულობამ ერთ ადამიანზე შეადგინა (აშშ დოლარი):

ა) 60007; ბ) 68945; გ) 40007; დ) 59890.

25. 2011 წელს 2008 წელთან შედარებით, დანიის მშპ-ის საშუალო მოცულობა ერთ ადამიანზე:

ა) გაიზარდა;
ბ) შემცირდა;
გ) დაახლოებით იგივე დარჩა;
დ) არაშესადარისია.

26. 2011 წელს დანიაში უმუშევრობის დონე ნიდერლანდებთან შედარებით იყო:

ა) მაღალი;
ბ) დაბალი;
გ) დაახლოებით თანაბარი;
დ) არაშესადარისი.

27. 2011 წელს დანიაში უმუშევრობის დონე გერმანიასთან შედარებით იყო:

ა) დაბალი;
ბ) მაღალი;
გ) თანაბარი;
დ) არაშესადარისი.

28. 2005-2012 წლებში საქართველოდან დანიაში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

ა) შემცირდა 1,3%-ით;
ბ) გაიზარდა 1,0%-ით;
გ) გაიზარდა 2,3%-ით;
დ) უცვლელი დარჩა.

29. 2005-2012 წლებში საქართველოში დანიიდან საქონლის იმპორტის მოცულობა:

ა) შემცირდა 17,0%-ით;
ბ) გაიზარდა 14,3%-ით;
გ) შემცირდა 12,9%-ით;

დ) გაიზარდა 17,9%-ით.

30. 2005-2012 წლებში საქართველოსა და დანიას შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 4,6-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 3,6-ჯერ;
- გ) შემცირდა 3,0-ჯერ;
- დ) შემცირდა 2,3-ჯერ.

31. 2005-2012 წლებში საქართველოსა და დანიას შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში ექსპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 1,47 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 1,49 პუნქტით;
- გ) შემცირდა 1,29 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 1,14 პუნქტით.

32. 2005-2012 წლებში საქართველოსა და დანიას შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში იმპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 1,49 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 1,49 პუნქტით;
- გ) შემცირდა 1,29 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 1,29 პუნქტით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2010.
2. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005.
3. გაბიძაშვილი ბ. ეკონომიკური სტატისტიკა. სახელმძღვანელო, გამომც. „ზეონი“, თბ., 2006.
4. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. სახელმძღვანელო, გამომც. „ზეონი“, თბ., 2011.
5. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
6. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. მონოგრაფია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
7. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინკლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. ლექციების კურსი (ელექტრონული ვერსია), თსუ, 2013.
8. გელაშვილი ს., მუჩიაშვილი მ., მაისურაძე ი. მაკროეკონომიკური სტატისტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია), თსუ, 2012.
9. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირების საერთაშორისო გამოცდილება (აშშ-ის და საფრანგეთის მაგალითზე). საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1998.
10. კბილაძე დ., აბესაძე ნ., მეტრეველი შ. ეკონომიკური სტატისტიკა. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2007.
11. მარშავა ქ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (ელექტრონული ვერსია). თბ., 2012.
12. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012.
13. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა/თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ-ს გამომც., თბ., 2009.
14. ნაჩშიასი ჩ. ფ., ლეონ-გერერო ა. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის (თარგმანი ინგლისურიდან). თსუ-ს გამომც., თბ., 2012.
15. საერთაშორისო ინდექსები და საქართველო (იხ. www.nplg.gov.ge)
16. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის. დამხმარე სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
17. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2011.
18. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. სახელმძღვანელო, მე-2 შეესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011.
19. ხმალაძე მ. დემოგრაფია. მონოგრაფია. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010.
20. Ковалевский Г. В., Селиванов В. М. Статистика зарубежных стран. Харьков, 2002.
21. Ковалевский Г. В. Статистика. Харьков, 2002.

22. Экономическая статистика. Учебник (под ред. Ю. Н. Иванова, ИНФРА. – М., 2007.
23. Bamberg G., Baur F. Statistik. 12. Auflage. - München, 2002.
24. Bley Müller J. Statistik für Wirtschaftswissenschaftler. 16. Auflage. Vahlen, 2012.
25. Essentials of Statistics for Business and Economics. David R.R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas Arthur Williams, 2005.
26. Grundausbildung in Statistik für Wirtschaftswissenschaftler. Autorenkollektiv. Osnabrück, 2012.
27. Hippmann H.-D. Statistik für Wirtschafts- und Sozialwissenschaftler. 2., korrigierte Auflage. – Stuttgart, 1997.
21. John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884.
21. Spicht. Internationale Wirtschafts- und Sozialstatistik. 2. Auflage. München, 1999.
30. Strategie- und Programmplan für die Jahre 2012 bis 2016. Statistisches Bundesamt, Wiesbaden, 2012.
31. Zwer, R. Internationale Wirtschafts- und Sozialstatistik. 2. Auflage. Oldenbourg, 1986
32. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge)
33. [www. fedstats.gov](http://www.fedstats.gov)
34. [www. destatis.de](http://www.destatis.de)
35. [www. statssa.gov.za](http://www.statssa.gov.za)
26. [www. statcan.gc.ca](http://www.statcan.gc.ca)
27. [www. istat.it](http://www.istat.it)
28. [www. abs.gov.au](http://www.abs.gov.au)
29. [www. cbs.nl](http://www.cbs.nl)
40. [www. mospi.nic.in](http://www.mospi.nic.in)
41. [www. nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
42. [www. insee.fr](http://www.insee.fr)
43. [www. ensae.fr](http://www.ensae.fr)
44. [www. lecepe.fr](http://www.lecepe.fr)
45. [www. unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2011.htm](http://www.unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2011.htm)
46. [www. gfmag.com/component/content/article/119-economic-data/12384-worlds-unemployment-ratescom.html#axzz2RO40fLJO](http://www.gfmag.com/component/content/article/119-economic-data/12384-worlds-unemployment-ratescom.html#axzz2RO40fLJO)

სიმონ გელაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების
სტატისტიკა

Simon Gelashvili

Statistics of Foreign Countries